

# პრსენალი



№4 (1151). 17 თებერვალი - 1 მარტი, 2012 წ. სასაქონლო-საინფორმაციო ჟურნალი. ფასი 1,5 ლარი.



ირანს პირველ  
„ტომჰავკებს“  
GEORGIA-დან  
ესვრინან?

ამერიკული  
იარაღი რუსული  
აგროინისგან  
დახვის პანახა  
პირ გახდება

ქართული ადგირალი,  
რომელმაც დღემინან  
წყაქვება ნავით შემოუარა



ავღანეთში  
ნაყოფი  
ქართველი  
ოფიცრის  
ნააგროგი

10



ღაზის სეპორი  
— პალესტინური  
„აქილევსის  
ქუსლი“

24



ირანის  
საზენიგო  
ქოლგა

40

გრძელი გზა  
„პერუნიგოლან“  
„აბრამსკულ“

30



მოთხრობა  
ჩექურთვა

49

უიუვიანთესი სნაიპერული  
გაუხანა „ვალგერისგან“



53





# სარჩევი

- 4** **სამხედრო სიახლეები** **კალენდრისკონი**
- 7** **აშერიკული იარაღი რუსული აბრეხილისგან**  
**ღანძვის პანახეა ვერ ბახდება** **პარსაპეტივა**
- 10** **აქვანეთში ნაყოფი ქართული მოცხის ნაამოგი** **შეგრძოლი**
- 12** **ირანს პირველ „გომავაპეებს“ Georgia-დან ესპრინე?** **პარაული**
- 13** **ღანძვარი შვედუფრანგიდან**  
**მომღინარა რადიაციული საფრთხე** **საფრთხე**
- 16** **ვინ ღაშალა საბჭოთა ქაპიტრი:**  
**რონად რიგანეა თუ „პარონეა“?** **საუსსამსახურების პრევიდიანე**
- 19** **უფინალო მოი — ქორანი მოის ქრონიკა (1950-1953 წ.წ.)** **ლოკალური მოგები**
- 22** **კავკასიური მოვლენების მიმოხილვა** **რევიონი**
- 24** **ღანძის სეპტორი — ბალესტინური „აქილესის ქუსლი“** **ქრონიკები, მოწვლიაქვები, მოგები**
- 30** **აშერიკული ჯავშანგეპინია —**  
**გრძელი გზა „პარონიგიდან“ „აბრახსაშდე“** **განმეშენებელი ქვეყნები**
- 35** **გვრევის ეპოლეშია** **შეთქებალი ნიშთიარებაები**
- 38** **ქარლ გარბელი** **100 დიდი მხედართმთაპარი**
- 40** **ირანის საზენიშო ქოლვა** **ქალთა თანაფარღობა**
- 46** **ქართული ადვირალი,**  
**რომელმაც ღვღანინას წყალქვეშა ნავით შემოუარა** **იუბილარი**
- 49** **ჩუქრთმა** **მეთსროგობა**
- 53** **უიშვიათში სნიიარული შახხანა „პალტარისგან“** **„არსნალი“ იარაღის მღაზინი**

გარეკანზე: აშერიკული განსახინააღვღობო მართვალი  
სარაკებო ქოვალესი FGM-148 Javelin-ი

## რეკლამისგან

სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომი სირიაში უკვე ვახცვდა ქვეყნის სახლერებს, რადგან ამ საკითხზე კონფერენციაცაში რუსეთი და აშშ-ც კი აღმოჩნდნენ. მოსკოვმა და პეკინმა ორჯერ დაადო ვეტო გავრთის უმეშროლების საჭქოს რუსულეციას, რომელიც სირიაში სამოქალაქო ომის შეწყვეტასა და პრეზიდენტ ბაშარ ასადის გადადგომას მოითხოვდა. არაბული ქვეყნების ღიგა ვამოვიდა ინციტაციით, რომ სირიაში საერთაშორისო სამშედილობა მისია გათხზუნოს სისხლის ღვრის შესახერებლად, რასაც ასევე წინააღმდეგება კრქელი.

სირიისა და არანის პრობლემები ერთმანეთთან არის დაკუშტრებული და ახლი აღმოსავლეთში მორიგი სამხედრო-პოლიტიკური აუქციება გუელუნას მოახდენს არა მარტო ამ რეგიონზე, არამედ მთელ მსოფლიოზე და მათ შორის — საქართველოზეც.

მთავარი რედაქტორი  
ირაკლი ალანდუგვილი  
პასუხისმგებელი რედაქტორი  
თემურ ჩანანიძე  
კომპიუტერული უზრუნველყოფი  
დანილ მოსიაშვილი

მურადლვაა!  
გამოიფრეთ „არსნალი“  
და მიიღეთ შონ,  
ორ კვირაში ერთხელ!  
ტელ: 238-26-74; 238-26-73

რედაქციის დაუპითხსავად  
განსაღების გაღაგამჭღვა  
აბრკალულია

გადანგეშულია ღანსაგამჭღვად  
13.02.2012

გაზეთ „კვირის პალიტრის“  
ღანსატვაა ©  
რედაქციის მისაგართია:  
თბილისი, იოსებბიძის ქ. N49  
ტელ: 238-83-07 (121)

სარეკლამო განყოფილება:  
ტელ: 237-78-07; 238-78-70  
email: arsenal@kvirispalitra.com  
შრნალი გამოღვის  
ორ კვირაში ერთხელ  
პარსაგევის

### ვიეზნაველები კეპოლვერ- ყუბაკსაპყორსნი



ვიეტნამის თვდაცვის სამინისტროს შე-  
იარაღების სამხმართველო თავს რეოლვერის  
ტიპის, 40 მმ-იანი ყუმბარსატფორცნის (MGL  
Mk.1) შექმნით იწონებს. იარაღის საცდელმა  
პარტიამ გამოცდა უკვე გაიარა და ვიეტნა-  
მელ სამხედრო ჩინოფნიკთა მოლოდინიც გა-  
ამართლა.

იარაღის მასა 6,3 კგ-ია, ხოლო სროლის  
ტემპი წუთში 18 ვასროლა. იარაღის ვადა-  
ტენფე ხვეული ვასროლის შემდეგ ავტომატურ-  
რად ზდება. რეოლვერული მჭიდი 6-ყუმბარ-  
იანია. როდის მიიღებს ვიეტნამის თვდაცვის  
სამინისტრო ყუმბარსატფორცნს შეიარაღე-  
ბაში ან როდის დაიწყვებს მის სერიულ წარ-  
მოებას, უცნობია.

არსებობს ეჭვი, რომ ვიეტნამელთა ახალი  
იარაღი ასლია სამხრეთაფრიკული კომპანია  
Milkor-ის ყუმბარსატფორცნისა, რომელიც  
1983 წლიდან გამოდის და სამხრეთ აფრიკის  
გარდა, ბანგლადეშის, ბრაზილიის, კოლუმბი-  
ის, ხორვატიის, პერუს, შვედეთის, ტაიფანისა  
და აშშ-ის არმიების შეიარაღდებაშია.

### ავერიკულ ღაჟავერის თვითფრინავს იკაონის თაჟეა ნაწილვაი გასყვივალ

ამერიკულ დაზვერვის თვით-  
ფრინავ EA-6B Prowler-ს ააპო-  
ნიის ცენტრალური ნაწილის თე-  
ზე სასწულო ფრენისას ნაწილები  
დასცევადა. ერთ-ერთი დეტალი 1,3  
მ სიგრძისა და 60 სმ სიგანის დუ-  
რალუმინის პანელი იყო.

თვითფრინავიდან ჩამოვარ-  
დნილი ერთ-ერთი კომპონენტი  
ტოკოს ახლოს ჩყაროსნულ აე-  
ტომავისტრალზე მიმაგალ ავტო-  
მობილს სახურავზე დაყეცა. კიდევ  
ხუთი დეტალი საძიებო ვეჟუმმა

სხვადასხვა ადგლას იპოვა, მათ-  
გან რამდენიმე — საცხოურებელ  
ნაკებობასთან სახეითოდ ახლოს,  
თუმცა, როგორც ქვეყნის თვდაც-  
ვის სამინისტრო იყყვება, არევენ  
დაშყეულება.

EA-6B Prowler-ი ამერიკე-  
ლი ატომური ავიამხიდ აჯორჯ  
ვამინგტონის“ საგემბანი თვით-  
ფრინავია, რომელიც იოკოსუკის  
პორტში ბაზირებს. მომხდარის მი-  
ზეყეუებას და გარეშოებებზე გამოი-  
გება დაწყებულია.

EA-6B Prowler



### მეხნიეკეპი გყვიან თვითღაჟიუნავას ასეველიან

სანდის ნაციონალური ლაბორატორიის (SNL) სპეცია-  
ლისტებმა თვითდამხმენებადი ტყვიის პროტოტიპი შექმნეს.  
რული ტყენილღაჟი თექნილი ტყვია, რომელიც დარბის  
ისარს მოგავინებო, მიცეკალიბრანიი ცეცხლსასროლი ია-  
რადლისთვისაა განკუთვნილი და მიზანს 2 ათას მეტრზე ანად-  
გურებს.

10,2 სმ სიგრძის ტყვიას მიზანს ღაჟების სხვი უნიშნავს.  
მის წინა ნაწილში ობტკური სენსორია ჩამონტაჟებული, შუა  
ნაწილში კი რვაბიტანი ჩაბი, რომელიც სენსორისგან მილე-  
ბულ მონაცემებს ამუშავებს. ტყვიის ფრენის ტრაექტორიას  
მიკროსაჟე არეგულირებს, რომელიც ტყვიის დაბოლებებაშია  
და კორპუსიდან გართო ვასროლისთანავე გამოდის. ტყვიის  
აერიონამიკულ სტაბილურების მიკროსაჟე და კორპუსის  
თეკის სიმძიმის ცენტრი განაპირობებს.

ლაბორატორიის სპეციალისტებმა კომპიუტრულ მოდე-  
ლირებაზე დაყრდნობით დაადგინეს, რომ თუ 1000 მეტრზე  
ჩყეულებრები ტყვიის ცდომილება მიზნამდე დაახლოებით  
9 მეტრს შეადგენს, თვითდამხმენებადი ტყვიის შემთხვევაში  
სხვაობა მხოლოდ 0,2 მეტრია.

ახალი ტყვიის შექმნელები ამჟამად კრძო კომპანიის მი-  
გებაში არიან, რომელიც პროექტის დაფინანსებას ითავებს.





# ენგაგონა სხვადასხვაი ჯარისკაცებისთვის გიონილაგი დაკვეთა



ტუბასის უნივერსიტეტის ინჟინრები აწერა, ექვლ სამხედრო ქირურგებთან ერთად შექმნიან რბილ პოლიმერულ ნიღაბს, რომელიც ელექტროლი, მექანიკური და ბიოლოგიური კომპონენტებით იქნება გააჯერებული. ნიღაბი იმ პაციენტებისთვის იქნება განკუთვნილი, ვისაც სახის ძლიერი დამწვრობა აქვთ მიღებული.

პროექტი Biomask-ი, სვარაუდოდ, 2017 წელზე ადრე არ დასრულდება, თუმცა მასზე მომუშავე სპეციალისტებს უკვე აქვთ ნამოყალიბებულები აზრი, თუ როგორი იქნება ნიღაბი და რა პრინციპით იმოქმედებს ის. მათი თქმით, ნიღაბი ორჯერინანი იქნება. გარეთა შრე — შედარებით მყარი, პაციენტის სახეს დაიცავს, შიდა კი — რბილი პოლიმერი, სახის კონტურების ზუსტი ამსახველი იქნება. რაც მთავარია, როული ტექნოლოგიებით შექმნილი ნიღაბი პაციენტს ზუსტად იმ სახეს დაუბრუნებს, როგორც ტრავმის მიღებამდე ჰქონდა.

რადგან სახის დამწვრობა სამხედრო საქმეში საკმაოდ ხშირი ტრავმაა, ამიტომ ნიღაბს შექმნით განსაკუთრებით პენეტრაციის და დანტირეზიული და პროგრამა მისი 700 ათასი დოლარის ღირებულების გრანტით ფინანსდება.


# გრიზანელს ახალი რაკეტისინააღვადგომ სისვება აქვთ

დიდი ბრიტანეთი ახალი რაკეტისინააღმდგომ სისტემით შეიარაღდა. სისტემა, რომელსაც 3 მახის სიჩქარით მფრენი რაკეტების განადგურება შეუძლია.

სამეფოს სამხედრო-საზღვაო ძალებმა სისტემა სახელწოდებით Sea Ceptor-ი შეიარაღებაში უკვე მიიღეს.

სისტემა შექმნა კომპანია MBDA-მ, რომელსაც დიდი ბრიტანეთის ხელისუფლებისგან 483 მლნ გირანქა სტერლინგის ღირებულების კონტრაქტი ჰქონდა მიღებული.

პროექტი ზუსტილიანი და დასაწყისისთვის Sea Ceptor-ის „23 ტიპის“ ფრეგატებზე განათავსებენ, მომავალში კი სისტემის ადაპტირება სახმელეთო და სამხედრო-საჰაერო ძალებშიც მოხდება.



# ქვირუასეულოა კველი „კალანკომონისგან“




ნებისმიერი იარაღი ადრე თუ გვიან ისვრის და თუ გვიანთი კალისწინებით პლანეტაზე რამდენი უკონტროლო იარაღია, განსაკუთრებით ცხელ წერტილებში, დავისაფრებით. თუმცა, არსებობს განიარაღების პროგრამები, რომელთაგან ზოგიერთი ისეთია, ყურადღებას რომ იმსახურებს.

მაგალითად, არსებობს ორიგინალური პროექტი Fonderie 47, რომლის ფარგლებში ძველი ავტომატური იარაღებისგან სამშენიანებს აშხადებენ. პროექტის ავტორები არიან პატერ ტუმი და ჯონ ზაპოლსკი, რომლებიც კონგოში კბილებამდე შეიარაღებული მოსახლეობის, განსაკუთრებით მცირეწლოვანი ბავშვების ხილვამ დათრგუნა. კონფლიქტის გააქვვებაში მოკრძალებული წვლილის შესატანად მათ იუკვლავობითან ერთად „მედიოიანი“ კოლეჯისი შექმნა დაიწვეს, რომელშიც მასალად ძველი იარაღი გამოიყენეს.

შედეგად, კონგოში 6 ათასზე მეტი ავტომატი AK-47 საიუკვლირო ნაწარმად იქცა. ფანტაზიამ, მარჯვე ხელებმა და ძვირფასი ქვების დამატებამ ცეცხლსასროლი იარაღის დეტალები ბეჭდებდა, საყურეებად და სხვა ძვირფასი სამშენიანებდა აქცია. რაც მთავარია, საიუკვლირო ნაწარმის გაყიდვისგან მიღებული თანხები კონგოში იარაღის განადგურების ფონდში გადაირიცხება.

# გაზიარებული პლანები პოლიციელთა დასაცავად



ერთ-ერთმა ამერიკულმა კომპანიამ ბაზარზე ინოვაციური დაცვის არაორდინარული საშუალება წარადგინა, რომელიც მეტწილად პოლიციელთათვისაა განკუთვნილი. ერთი შეხედვით ის ჩვეულებრივი, ქაღალდის ფურცლის სამაგრიანი პლანშეტია, სინამდვილეში კი, ყველა საჭურჭლის ერთად, ტყვიავაგუმტარიცაა და პატრონს ექსტრემალურ ვითარებაში გამოადგება.

ფირმა Impact Armor Technologies-ის მესვეურები ირწმუნებიან, რომ მათი „ბალისტიკური ასლსათვის“ აშშ-ის იუსტიციის ეროვნული ინსტიტუტის სტანდარტით, IIIA ტიპს მიეკუთვნება. ცნობისთვის, ეს მეოთხე დინამიკური შესაძლებელი ექვსიდან და უფრო გასაგებია რომ იყოს, 44 კალიბრის „მაგნუმიდან“ ნასროლი ტყვიისადმი მედეგობის ტოლფასია.

პლანშეტის ტყვიავაგუმტარ მასალაზე ცნობილია მხოლოდ ის, რომ მასში ალიუმოქსიდური კერამიკაა გამოყენებული. პლანშეტის ზომა 30,5X30 სმ-ს შეადგენს, სისქე — 9,6 მმ-ს, წონა — 907 გრამს. Ballistic Clipboard-ის შექმნა მსურველს 150 დოლარად შეუძლია.

# მიინარა კაპრალს სეკანები „დელოუზინათი“ ავსიზღავდა

„დელოუზინა“ ამერიკულ ვარშიც ვითვალა. ვოველ შემთხვევაში, ასეთი შეხედულების განენის საბაბს აშშ-ის საზღვაო ქვეითთა სერჟანტის ბენჟამინ ჯონსის საქმე იძლევა, რომლის განხილვას სულ მალე სასამართლო დაიწყებს. განმითების ვერსიით, სწორედ ჯონსმა მიიყვანა აუღანეთში სამსახურის დროს მის დაქვემდებარებაში მყოფი კაპრალი ჰარი ლიუ თვითმკვლელობამდე.

სამხედრო გამოძიებლებმა გამორკვეეს, რომ ჯონსი ლიუს განცირებდა, სცემდა. მუდმივად აი-

ძულვდა გაეკუთვინა აზიდვები, ეტპმა ქეშია და ა.შ. საერაუდოდ, სწორედ ასეთმა მოპორობამ მიიყვანა ლუ საზღვისწერო ნაბიჯამდე.

თავისა ამტკიცებს ბრალდებულის ადოკატი, რომელიც ირწმუნება, რომ „დელოუზინა“ არაფერ შუაშია და ჯონსი საზღვაო ქვეითთა ნორმების დაცვით მოქმედებდა. ადოკატის თქმით, სერჟანტი ამ მეთოდებით აფხიზლებდა კაპრალს, რომელსაც საგუშაგოზე მუდმივად ეძინებოდა და სხვებს საფრთხეს უქმნიდა.


# სამხედრო როზომი-სახელოსანი გაოცდის ჯაიხვ ღაღა

აშშ-ის თავდაცვის სამინისტროს პერსპექტიული კვლევების სამმართველო (DARPA) ოთხეჭა რობოტ-საჭურველმტვირთველის პროტოტაიბის მანამტაბურ საველე გამოცდას იწყებს. შედეგად, პროექტ LS3-ს (Legged Squad Support System) 180 კგ მასის ტვირთს აკვიდებენ და დლე-ღამის განმავლობაში, დაუტენაედ, 32 კმ მანძილის გაგვას „დააფლებენ“.

რობოტმა ვიდუოსენსორების მეშვეობით ორიენტირება „პატრონის“ გადაადგილებაზე უნდა მოახდინოს. ამასთან, აპარატმა დამოუკიდებლად უნდა შეძლოს გზად შემხედრო წინააღმდეგობების გადალახვა და საჭურჭლის შემთხვევაში, მარშრუტის კორექტირება.

გარდა „სახელოსანი“ პროექტ LS3-ს ენერჯის დამატებითი წყაროს ფუნქციის შეთავსებად მოუწევს, რათა საჭურჭლის შემთხვევაში სამხედროებმა რადიოსაღვრუებისა და პორტატული აპარატების დამუხტვა შეძლონ. მომავალში ამ დავეგმილია, რობოტის აუდიოსენსორებით აღჭურვა, რათა მან ისეთ სიზონ ბრძანებებზე იმოქმედოს, როგორცაა მაგალითად: „სდექ“, „დაჯექ“ და „ჩქარა ჩემთან“.

ამ მოწყობილობის შექმნის მთავარი მიზანი არმისა და საზღვაო ქვეითთათვის გადაადგილებისას სასადაო დატვირთვის შემსუბუქება და შესაძობისად, მათი ბრძოლისუნარიანობის ამაღლებაა.





# ამერიკული იარაღი

## ახალი აგვისონგან დახვის პანახა ვიკ გუნდება

აშშ-ისა და საქართველოს პრეზიდენტების ოფიციალური შეხვედრის შემდეგ საქართველოს მოსახლეობის ნაწილს იმედი ჩაესახა, რომ ამერიკა ქართულ არმიას შეიარაღებას მიაწვდის, რის შემდეგაც რუსეთის შესაძლო სამხედრო აგრესიის მოგერიება პრობლემა არ იქნება. ამ იმედს საზოგადოებას გარკვეულწილად თავად საქართველოს დღევანდელი ხელისუფლების სტეფანაშვილი დონის წარმომადგენლები აძლევენ, რასაც საფუძველი პრეზიდენტ სააკაშვილის იმ განცხადებამ ჩაუყარა, რაც მან თეთრი სახლის ოვალურ კაბინეტიდან გამოსვლისას იმედი გააკეთა.

პრეზიდენტ ობამასთან მოლაპარაკების შემდეგ მიხეილ სააკაშვილის მიერ გაკეთებული რამდენიმე განცხადების ანალიზიდან შედეგი დასკვნა გამოდის, — აქამდე ამერიკული მხარე ქართულ არმიას ჯამაგობაში არ სამხედრო კონტინგენტის აღჭურვა და მომზადებაში, რომელიც ავღანეთში ISAF-ის სამშვიდობო მისიამო იტვირთებაში, ამერიკიდან კი ქართულ-ამერიკული სამხედრო-ტექნიკური თანამშრომლობა უშუალოდ საქართველოს თავდაცვისუნარიანობის მნიშვნელოვან გაზრდას მოხმარდება.

თუ ეს ყველაფერი მართლაც შეესაბამება სინამდვილეს, მაშინ მართლაც ჩნდება პერსპექტივა, რომ ქართული არმიის ბრძოლასუნარიანობა მნიშვნელოვნად გაიზარდოს.

რა საიხლო შეიძლება იყოს ამერიკულ სამხედრო დახმარებაში? სამხედრო

კადრებს ამერიკულ სამხედრო სასწავლებლებში აქამდეც აზრადებდნენ და ლოგოკური იქნება, ვიფიქროთ, რომ საიხლო შეუძლება თავდაცვის დანიშნულების შეიარაღების ზოგიერთი სახეობების გადმოცემას ქართული არმიისათვის.

ამ თემაზე დიდი ხანია ლაპარაკობენ. ჯერ კიდევ 2008 წლის რუსეთ-საქართველოს ომიდან რამდენიმე დღეში თბილისში ჩამოსული ორი ამერიკელი კორეკორსეზი აცხადებდა, რომ აუცილებელია აშშ-მა ქართულ არმიას ტანკსაწინააღმდეგო და საზენიტო შეიარაღება მიაწოდოს.

ამერიკული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტინგერი“ და ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „ჯაველინი“ სწორედ ის შედარებით მარტივი შეიარაღების ნიმუშებია, რომელიც სწრაფად ათვისება ქართულ არმიამო არ უნდა გაუჭირდეს.

სიტყვა მარტივი იმიტომ ვახსენებთ, რომ ორივე კომპლექსი მოქმედებს პრინციპით „გაისროლე და დაივიწყე“, ანუ მიზანში დამიზნების შემდეგ ოპერატორი უშუალოდ რაკეტას და აღარ მონაწილეობს მის დამიზნებაში. რაკეტის თვით დაყენებული სითბური დამიზნების სისტემა თვითონ „პულსობ“ თვითმფრინავის („სტინგერის“ შემთხვევაში) თუ ტანკის („ჯაველინის“ შემთხვევაში) გახურებულ ნაწილებს — ძრავებს.

გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი „სტინგერიდან“ 180-დან

3800 მ სიმაღლეზე მფრენი სამიზნისკენ მაქსიმალური 4800 მ სიშორიდან შეიძლება რაკეტის გაშვება. ეს სწორედ ის სიმაღლეებია, რომლებზეც 2008 წლის აგვისტოს ომში დაფრინავდნენ რუსული დამრტყმელი შეუქმდფრენები Mi-24-ები და მოიეროშე თვითმფრინავები Cy-25-ები.

გადასატანი ტანკსაწინააღმდეგო მართვადი სარაკეტო კომპლექსი „ჯაველინი“ განკუთვნილია მოწინააღმდეგვის ჯავშანტექნიკასთან საბრძოლველად მაქსიმალურ 2500 მ დისტანციაზე. „ჯაველინი“ განმსხვავებული ნიშანი ანალოგიური კლასის სხვა კომპლექსებისგან ის არის, რომ მისი კუმულაციური ეფექტიანი რაკეტა მოწინააღმდეგის ტანკს უშოიდან უტყვს, ზედა ჯავშანი კი ყველა ტანკს უფრო თხელი აქვს, ვიდრე შუბლა. ეს ფაქტორი აუცილებლად გასათვალისწინებელია, რადგან აფხაზეთში მე-7 საოკუპაციო ბაზაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს უკვე შემოფენილი ჰყავს T-90A ტიპის შედარებით თანამოედრე ტანკები, რომელიც შუბლა ჯავშანი უფრო გაძლიერებული აქვთ მოიქველბულ T-72-თან შედარებით, თუქვა ზედა ჯავშანი თითქმის იფეა დარჩა.

რუსული T-90A-ს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი აქვს, — მათვე დაყენებულია ობტურ-ელექტრონული ბრძოლის კომპლექსი ШТОРА-1, რომელიც ღზერული სხეულის მართვადი ტანკსაწინააღმდეგო რაკეტების მოსაკერიებადაა განკუთვნილი. ამერიკული

„ჯაჯელინის“ დამზნების სიბური სისტემა კი პასურია და მის მოქმედებას რუსული ШТОРА ხელს ვერ შეუძლის.

მიუხედავად იმისა, რომ ამერიკული „სტინგერების“ და „ჯაჯელინების“ მოწოდება გააძლიერება ქართული არმიის ბრძოლას თავდაცვით პოზიციებზე. ეს შეიარაღება მაინც არ არის პანაცეა და ვერ უზრუნველყოფს საქართველოს სრულ დაცვას რუსეთთან შესაძლო ახალ ომში.

„სტინგერები“ უძღურა 4 კმ-ზე მაღლა მფრენ რუსულ ბომბდამშენებთან საბრძოლველად, არადა, რუსულმა საფრონტო Cy-24M-ებმა და შორი მოქმედების Ty-22M3 ტიპის ბომბდამშენებმა 2008 წლის აგვისტოს ომში საქართველოს სტრატეგიული ობიექტები (მათ შორის — კოპიტნარის აეროდრომი) სწორედ იმ სიმაღლიდან დაბომბეს, რაც „სტინგერისთვის“ მიუწვდომელია.

აქედან გამომდინარე, უპირანი იქნებოდა, თუკი აშშ-ის სამხედრო დახმარება გაითვალისწინებდა საქართველოს საპაირო სურვის კულონირებულ დაცვას. თუკი „სტინგერები“ შეძლებდნენ დაახლოებით 5 კმ სიშორესა და 4 კმ სიმაღლეზე ცის „ჩაკეტვას“, უფრო მძლეური საზენიტო საშუალებები კი, თუნდაც „პეტრიოტები“, თითქმის მთელ ქართულ ცას დაიცავდნენ.

„პეტრიოტის“ საზენიტო-სარაკეტო სისტემის მრავალფუნქციურ რადიოლოკატორს საპაირო სამიზნის

აღმოჩენა 70-დან 180 კმ სიშორეზე (70 კმ-ში ფიქსირდება რაკეტის ქობინი, 100 კმ-ში — რაკეტა, 130 კმ-ში — გამანადგურებელი, ხოლო 180 კმ-ში კი უფრო მობრძილი ბომბდამშენი) შეუძლია და ერთდროულად 125 სამიზნეს აცილებს. თავად საზენიტო რაკეტას კი მაქსიმალურ 24 კმ სიმაღლეზე და 80 კმ სიშორეზე აზიანებს აეროდინამიკურ სამიზნებს.

ამ ტაქტიკურ-ტექნიკური მახასიათებლებიდან ჩანს, რომ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში დავეწვებული (მაგალითად, ფოთში, სენაკში, ქუთაისში, გორში, თბილისში, მარნეულსა და თლავში) „პეტრიოტების“ საზენიტო ბატარეებში მართლაც საიმედოდ შეიძლება ქართული ცის უფროსიზების უზრუნველყოფა.

თუმცა არა მთლიანად. საქმე ის არის, რომ ცხინვალის შე-4 საოკუპაციო ბაზაში რუსეთის თავდაცვის სამინისტროს შეტანილი აქვს „სმერჩის“ ტიპის ზალბური ცეცხლის რეაქტიული სისტემები, ასევე, საჯარაოდ, „ტოჩკა-უ“ ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკური სარაკეტო კომპლექსები.

„სმერჩა“ თავის 12 ცალ 300 მმ-იან 800 კგ-იან უმაროვ რაკეტებს მაქსიმალურ 70 კმ-ზე (მოდერნიზებული რაკეტები — 90 კმ-მდე) ისვრის, რაც საკმარისია ოკუპირებული ახალგორის რაიონიდან თბილისამდე მოსაღწევად. „პეტრიოტების“ რაკეტების მარა-

გი არ უფოა „სმერჩების“ უმაროვ რაკეტების ზალბის მოგერიებასაც კი, მით უმეტეს, რომ „სმერჩის“ ერთი რაკეტის დასაზიანებლად არანაკლებ ორი ან უფრო მეტი „პეტრიოტის“ გამოება იქნება საჭირო.

იფვე ითქმის „ტოჩკა-უ“-ს ტიპის ოპერატიულ-ტაქტიკურ რაკეტებზე, რომლებიც მაქსიმალურ 120 კმ-ზე მიფრინავენ და მათთვის გზის გადაჭრა ძალზე შეძლია.

ასე რომ, ამერიკული იარაღის შექმნა ვერ იქნება პანაცეა და საქართველოს მოსახლეობამ არ უნდა ჩათვალოს, რომ ამით ყველა საფრთხე განეიტრალებება. პირიქით, თუკი ოფიციალურ თბილისს მოუწია ამერიკული შეიარაღების მსოფლიო ბაზრის ფასებით შემქნა, მას საქართველოს ბუჯეტზე ვერ გაუძლებს. მაგალითად, „ჯაჯელინის“ ერთი რაკეტა 75 ათას დოლარზე მეტი ღირს, „სტინგერი“ ბევრად უფრო ძვირი, „პეტრიოტზე“ კი დაპარაკც არ ღირს. თუკი ამერიკული მზარე გამოიყენს კითლ ნებს და თავდაცვითი შეიარაღების ნაწილს მაინც ქართულ არმიას სიმბოლურ ფასად დაუთმობს, ეს სხვა საქმე იქნება.

თუკა, ვერჯერობით ისეთი შთაბეჭდილება რჩება, რომ იფორი სახლი აკეორდება საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ მოვლენებს და ნამდვილად არ იქცარებს ქართული არმიის გადაიარაღებას.

**ირაკლი ალაღაშვილი**

**ამერიკული „ჯაჯელინით“ რუსული ტანკის აფეთქება კი შეიძლება, მაგრამ „ჯაჯელინები“ ვერ ქართული არმიის ოცნებებშია, რუსული T-90A-ები კი რაღურად დგანან საოკუპაციო ბაზებში**





# შექმანი შანი ახსნანი „ახსნანთან“ ერთად

ოხ ჰვიხაში ერთხად, შეიქმნათ ერთხანთან ერთად  
საბჭოლო ტექნიკის თითოეული ნაწილი

აანვე და შეაგროვე საბჭოლო ტექნიკის  
მოდელების კოლექცია საკუთარი ხელით  
მკრატლისა და ნებოს გარეშე.



თითოეული 3D მოდელის  
ფასი: 3,5 ლარი  
შარალთან ერთად 5 ლარი.



გაღე!





# აპლანეთში ნაყოფი ქართული ოფიცრის ნააგობი

## „აპლანეთში „ანაკომაზის ჯარისკაცების“ აღმოჩენა“

ბოლო დროს ქართულ საზოგადოებაში დავის საგანი გახდა, უნდა მონაწილეობდეს თუ არა ქართველი ჯარისკაცი ავღანეთში სამშვიდობო მისიაში. ამ საკითხზე როგორც მოქალაქეებს, ისე სამხედრო პირებსაც განსხვავებული პოზიცია აქვთ. ერთი ნაწილის აზრით, როცა სამხედრო პირი პროფესიულ არჩევანს აკეთებს, იმაზეც უნდა იფიქროს, რომ ერთ დღესაც ომში ჩაბმა მოუწევს, მეორეს თქმით კი, საქართველოს ხელისუფლება და თავდაცვის სამინისტრო ჯარისკაცებს არჩევანის საშუალებას არ უტოვებს და უცხო ქვეყნის მიწაზე საომრად იძულებით გზავნის... ჩვენი რესპონდენტი 29 წლის ვანი უკვე მეორეჯერ მიდის ავღანეთში. ჩვენ მას სწორედ ამ საკითხზე ვესაუბრებით:

— პირველი კონტრაქტის ხელმოწერის შემდეგ, 33-ე ბატალიონი მონაწილედ გერმანიაში გაგვგზავნეს, სადაც კერძო კომპანია და ამერიკელმა ინსტრუქტორებმა სხვადასხვა ტიპის სამხედრო დეველოპმენტს ერთად, სწრაფად, პატრულირება, თავდაცვა, სამხედრო საქმე, გაწმენდილი საბუხარი, ბრძოლის ხაზიდან დაჭრის შემთხვევაში და სხვა წვრთნები ჩავატარებ. დიდი ყურადღება ეთმობოდა აირადისა და სამხედრო ტექნიკის მოხმარების, ნაღმების გამოყენების, სავიწრო პარაშუტში პირველადი სამდიდროს დახმარების გაწვევის შესწავლას, მაგრამ უმთავრესი და უმნიშვნელო იყო, ფსიქოლოგიური ტრენინგები.

— ავღანეთში წასვლამდე კონტრაქტის პირობებს გაეცანით?  
— დიახ, ისე როგორ წვედილი?  
— რა პირობებს ვთავაზობდათ სახელმწიფო, როგორც დაქირავებულ სამხედროს, რა ვალდებულებები და უფლებები გეკისრებოდათ?

— ამ ინფორმაციის გახმაურების უფლება არა მაქვს, ჩვენ სამშვიდობო მისიაში ვიყავით და თუ ჩემი ანაზღაურების ოდენობა გაინტერესებთ, როგორც ოფიცერი დაახლოებით 2.200-2.500 ლარს ვიღებ, მაშინ როცა ამერიკელ სამხედროს 6.300 დოლარი აქვს, მაგრამ ჩვენზე მეტს წუწუნებენ. ასე რომ, ავღანეთში ფულის გამო არ წუხებოდა, მაინტერესებდა, მქონდა თუ არა თავდაცვისუნარიანობა გამოუმუშავებული. სხვის მიწაზე სამხედრო მოქმედებებში მონაწილეობას სხვათაგან არ მოტყუავია სჭირდება და იქ ფსიქოლოგიური სტრესი ორმაგად ძლიერია. თუმცა, ჩამოყალიბებულმა სამხედრომ ეს უნდა დასხდომის. თუ თქვენ როგორც „ანაკომაზის ჯარისკაცი“, ისე შეიქითებათ, მათგან განსხვავებით, წუწუნს არ გამოიბრუნებ.

— „ანაკომაზის ჯარისკაცები“ ვინ არიან?  
— ვინც კონტრაქტს ხელფასის გამო აწერს ხელს და შემდეგ ქართულ არ-

მიამი შეთავაზობსან შევიწროებაც, წნებსა და ათასგვარ სისუფლებზე ჭირაობს.

— სინამდვილეში მსგავსი რამ ქართულ არმიამ არ ხდება?  
— არა, ვისაც ჯარის ცხოვრებაზე ოდნავი წარმოდგენა მაინც აქვს, ამას არ დაიჯერებს. ვინც ღონილო და სოფლიდან თოხს გამოექცა, ცხადია, ის ჯარის ცხოვრებაზე იწუწუნებს. ასეთ ჯარისკაცებს შეთავაზობა, რა თქმა უნდა, მკაცრად მოეპყრობა, იმიტომ, რომ არმიას თავისი წესები აქვს და ჯარისკაცმა ის უნდა შეასრულოს.

— კიდევ აბირებთ ავღანეთში წასვლას?  
— დიახ, ჩემი 21 წლის ძმაც აბირებს ჩემთან ერთად ავღანეთში წასვლას. ის პირველი კონტრაქტზეა. ვიცი, რომ ძალიან გაუჭირდება, მაგრამ მაინც ვერც დეკლავი. დემთომა ქნას, ერთ ნაწილში მოგვიწიოს სამსახურმა, თუ არა და, არც ვუ ვარი სავანგაში. ეს მისი არჩევანია. იქ წახული აღმამიან ან ფსიქოლოგიურად ძლიერდება, ან დეპრესიაში ვარდება, რადგან ავღანურ სამშვიდობო მისიაში სამსახურის ფსიქოლოგიური მოტყუავია ვეფლას არა აქვს. ეს არის საკუთარი თავის გამოცდვა და იქ იძულებითი ჯარისკაცის გაუმება ანტი-სახელმწიფოებრივი ქმედება, რომელიც კანონით, უნდა იხუტობდეს. არ ვიცი, სხვა სამხედრო ნაწილებში არა ხდება, მაგრამ ჩემთან მსგავსი რამ არასდროს გამიგია. ახლა ათზე მეტი სამხედრო ვ-



პირებზე მხოვე კონტრაქტით აღიწეს-  
ნაწესდა. ჯანდაცობის მქონე  
პრობლემების მიუხედავად, წინა გაძვირ-  
და საშუალოდ ჩაუბარა. წარმატებული  
სამხედრო კარიერისთვის საჭიროა, იმ-  
ზე რაც შეიძლება მეტი რეალური მი-  
მდგენა შეინდეს. აფიანთში წასვლა  
მიზეზი გადგენილია, რომ საკუთარი  
თავის გამოცდა მიიღება და გერმანიაში  
ფიქსირებული ტესტების ჩაბარების  
დროს ძალიან მიხარობდა, რომ ვუძღვებ-  
და იმას, რასაც ამერიკელები და ფრან-  
გები ვერ უძლებდნენ.

**— სხვა ქართველებმა როგორ ჩააბარ-  
ეს ტესტები?**

— ძალიან გავეჭიბრდა, მაგრამ ჩა-  
ვაბარეთ.

იქიდან პირდაპირ აფიანთში, პილ-  
მენდის პროვინციაში გვიკურს თავი. ერთ-  
ი კვირა კაცისმთელი ყურადღებას არ  
გვაქცევდა. სახლებიც კი არ უთიხრავთ,  
ვგაშობით, ვგარჯიშობით, ვლიცულობ-  
დით და გვეძიებ. აფეთქების ხმები რომ  
არ ყოფილიყო, თავი სანდარბოროში  
გვეფრთხილდა. ის უმოქმედო ერთი კვი-  
რა ლამის ერთ თვედ იქცა. როცა ამერი-  
კელი ჯარისკაცების ცხვრების რეჟიმს  
უკუვრუნდით, გვშეშალა. უსაქმოდ ერთი  
წუთითაც ვერ ნახავდით. კინადაც უუთ-  
ინდო ერთ ამერიკელ სერგანტს, შუა  
სამუშაოს მაინც გაუკეთებოთ.

**— ამერიკელ სამხედროებთან ურთი-  
ერთობა გეცოდნება?**

— რა თქმა უნდა, თითქმის ყოველ-  
დღიურად ჩვენ ყველაფერი გვაინტერე-  
სებდა და სამომავლო მოქმედებებიდან დაბ-  
რუნებულებს ვკითხვობდით, რა იარაღი  
აქვთ თაღბებზე, როგორი სამხედრო  
მოზადაები და აღჭურვილობა, ვგუფუ-  
რდა იბრძოდნენ თუ ცალ-ცალკე. იმასაც  
კი, რას ჭამდნენ. ჩვენს შკაითხვებზე ძა-  
ლიან მანიკა პასუხებს გვაძლევდნენ, —  
ცოტა ხანს მოცადეთ და ყველაფერს  
საკუთარი თვალით იხილავთ. ციცი-  
ლით, რომ საბრძოლო მოქმედებებში  
არ მოგვეწყვედა ჩართვა, თუმცა, მათ-  
თან ურთიერთობას ვერ გავწყვიტოვდი  
თან, გვემინიდა მათთან შეხვედრის და  
თანაც ვგაინტერესებდა. თავიდან ამერი-  
კელები გვეყურებდნენ, მათთან პირის-  
პირი შეხვედრა აღარ მოვიწყვეთი. როცა  
ამერიკელი სამხედროები ამას გვეუბნე-  
ბოდნენ, საკუთარ უპირატესობას გვაგ-  
რანობოდნენ, თალიბებთან ბრძოლა  
რა თქმის სასწრაფო. არადა, შემდეგ არა-  
ერთხელ ვნახე ატირებული ამერიკელი.  
მართალია, ჩვენზე კარგად არიან მომზა-  
დებული ფიზიკურად, სამხედრო ტექნი-  
კაც კარგად აქვთ შესწავლილი, მაგრამ  
დავარქმუნდი, რომ მთლიანი ავტომატის  
ტიპით არ ფასდება. სხვათა შორის, ამას  
ამერიკელებიც აღიარებდნენ.

მოკლედ, კარგა ხანს შვიდავ ვეცა-  
ვით თუ არ ჩავთვლით იმას, რომ პატ-  
რულირების დროს რამდენჯერმე თალი-  
ბების შეტევის სამიხნე ჩვენც გავხდით.

**— თქვენ რა გვეუბნებოდა?**

— მითითდავ, პატრულირება. ასევე  
ემონაწილეობდით გაწმენდით სამუშაო-  
ბებში, რომელიც არანაკლებ სახიფა-  
თია, იქ ბავშვებიც შეიარაღებულია.  
**მნიშვნელობა არა აქვს ახას, 12 წლის  
ზემოთ ყველა ბიჭი იარაღს ატარებს,  
„აკალაშნიკოს“ მაინც.** დანადგარულია მათ  
საცხოვრებელი სახლების მიმდებარე  
ტერიტორიები. ადგილები, სადაც მათი  
შეილება იამაშობენ. ეს თითქოს გვერ-  
ტიკური კოდა, — იციან, რა ადგომას  
არ უნდა გაიარონ. ვინაიდან ეს მხარე  
ქეიშანია და ქართველ ჯეულებზე იმე-  
დუნება, ხალხი სახეავსული დიდ-  
თქმა, უთუგაბურთუდაც იოლი არ  
არის იმის გამოცნობა, საშუაა თუ არა.

**— რაობ?**

— იმტომ, რომ მიუხედავად იმისა,  
რომ მათ ქვეყანაში იომა და ავითქებებს  
შეჩვეული არიან, მუდმივად მზარეული  
სახეები დიდან. შეუძლიათ სიკვდილის  
გაღიმებული შეტენდნენ. ერთ ადგილს  
ვკითხე, როგორ შეგობლიათ ასე ბელ-  
ნიერი დიმილით იართო, როცა ფეხელ  
წუთს სიკვდილი გემუქრებთ-მეთუი. ში-  
პასუსხა, ალაბი გვეუბნება, სანამ ცოც-  
ხალი ხარ, სიცოცხლით დატკობ და  
ხელაინდელ დღეზე ნუ ფიქრობ.

**— როგორია აფიანთში ქართველი  
სამხედროების ერთი დღე?**

— სხვადასხვაგვარი. ვერ ვიტყვი,  
რომ არ მემინიდა, მაგრამ მერე შევეჩვი-  
ეთ, იხვე, როგორც დაფილითი თალი-  
ბების ცქერას. თუმცა, თაიდან ბაზაში  
დაბრუნებულები საჭმელს ვეღარ ვგაბ-  
დით, რისთვისაც ამერიკელი ინსტრუქ-  
ტორებისგან შენიშვნა მივიღეთ შენიშ-  
ვნას იქ უფრო სწავლებას ფორმა აქვს  
და არა სავეფურის.


როცა აფიანელები მოსაგალს იღე-  
ბენ, მათი მოსაგალი კი ნარკოტიკია, ამ  
დროს ერთი ნაწილი შედარებით მშვი-  
დად არის, მოსაგალის აღებაზეა კონ-  
ცენტრირებული, მაგრამ მხოლოდ ნაწილი,  
მშვიდიდან მოსახლეობის ჩაივლით,  
აგრესიულია, რადგან ცდილობენ, მო-  
საგალი ამერიკელი სამხედროებისგან  
მალულად მოიფინონ, რათა ნარკოტი-  
კები არ გაუნადგვრონ. ცდილობენ, მო-  
საგალი საზღვარზე გადაიტანონ და გა-  
ვიყონ. შემოსავლიდან კი იარაღისა და  
ტყვია-წამლის გარდა თითქმის არაფერს  
ვიყიდობენ. ამ დროს თითქმის არაფერს  
ყველა ნაგლეჯს ნაღმვენ. ამ ადგი-  
ლებში გეგლა ტანკითა და ჯეუშინტრან-  
სპორტიორითაც სარისხია, შეიძლება  
ქვეითსაინააღმდეგო ნაღმების ქვემ,

ე.წ. „ლიაგუშკეს“ წაწყვედ. შედარებით  
ნაკლებად საშიშა „ლიბისტოკი“, სა-  
მხედროების ფესვთა მოსაგლეჯს. ამიტომაც  
ამ ადგილების მონაშენა და შემდეგ მისი  
გაუნებლება გვეწყვედა. **პატრულირების  
დროს ჩვენი ბიჭები ვეღარც ხშირად  
ნაღმებზე ფეფქებდნენ, რაც ჩემი აზრით,  
გაფრთხილებულიან ბრალია.** ხშირად  
იღუპებდნენ ამერიკელი სამხედროებიც,  
მაგრამ როგორც გითხარით, მათ სამ-  
ხედრო ტექნიკა ჩვენზე უკეთ აქვთ ათ-  
ვისებელი, ამიტომაც უფრო თალიბების  
თავდასხმების ან პირისპირ შეტაკების  
დროს იღუპებდნენ. იხინი პრაქტიკულად  
პარტიზანულად იბრძობენ.

**— იქ მყოფი ქართველები თქვენს  
აზრს იზიარებდნენ?**

— ყველა — არა. **მას შემდეგ, რაც  
თალიბების თავდასხმის დროს დამჭრეს,  
ბიჭებმა თქვენი, ოღონდ პქედნენ ცოც-  
ხლებმა გაესწროთ და მეტი არაფერი  
გვენდო.** მუსუბუად დავშავდი, იქვე, ბა-  
ზაში ვაგამიხეებდი ჭრილობა. ახლა იმე-  
და მაქვს, ისეთ ადგილას მოვრევიბი,  
სადაც საბოლოო მსროლის კევილი  
კაციას ავიძალდებ. მე ვუსაბურე ერთი  
ნამყოფ ბიჭებს, ჩვენი საციციკა მკვეთ-  
რად განსხვავდება, ისინი საბოლოოდ  
და უფრო მეტად ანტიტერორისტულ  
იპერაციებს ატარებდნენ, ჩვენ ბევრად  
სერიოზულ მტერთან გვერდეს შეგბა,  
რომელიც კარგად იყენებს თავისი ქვე-  
ვის რელიეფს.

**ლალი პაპასპირი**



აფიანთში  
ომა კიდევ  
დიდხანს არ  
დაითავრება

# ირანს პირველ „გომავაკებს“ GEORGIA-დან უსვრიან?



თუკი ირანთან ომი მაინც დაიწყო, Georgia-ს სახელი მაინც გაიტყობს, ოღონდ არა საქართველოს, არამედ ამერიკელი ატომური წყალქვეშა ნავისა.

საკუთრდება იმით, რომ ამერიკა საქართველოდან დაბოძებს ირანს, არ წყდება, თუმცა ეს ტექნიკურად შეუძლებელია, რადგან ამისთვის საქართველოდან ამერიკულმა თვითმფრინავებმა ან თურქეთის, ან სომხეთის, ან აზერბაიჯანის საჰაერო სერვისები უნდა გადალახონ, რომ შეაღწიონ ირანის ტერიტორიაზე.

მიუხედავად ამისა, სიტყვა Georgia შეიძლება ხშირად ფეიკურად იყოს, თუკი აშშ-მა გაბუდა და მართლაც დაარტყა ირანის სტრატეგიულ ობიექტებს, ოღონდ ეს იქნება არა საქართველო, არამედ ამერიკის ატომური წყალქვეშა ნავი SSGN 729 Georgia.

საქმე ის არის, რომ ამერიკული Georgia უშუალოდ ირანის სანაპიროს ახლოს დრეიფობს და მისი შეიარაღე

ბა საკმარისია წერტილურად საკვირვარ დარტყმების მისაყენებლად ირანის სტრატეგიულ ობიექტებზე.

Georgia-ს ძირითად შეიარაღებას Tomahawk-ის ტიპის 154 ცალი ფრთოსანი რაკეტა შეადგენს. „ტომავაკის“ ფრენის სიშორე 1600 კმ-ს აღწევს, რაც საკმარისია იმისთვის, რომ Georgia-მ სპარსეთის ან თუნდაც ომანის ყურებიდან გაუშვას ეს რაკეტები და მათ თერანამდეც მიაღწიოს.

„ტომავაკების“ მართვისა და დამზინების სისტემაში გამოყენებულია გლობალური პოზიციონირების სისტემა — GPS-ი, რომელსაც რაკეტა ზედ მიზანზე, სულ რამდენიმე მეტრის ცდომილებით გაჰყვას, რაც დღეს მაღალ სიზუსტედ ითვლება.

მართალია, თითოეული „ტომავაკის“ სტარტი 1-1,5 მლნ დოლარის პა-

**ჩაჩენი დონეში:** ატომური ავიანობილ SSBN 729 Georgia-ს მშენებლობა 1979 წელს დაიწყო და წყალში 1982 წელს ჩაუშვეს. აშშ-ის სამხედრო-საზღვაო ძალების შეიარაღებაში 1984 წელს მიიღეს. თავდაპირველად Georgia-ს ძირითად შეიარაღებას 24 ცალი სტრატეგიული დანიშნულების ბირთვულკოზბინიანი „ტრაიდენტ“ შეადგენდა. 2005-2007 წლებში Georgia-ს, ისევე როგორც „ომაიოს“ კლასის პირველ სამ წყალქვეშა ნავს, მოდერნიზება ჩაუტარდა და ბალისტიკური რაკეტების ნაცვლად მის შესტებში „ტომავაკის“ ფრთოსანი რაკეტები განთავსდა. ამასთან, წყალქვეშა ნავებს გაუწერდა ტექნიკური შესაძლებლობები მოწინააღმდეგის ნაპირზე მგენითაგების სადაზვერუო-სადიფერსიო ჯგუფების გადასახმებლად. ყოველი ამის შემდეგ შეიცვალა Georgia-ს კლასიფიკაცია და მას SSGN 729 ქოდა.

ერში გასროლის ტოლფასია, მგარამ სწორედ „ტომავაკებით“ მიადწია აშშ-მა პაკურში გაბატონებას ყოველი ოკგოსლეთის (1999 წ.), ერაყის (2003 წ.) და ლიბიის (2011 წ.) ომებში.

თუკი Georgia-დან ნასროლი „ტომავაკები“ გაანადგურებს ირანის საჰაერო თავდაცვის სისტემის მართვის ცენტრებს, რადიოლოკატორებსა და საზენიტო-სარაკეტო კომპლექსებს, ისრაელისა და ამერიკის დამრტყმელ თვითმფრინავებს შედარებით უფიჯითად შეეძლებათ ირანის ცაში „ნაჟარდ“ და ბუნკერსაწინააღმდეგო მძლავრი ბომბებით მიწისქვეშა ატომური ობიექტების ზუსტად დაზიანება.

რა თქმა უნდა, Georgia ერთადერთი ამერიკული სამხედრო ხომალდი არ არის ირანის სანაპიროებთან, რომელიც „ტომავაკებითა“ შეიარაღებული, სამხედრო ანალიტიკოსების გამოთვლით ამაჰმად სპარსეთის ყურესა და არაბეთის ზღვაში მოდერნიკე შე-5 ოპერატიული ფლოტის ხომალდების შეიარაღებაში 300-ზე მეტი „ტომავაკია“ განთავსებული, ხოლო როდესაც მათ მარტის ბოლოს ატომური „ენტერპრაიზის“ საავიანობილო ჯგუფიც შეუერთდება, „ტომავაკების“ რიცხვი 420-მდე გაიზრდება.

ატომური ავიანობილი Georgia კი, აღბადა, პირველი იქნება, რომლის ბორტიდან სტრატეგიული „ტომავაკები“ ირანისკენ გაუფრინდება.

ირაკლი ალადაშვილი



წყალქვეშა მდგომარეობაში მყოფი ატომური Georgia-დან ფრთოსანი რაკეტა Tomahawk-ის გაშვების მომენტი



ქართული Ми-24-ის დაწვის მომენტი სენაკის აეროდრომზე



# დაძვარი შვეულფრენიდან მომდინარე რადიასიური სფრთხე

ავიაციის ომში დამზარი ქართული და რუსული შვეულმფრენების ნარჩენებში სახიფათო რადიოაქტიური იზოტოპები დარჩა, რომლებთანაც ხანგრძლივი კონტაქტი ადამიანის ჯანმრთელობისთვის საშიშია.



შეიძლება ამ სტატიის დაწერა ჯერ კიდევ 2008 წლის ავგისტოს ხუთდღიანი ომის დასრულებისთანავე უფრო უპირიანი ვიფილიყო, მაგრამ 3,5 წლის შემდეგაც არ არის გვიან, რადგან ის საფრთხე, რაზეც ქვემოთ უნდა ვისაუბროთ, კიდევ გვეშუქრება. ავგისტოს ომში რუსეთის საჰაერო-სადესანტო ჯარების მობილური დანაყოფი გალის რაიონიდან ზუგდიდის გავლით სენაკის ბაზაში შევიდა და ქართული არმიის საამაყო სამხედრო ნაწილი დაიკავა. რუსმა მედესანტებმა სენაკის ბაზაში შენახული ქართული არმიის საბ-

როლო საჭურველის დიდი ნაწილი განადგურეს, ნაწილი კი თან წაიღეს, მათ შორის — ტანკებიც, სახეიტო-სარაკეტო კომპლექსებიც, ტანკსაწინააღმდეგო „ფაგოტებიცა“ და ამერიკული M4 ტიპის ავტომატური კარაბინებიც. სენაკის სამხედრო ბაზაში, რომელიც სენაკის ყოფილ საბჭოთა სამხედრო აეროდრომზეა განთავსებული, რუს მედესანტებს სამი ქართული შვეულმფრენიც დახვდათ — ორი საბრძოლო Ми-24 და ერთიც ამფიბია Ми-14. ისინი მწიობრიდან იყვნენ გამოსული და ამიტომაც მათი გადაფრენა სენა-

კიდან სოხუმაძე რუსმა პილოტებმა ვერ შეძლეს, ამიტომაც სამეფე შვეულმფრენი აეროდრომზევე დაწვეს. რამდენიმე დღის შემდეგ ჯავის რაიონში 16-17 ავგისტოს დამით რუსი შესაზღერეების სტრანსპორტო შვეულმფრენი Ми-8ВМТКО სახელდახელო მინდვრის აეროდრომზე დაჯდომისას რუსეთის თავდაცვის სამინისტროს Ми-24 ტიპის საბრძოლო შვეულმფრენს წამოელო, ორივე შვეულმფრენს ხანძარი გაუჩნდა და ჩაიფერულენენ, დაიღუპა ერთი რუსი ბორტტექნიკოსი. ამ ორ შემთხვევას შეიძლება მხოლოდ ის აერთიანებდეს, რომ ორივე ინციდენტს შვეულფრენი ზუთივე შვეულმფრენი ისევე რუსი სამხედროების კისერზეა. თუმცა, არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნიუანსი — ზუთივე

სენაკის აეროდრომზე დამწვარი ქართული Ми-14-ის ნარჩენები





**ჩვენი დონი:** გაყინვის სიგნალიზატორ რიო-3-ში ბეტა-გამოსხივების მისაღებად გამოყენებულია რადიოაქტიური სტრონიციუმ-90-ისა და იტრიუმ-90-ის ნარევი, რომლის აქტივობა დაახლოებით 25 მკიური, ხოლო ნახევრად დაშლის პერიოდი — 28 წელია

**გაყინვის სიგნალიზატორის რიო-3-ის მი ტიპის შვეულმფრენე განთავსების ადგილი**

შვეულმფრენე დამონტაჟებული იყო რადიოაქტიური იზოტოპის შემცველი სპეციალური ხელსაწყო, რომლის დაწვის შემდეგ რადიოაქტიური ნეთიერება სავარაუდოდ გაიფანტა.

ლაპარაკია რიო-3 ტიპის რადიოიზოტოპურ ხელსაწყოზე, რომელიც გაყინვის სიგნალიზატორია და ის მი ტიპის შვეულმფრენების რეუქტორის გაგრილების პერმომღების წინა ნაწილშია დამონტაჟებული.

როდესაც ვინაღის ფნა პერში მფრენი შვეულმფრენის გაყინვის სიგნალიზატორის მალაკ ფარეს, მასში მოთავსებული რადიოიზოტოპის მერ გამოსხივებული ბეტა-გამოსხივების სიძლიერე მკირდება და მას ვეღარ აფიქსირებს მიძღება ხელსაწყო, რის შემდეგაც

პილტვის კაბინაში ინება „გაყინვის საშიშროების“ მარეწებული წითელი ციმცია და გაყინვის საწინააღმდეგო სისტემა ავტომატურ რეჟიმში მუშაობას იწყებს.

ასე რომ, რიო-3-ის გარეშე შვეულმფრენს (განსაკუთრებით ზამთარში) დიდი საფრთხე ელის.

25 მკიური გამოსხივება შეიძლება



კიდევ ერთი მი-24-ის ნარჩენები, რომელიც სენაკში დაგვიწვს





ჯავახიანი, მინდვრის აეროდრომზე დაბით დაჯდომისას ერთი რუსული შვეულმფრენი მეორეს წამოედო და ორივე დაიწვა, ხოლო რადიო-ზოტოპები საფარაულოდ გაიფანტა

კატასტროფული არ იყოს, მაგრამ იმ ტექნიკოსებს, ვინც შვეულმფრენებს გასაფრენად აზადებენ, ინსტრუქცია ურჩევს, რომ **PIIO-3**-ის მილაკს აუცილებლად ჩამოაცვან ტყვიის გარსაც-ში და მასთან ახლოს დიდი ხნით არ გაჩერდნენ. ინსტრუქციის თანახმად, ტყვიის გარსაცმამოცმული **PIIO-3**-ის მილაკთან გამოსხვების სიმძლავრე 10 მრენტგენ/სთ-ში არ უნდა აღემატებოდეს, ხოლო ერთი მეტრის დაშორებით კი 0,3 მრენტგენ/სთ-ს.

კატეგორიულად აკრძალულია ამ

ხელსაწყოს დაშლა და იქიდან რადიო-აქტიური იზოტოპის ამოღება, რადგან ეს ძალიან საშიშია. როგორც სენაკში, ისე ჯავახიანი დამწვარი შვეულმფრენების **PIIO-3**-დან რადიოაქტიური იზოტოპები საფარაულოდ გაიბნა და სხვა დამწვარ დეტალებს შვერია.

აი, შემდეგ სად წაიღეს ეს ჯვართი, ვეკლაზე საინტერესო და სახიფათო სწორედ ეს არის, რადგან სტრონციუმ-90-თან დიდხანს კონტაქტი ადამიანის ჯანმრთელობაზე დამლუკველად იმოქმედებს.

**ირაკლი ალადაშვილი**

**P.S.** რადიაციული საფრთხის შემცველია ერთი ადგილი ზეესურეთში, სადაც 2011 წლის 6 სექტემბერს თვდაცვის სამინისტროს კოშინილი **მი-8** ტიპის შვეულმფრენი ჩამოვარდა და დაიწვა (ამ ინციდენტის დამოუკიდებელი გამოძიება რომ ჩატარდეს, ბფერი საინტერესო ნიუანსი გამოვლინდებოდა, რისთვისაც შესაძლოა, თვდაცვის სამინისტროს მალაჩინოსნების პასუხისმგების საკითხიც დადგეს).



„აგვისტოს 5 დღის“ გადაღებისას ქართული არმიის ჩამოწერილი **მი-8** შენობის საზურგეიდან ჩამოაგდეს და ააფეთქეს. საინტერესოა, ვერა თუ არა მას სამიში რადიო-ზოტოპების შემცველი **PIIO-3**-ი



# ვინ დაზალა საბჭოთა კავშირი: რონაღდ რეიგანმა თუ „ბარონმა“?

დასასრული. დასაწყისი იხ.  
„არსენალი“ N2, 2012 წელი

ბილ კეისს ძალზე საინტერესო ბიოგრაფია ჰქონდა. ის 1913 წელს ნიუ-იორკში დაიბადა და უმაღლესი აუთი-დული განათლება მიიღო. კეისი 1943 წელს ჩაირიცხა აშშ-ის სამხედრო-სახელგაო ძალებში, შემდეგ კი „სტრატეგი-

ული სამსახურის სამმართველოში“, რომელიც იმ პერიოდში სტრატეგიული დაზვერვის ფუნქციებს ასრულებდა. 1944-45 წლებში იყო ამ სამმართველოს კვრობის ქვეყნოცილების ხელმძღვანელი. აი, სულ ეს იყო კეისის სადაზვერუო გამოცდილება. მორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე ბილ კეისიმ ბიზნესში სცადა ბედი – მსოფლიო სა-

ფინანსო ცენტრში „ჟოლ-სტრატეჯი“ ჰქონდა თურიდიული პრაქტიკა, დაარსა რამდენიმე საშუაყოლო ფირმა და ოც წელში მულტიმილიონერიც გახდა. პარალელურად ჩაერთო პოლიტიკაში. აქტიურად მონაწილეობდა აშშ პრეზიდენტ რიჩარდ ნიქსონის ორივე საარეზიდენტო საარჩევნო კამპანიაში.

1971 წლიდან იყო აშშ ბირჟებისა და ფასიანი ძაღაღების კომისიის თეფჯდომარე; 1973-74 წლებში ეკავა აშშ სახელმწიფო მდინის მოადგილის (ეკონომიკურ საკითხებში) პოსტი; 1974-76 წლებში ბილ კეისი იყო აშშ ექსპორტ-იმპორტბანკის გამკეობის თეფჯდომარე; 1976-77 წლებში – საგარეო დაზვერებში აშშ პრეზიდენტის საკონსულტაციო საბჭოს წევრი. 1980 წელს რეიგანის საარჩევნო შტაბს ხელმძღვანელობდა. 1981 წლის იანვარში კი საშოცდარვა წლის მულტიმილიონერი ბილ კეისი აშშ ცენტრალური სადაზვერუო სააგენტოს დირექტორად დაინიშნა.

კეისიმ მთელი სიცოცხლე საბჭოთა იმპერიის დანგრეუას შესწირა. ის იყო რეიგანის ადმინისტრაციის წევრი მინისტრის რანგში და აშშ-ის უსაერთოობების საბჭოს მუდმივი წევრი, რაც მანამდე არც ერთ ცსს-ს დირექტორს არ ღირსებია.

## უჩინარი დირექტორი

ასაკის მიუხედავად, ბილ კეისი აშშ-ის ისტორიაში ცსს-ს ვეღლაზე ენერგიული და „მოძრავი“ დირექტორი იყო.

ნათობის ფახებით თამაშო  
საბჭოთა იმპერიისთვის  
დამღუბელი გამოდგა





ამ პოსტზე ყოფინის დროს სამსახურებრივი თვითმფრინავი C-141 Starlifter-ით მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ჩაივლიდა ვიზიტით.

ექვს წელიწადში მართო ვატიკანის 15-ჯერ ჩქეა. რეიგანის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში რიჩარდ ალენი აღნიშნავდა: „ჩვენ არასდროს ვიცოდით, თუ სად იყო და რას აკეთებდა ბილ კეისი. მას ჰქვია „უჩინარი“ შავი თვითმფრინავი, სადაც ხშირად ცხოვრობდა კიდეც. მთელ მსოფლიოში დაფრინავდა და ხშირად თავად პრეზიდენტსაც კი არ იცოდა, სად იყო“.

რონალდ რეიგანის თანხმობით ბილ კეისი აშშ-ის ყველაზე საიდუმლო და რეალური ძალაუფლების მქონე „ეროვნული უსაფრთხოების დამცემის ჯგუფის“ სრულუფლებიანი წევრი გახდა. ამ ჯგუფში ტრადიციულად შედიოდნენ: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო მდიანი, თავდაცვის მინისტრი და პრეზიდენტის მრჩეველი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში. ბილ კეისი მკვეცხვ წევრი გახდა.

ბილ კეისის პოლიტიკურ წინასწარ ფაქტორიც ზრდიდა, რომ კვირაში ორჯერ ერთი-ერთზე ზედადობდა პრეზიდენტ რეიგანს, ხოლო ტელეფონით ნებისმიერ დროს დარეკავა შეეძლო.

მათი ძალზე ბევრი რამ აკუმულირდა, თუნდაც ის, რომ ორივენი წარმოშობით



ამ თვითმფრინავით ცს-ს დირექტორი ბილ კეისი მსოფლიო არაერთ ქვეყანას ესტუმრა

ირლანდიელები იყვნენ. ასაკითაც თითქმის თანატოლნი (რეიგანი მხოლოდ ორი წლით იყო უფროსი კეისზე) იოლად პოულობდნენ საერთო ენას.

როგორც თვითხილველები იხსენებენ მათი საუბარი ძალზე სახალისო სანახაურო იყო. სამოცდაათ წელს გადაცილებულ რეიგანს ცალ ყურში არ ექმობდა, ხოლო კეისის თურმე მძიმე

დიქცია ჰქონდა და სიტყვებს ისე წარმოთქვამდა, თითქოს ცხელი კარტოფილით აქვს პირი საუსო და ამიტომ კარგ მძიმედაც უჭირდა მისი ნათქვამის გაგება.

იმასაც იხსენებენ, რომ რეიგანი თურმე ხშირად ზუმრობდა კეისის საუბრის თავისებურებაზე, ბილი ცს-ს პირველი დირექტორია, რომლის მოხსენებებსაც დამოუფრად არ სჭირდება. ფაქტი ფაქტად რჩება – ბილ კეისი აშშ-ის სტრატეგიაში ცენტრალური სადაზვერუო სააგენტოს ყველაზე ძლიერი დირექტორი იყო.

ყოველ პარასკევს ბილ კეისი პრეზიდენტს საპირდაპირ მოხსენებას წარუდგენდა ხოლმე, რომელიც მთლიანად საბჭოთა კავშირს ეჭებოდა. 1982 წლიდან რეიგანმა „ბორტების იმპერიასთან“ ფარული „ეკონომიკური ომი“ დაიწყო. გამომდინარე იქიდან, რომ ეს ღონისძიებები საიდუმლო საეკონომიკური სატარებას გულისხმობდნენ, ბილ კეისის „კანტორის“ როლი და მნიშვნელობა ძალზე იზრდებოდა. კეისიც სრულად იყენებდა ამ შესაძლებლობას.

უკვე 1981 წლის დასაწყისში აშშ-ის შესაბამისმა სტრუქტურებმა საბჭოთა კავშირის ეკონომიკაში პრობლემებისა და სუსტი წერტილების გამოვლენისა და მათი გაღრმავების ხელშეწყობის დაგეგმვა მიიღეს. ბილ კეისისა და აშშ-ის საგარეო დაზვერვის მთელი ყურადღება საბჭოთა კავშირის, პოლო-

„აფღანეთის ზაფანგმა“ საბჭოთა კავშირს უძლიერესი დარტყმა მიადგინა



საგარეო ურთიერთობების კომიტეტი



ხეთისა და ავღანეთისკენ იყო მიპყრობილი. აშშ ყოველი ზერხით უწყობდა ხელს, რათა საბჭოთა კავშირი სულ უფრო ღრმად ჩაფლულიყო ავღანეთის ომის<sup>1</sup> კაობში.

**„ავღანეთის ხაფანგი“ ბოლო და უმძიმესი დარტყმა იყო საბჭოთა იმპერიაზე. ამერიკამ ძალზე ოსტატურად „მოქსოვა“ ავღანური „ბადე“ და კრემლს საშუალება მისცა უფრო ღრმად „ჩახვეულიყო“ საგარეო და საშინაო სამხედრო-პოლიტიკურ და ფინანსურ პრობლემებში.**

თავის მხრე, აშშ-ის ადმინისტრაციამ სისტემატურად უზრდიდა ავღანელ პარტიზანებს სამხედრო დახმარებას, რაც წელიწადში დაახლოებით 60 ათას ტონა შეიარაღებას აღწევდა. ეს უზარმაზარი ტვირთი ურთულესი მარშრუტებით პაკისტანიდან ავღანეთში დაახლოებით 250-300 საიდუმლო ბაზაში წაწილდებოდა, საიდანაც ავღანელი მოჯაჰედები იარაღდებოდნენ.

### დემოკრატიის როლი საბჭოთა კავშირის დანგრევაში

საბჭოთა ეკონომიკის პრობლემების გათვალისწინებით ცსს-მ ბილ კეისის დაკლებით დაამუშავა დეზინფორმაციის ოპერაციათა ერთიანი გეგმა, რომელიც ითვალისწინებდა საბჭოთა მწვერავებისთვის დიდი თანხების საფასურად ვითომდა ფარულად „ტექნოლოგიური სიახლეების“ მიყიდვას.

მართლაც, 1980-90 წლებში კავებებში მრავალი „სუპერსაიდუმლო“ ინფორმაცია იყიდა ნავთობის ბურღვის ახალი ტექნოლოგიების, გაზის ტურბინების, სხვადასხვა ტექნოლოგიური პროცესის კომპიუტერული სექციების, უჯრულის<sup>2</sup> კიბითური შენარჩუნების ფორმულებისა და ა.შ. შესახებ.

მცდარი გზით მიმავალი და „დე-

ზინფორმაციის ლაბირინთებში“ დაკარგული საბჭოთა მეცნიერები ჩიხში ექსპედიციონდენ და ყველაფრის თავიდან დაწყება უნდებოდათ.

გადიოდა წლები და საბჭოთა კავშირი სრულიად უმიზნოდ ხარჯავდა ფინანსურ და ინტელექტუალურ რესურსებს, და რაც მთავარია, კარგვდა დროს.

აშშ-ის ცსს-სა და სამხედრო დაზვერვის მიერ ერთობლივად ჩატარებული დეზინფორმაციის მეორე ოპერაცია, გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, ის ათელის წერტილი იყო, საიდანაც საბჭოთა კავშირის ნგრევა დაიწყო.

**ამერიკამ შეძლო მოწინააღმდეგე შეიარაღების ისეთ „რბოლაში“ ჩაეთრია, რომ საბჭოთა კავშირი იძულებული გახდა ფოკუსირებული გაეზარდა სამხედრო ხარჯები. აშშ-ის შეიარაღებაში ვითომდა არსებული ახალი „კოსმოსური“ და „ლაზერული“ იარაღი, ნეიტრონული ბომბი, უახლესი რადარები და კიდევ ბევრი სხვა „ამერიკული ბლექი“ ისე ამინება საბჭოთა პოლიტიკურს „ნორკ“ წყერებს, რომ უფროსნიოდ ზრდიდნენ სამხედრო ბიუჯეტს.**

საბჭოთა იმპერიას უმთავრესი საფრთხე სამხედრო ხარჯების ზრდასთან ერთად „ენერგეტიკული ფორინტიდანაც“ დაემუქრა.

ამერიკელი ექსპერტების 1983 წელს ჩატარებული გათვლებით ერთი ბარელი ნავთობის ფასის 20 დოლარის ნიშნულზე დაფოქსირება აშშ-ის ფოკუსირებულ ენერგეტიკულ დანახარჯს 72 მლრდ დოლარით შეამცირებდა. ამიტომაც აშშ-ის თხონებით და საკუთარი გეოპოლიტიკური ინტერესებიდან გამომდინარე (უახლესი ამერიკელი შეიარაღების მიღება და არაბულ სამყაროში ლიდერი ქვეყნის სტატუსის მოპოვება),

მსოფლიოში ნავთობის უდღესი საბადოების მფლობელმა საუდის არაბეთმა მნიშვნელოვნად გაზარდა ნავთობის მოპოვება, რასაც ფასების მკვეთრი შემცირება მოჰყვა. თუ 1985 წლის ნოემბერში ერთი ბარელი ნავთობი 30 დოლარზე მეტი ღირდა, ხუთი თვის შედეგ მისი ფასი 12 დოლარამდე დაეცა.

**მსოფლიო ფასების მნიშვნელოვან შემცირებას საბჭოთა კავშირში ნავთობის მოპოვების მკვეთრი დაცემაც დაემთხვა, რაც ახალი ნავთობმოპოვებელი და გადამამუშავებელი ტექნოლოგიების ნაკლებობის შედეგი იყო.**

ამის შედეგად, ამერიკელი ექსპერტების გაანგარიშებით საბჭოთა კავშირმა 10 მილიარდამდე დოლარი დაკარგა, რაც მისი საფლუტო შემოსავლების 30-35%-იყო.

უნდა აღინიშნოს, რომ საბჭოთა კავშირის დაღლის ერთ-ერთი მძიმე ეკონომიკური პრობლემები, მათ შორის „ნავთობდოლარების“ შემცირება გახდა. ამერიკასთან ამ უთანასწორო შეჯიბრებამ საბოლოოდ გამოფიტა ისედაც დაუძლეურებული საბჭოთა ეკონომიკა და ძალე გორბაჩოვისეულ „გარდაქმნას“ საბჭოთა იმპერიის ნგრევა მოჰყვა.

ფოკუსირებული დაიპაბული მუშაობის გამო ბილ კეისის ჯანმრთელობა თანდათან უარესდებოდა. 1987 წლის დასაწყისში იძულებული შეიქნა, პოსტიდან გადამდგარიყო და მალევე გარდაიცვალა კიდევ. მართალია, ვერ მოეხსრო „ბოროტების იმპერიის“ დანგრევას, მაგრამ ამ ისტორიულ მოვლენაში ცსს-ს ერთ-ერთმა კოლორიტულმა დირექტორმა, „პარონმა“ — ბილ კეისიმ დიდი როლი თამაშა.

**ბმსიპ კალადავშილი ექსპერტი ეროვნული უსაფრთხოების საკითხებში, უმწიროების გადამდგარი პოლკოვნიკი**

კოსმოსურ და ლაზერულ იარაღზე მუშაობაში საბჭოთა სამხედრო ხარჯების უზომოდ ზრდა გამოიწვია, რასაც ქვეყნის ბიუჯეტზე ვეღარ უძლებდა





# უფინადო ომი



## კორეის ომის ქრონიკა (1950-1953 წ.წ.)

სამხრეთი კორეა, აშშ, დიდი ბრიტანეთი და გაეროს სამშვიდობო ძალებში შემავალი სხვა ქვეყნების (თურქეთი, ავსტრალია) შეიარაღებული ძალები.

კორეის ომი ოპერატიულ-სტრატეგიული შედეგების მიხედვით შეიძლება დაიფოს 4 ფაზად: პირველი (1950 წლის 25 ივნისი-14 სექტემბერი) – ჩრდილოკორეელთა ჯარების მიერ 38-ე პარალელის გადალახვა; მეორე (1950 წლის 15 სექტემბერი-24 ოქტომბერი) – გაეროს ჯარების /ღარტემა და ჩრდილო კორეის სამხრეთ რაიონებზე გასვლა; მესამე (1951 წლის 25 ოქტომბერი-9 ივლისი) – ჩინელი „მოხალისეების“ ომი ჩაბმა, ბრძოლები 38-ე პარალელის მიდამოებში; მეოთხე (1951 წლის 10 ივლისი-1953 წლის 27 ივლისი) – საბრძოლო მოქმედებები მოლაპარაკების პროცესში.

ომი დაიწყო 1950 წლის 25 ივნისის გამთენიისას – ჩრდილოეთ კორეის 135-ათასიანი დაჯგუფება 150 T-34-ით სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე შეიჭრა, თანაც კომუნისტებს იძენდა თავზე-ღობაც აღმოაჩნდა, რომ განაცხადეს, „სამხრეთ კორეელი მოღალატე ლი სინ მანი მუხანათურად შეიჭრა მშვიდობიანი ჩრდილო კორეის საზღვრებში“. არადა, ომი სამხრეთ კორეის ტერიტორიაზე მიმდინარეობდა.

აგრესორს დაუპირისპირდა 150-ათასიანი სამხრეთ კორეის შეიარაღებული ძალები, რომელთაც ჯ/ტექნიკა და

„ჩვენ ვომობთ კორეაში მხოლოდ იმიტომ, რომ არ მოგვიწიოს ბრძოლა უჩინოში, ჩიკაგოში, ახალ ორლეანსა თუ სან-ფრანცისკოს ვურეში“.

**აშშ-ის პრეზიდენტი ჰარი ტრუმენი 1952 წ.**

„კორეის ომი“ – ინგლისურენოვან ქვეყნებსა და რუსეთში, „25 ივნისის ინციდენტი“ – სამხრეთ კორეაში, „სამამულო გამათავისუფლებელი“ – ჩრდილოეთ კორეაში, „ომი ამერიკის წინააღმდეგ კორეის მოსახლეობის მხარდასაჭერად“ – ჩინურ ისტორიულ თუ სამხედრო წყაროებში ამ სახელწოდებებითაა ცნობილი ომი ჩრდილოეთ და სამხრეთ კორეას (1950 წლის 25 ივნისი – 1953 წლის 27 ივლისი) შორის.

„ცევი ომის“ პერიოდის ეს პირველი მსხვილმასშტაბიანი სამხედრო დაპირისპირება დაიწყო როგორც სამოქალაქო ომი, გადაიზარდა მრავალეროვნულში და ლამის ბირთვული ომით დამთავრდა.

ჩრდილოეთის კოალიციაში შედიოდნენ: ჩრდილოეთ კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკა და მისი შეიარაღებული ძალები, ჩინეთის სა-

ხალხო არმია (ოფიციალურად მის რიგებში იბრძოდნენ „ჩინელი სახალხო მოხალისეები“) და საბჭოთა კავშირი, რომელიც ოფიციალურად არ მონაწილეობდა, თუმცა, აფინანსებდა, ტექნიკური და საბრძოლო აღჭურვილობით უზრუნველყოფდა, გზავნიდა საჰაერო ძალების დანაყოფებს, მრეწველებსა და საუციკლისტებს.

სამხრეთიდან მათ დაუპირისპირდა:

**პოლფუდის ვარსკვლავი მერილინ მონრო კორეაში ამერიკელი სამხედროების სულისკვეთების ასამაღლებლად აქტიურად იღვწოდა**





გენერალი დველას მაკარტური

ტანკ ასეული, ერთი პერსონალიზირებული დავის ბატარეა ჰყვდა, ხოლო ქვეით პოლკში გაწვდილი მხოლოდ ორი ბატალიონი იყო. ასევე ყოველ საარტილერიო ბატალიონს ერთი ბატარეა აკლდა.

**მხოლოდ ბირთვული ომისა და მცირე საექსპედიციო ოპერაციებისთვის გამიზნული ამერიკული ძალებს რაცხვონობასთან ერთად პრობლემები ჰქონდათ დანაყოფთა სტრუქტურაშიც, რომელიც ახალი რეალობის საბრძოლო კონცეფციებსა და დოქტრინებს აღარ შეესაბამებოდა.**

კერძოდ, პოლკის მეთაურებს აკლდათ მთავარი ტ/სწინააღმდეგო იარაღი – ტანკი და ღარნათ მხოლოდ მოქულებული, ახლო მანძილზე მოქმედი 60 მმ-იანი რეაქტიული უმბარასატორცი Bazooka.

თუკი მეთაური მინდობებდა დაცვის ორგანიზებას, მის განკარგულებაში მყოფი ორი ბატალიონის ძალებით, მას აღარ რჩებოდა საშუალებები მეორე უმელონის თუ რეზერვის ფორმირებისთვის.

**კორეის ნახევარკუნძულის მთავარიანი ორილიფის გამო არსებული მდგომარეობა ზრდიდა თვდაცვის სისტემაში შემაჯდ დანაყოფთა შორის მანძილს, რაც საშუალებას აძლევდა ჩინდილოკორეელებს გამოყენებინათ 1942 წლის ააბრეობა შეტევითი ქმედებებისა და საბჭოთა ჯარების მოწინავე რაზმების ტაქტიკის ერთგვარი ნაწავი – წინასაბრძოლო წყობისთვის ფორმირებულ თითოეულ კოლიანაში ქვეითებს საბჭოთა კავშირის მიერ გადაცემული T-34-ის ქვედანაყოფი მუშაობდა.**

თუკი მოწინავე ჯავშნავაუფი გადაწყდებოდა გამაგრებულ, კარგად ფორტიფიცირებულ პუნქტს, ორილის შემოვლაც შეუძლებელი იყო, ტანკების ცეცხლის საფარველ ქვეითები ადგილმდებარეობის დახურული მონაკვეთების გამოყენებით დამცველთა ზურგში გადიოდნენ, რის შედეგადაც ეს უკანასკნელნი იძულებული იყვნენ, უკან დაქითაი ძირითადი ძალებიდან მოკეითის საფრთხის გამო.

არსებული ხარვეების მოუხდევად, ამ ძალების გამოჩნით ბრძოლის ასპარეზზე შესაძლებელი გახდა ჩრდილოელის უკანასკნელი მონაკვეთიდან უკუგდება და შემოღობისთვის შეტევაზე გადასვლა.

კონტრდარტყმა დაიწყო 15 სექტემბერს, ოპერაცია „ქობიონის“ ფარგლებში, ქალაქ სეულის მახლობლად პორტ ინჩონში საზღვაო დესანტის გადასხმით.

გადასხმულმა ჯარებმა გაარღვეეს ჩრდილოელების თვდაცვა და სეულს

შეუტეს. იმედროულად, სასწრაფობრძო ძირითადი ძალების შეტევის შედეგად ჩრდილო კორეის I საარბო დაჯგუფება აღეკამი მოექცა.

მეორე დღეს გაეროს ძალებმა დაიბრუნეს სეული, ხილო 8 ოქტომბერს 38-ე პარალელს მიადწიეს, II ოქტომბერს ეს ზღუდე გადაკვეთს და დაიძებრეს ჩრდილოკორეელთა დედაქალაქ ფენიანისკენ, რომლის მახლობლად 20 ოქტომბერს საპაერო დესანტი ვადაისხა და ფენიანი მალე დაეკა.

მას შემდეგ, რაც ნათული გახდა, რომ კომუნისტთა ძალები ფაქტობრძოდ განადგურდა და მთელი კორეის ოკუპაცია რამდენიმე დღის საკითხი იყო, 1950 წლის 25 ოქტომბერს ომში ჩაერთო ჩინეთა 270-ათასიანი არმია გენერალ პენ დეკუაისა მეთაურებით.

მოულოდნელობის ეფექტის გამოყენებით, ჩინელებმა შეძლეს გაეროს ჯარების თვდაცვის დამლა და მთებში გაღწევა. მე-8 ამერიკული არმია იძულებული გახდა, დაეკავებინა თვდაცვა მდ. პანგიანის სამხრეთ ნაპირზე.

ნოემბრის ბოლოს გენერალმა პენმა გასცა განკარგულება, რომ ჩინელების პანიკისა და დესორგანიზების იმიტირება მოჭდინათ ამერიკელთა ფორტიფიცირებული თვდაცვით პოზიციებიდან მოწინააღმდეგის გამოტყუების მიზნით.

ხერხმა გაჭრა და 24 ნოემბერს მაკარტურის ბრძანებით დეიზიებმა დაცული პოზიციებიდან პრიდაპირ ხაფანისკენ გასწიეს, სადაც ჩინელთა 420-ათასიანი დაჯგუფების აღეკამი მოექცნენ.

ითიქმის მთლიანად განადგურდა აშშ-ის მე-7 ქვეითთა დეიზიის ერთი პოლკი. სამხრეთელთა საზღვრისა იძულებული გახდა, გაეროს ძალებისა და მოსახლეობის 100-ათასიანი მასა გემებით სამხრეთისკენ გაეყვანა.

**1951 წლის 4 ანარეს ჩრდილო კორეისა და ჩინეთის ძალებმა კვლავ აიღეს სეული. სამხრეთელი მოკავშირეების მდგომარეობა იმდენად კრიტიკული შეიქნა, რომ საზღვრობამ ფუნქი დაიწყო ბირთვული იარაღის გამოყენებაზე.**

ამ პერიოდისთვის ორჯე მხარე გააფორმით ობრძოლად ინციტაციების მოპოვებისა და მისი განვითარებისთვის. ორივე მხარეს ჰქონდა როგორც წრმატება, ასევე მარცხო.

1951 წლის II აპრილს ტრუმენის გადაწყვეტილებით პოსტი დატოვა გენერალმა დველას მაკარტურმა და მის ნაცვლად ჯერ გენერალი მეთუო რიჯუეი, ხილო შემდომ კი გენერალი მარკ კლარკი დაინიშნა.

თვითმფრინავები ითიქმის არ გააჩნდათ. უკვე 28 თვისისთვის ჩრდილოელებმა სამხრეთ კორეის დედაქალაქი სეული დაიკავეს და მოუხდევად იმისა, რომ ელვისებური გამარჯვება არ გამოევიდა, ავაციტოსთვის სამხრეთ კორეის ითიქმის 90%-ს ჩრდილო კორეის არმია აკონტროლებდა.

აშშ-ის პრეზიდენტმა ტრუმენმა იაპონიაში დისლოცირებული ამერიკული სამხედრო დაჯგუფების მეთაურს, გენერალ მაკარტურს სამხრეთკორეელთა სამხედრო აღჭურვილობით მომარაგება და ამერიკელი მოქალაქეების ევაკუაცია უბრძანა.

შემდომში ამას დაემატა ამერიკის, გაეროს ყვითი მოქმედი და ამერიკის მოკავშირე 15 ქვეყნის (ბელგია, დიდი ბრიტანეთი, ეთიოპია, თურქეთი, კოლუმბია, საბერძნეთი და სხვ.) სამხედრო ძალების ომში ჩაება.

საბჭოთა კავშირის მიერ აღჭურვილი ჩრდილო კორეის სახალხო არმიის დანაყოფების სამხრეთ კორეის საზღვრებში შეჭრის პერიოდში იაპონიაში დისლოცირებული ამერიკული კადრირებული დეიზიები რამდენიმე დღეში სამხრეთკორეელთა დასახმარებლად გაეხვანა.

გაგზავნილი ოთხი დეიზია ცოცხალი ძალოსა და საბრძოლო ტექნიკის ნაკლებობას განიცდიდა და საომარი შტაბის მხოლოდ 2/3-ით იყო დაკომპლექტებული.

თითოეულ დეიზიას ერთადერთი სა-



27 მაისს, ჩრდილოელთა მორიგი შეტევის მოგერიებისთანავე, გერის ძალებმა მსხვილმასშტაბიანი ე/დარტყმა მიაყენეს მოწინააღმდეგეს და 38-ე პარალელის ზღვრის იქით განდევნეს. თუმცა, თვითონ შეტვე აღარ განეითარეს და თავდაცვის გამაღიერებას შეუდგნენ.

1951 წლის ოქტომბრის დაპირისპირებულმა მხარეებმა ოპერატიულ კრიტიკულ წერტილს მიაღწიეს, უპირატესობის მოპოვებას ვერც ერთი ვერ ახერხებდა.

უნიშნულდღიანებს მოემენტად შეიძლება ჩაითვალოს სტალინის გარდაცვალება 1953 წლის 5 მარტს, რასაც კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის გადაწყვეტილება მოჰყვა ომის დამთავრების შესახებ.

1953 წლის 27 ოქტომბს უკვე გაერთიანებული ომის მიერ შემოთავაზებული ცეცხლის შეწყვეტის გეგმა მიიღო. დიკუმენტზე ხელის მოწერაზე სამხრეთ კორეის წარმომადგენელმა უარი განაცხადა.

ფრონტის ხაზი დაფიქსირდა 38-ე პარალელის გაყოლებით, რომლის მიმდებარედ დემილიტარიზებული ზონა შეიქმნა. ეს ტერიტორია დღემდე დაცულია ჩრდილოეთიდან კორეის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარებითა და სამხრეთიდან – ამერიკულ-კორეული ძალებით.

კორეის ომი იყო იდეალური პოლიგონი ახალი ტიპის ტექნიკისა და შეიარაღების, ტაქტიკისა და ოპერატიული ხელნების კონცეფციების შესამოწმებლად. აშშ-ის არმიამ მან ბიძგი მისცა არმიასა და ფლოტის რეფორმირებას.

სტრატეგიის დასკვნები მოითხოვდა სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ტაქტიკის გადახედვას, ასევე, ახალი თაობის თვითმფრინავების მიერ საჰაერო ბრძოლის კონცეფციების ცვლილებას, ჩაუტარდა ახალი ბომბდამშენი ავიაციის გამოყენების შედეგებს.

კერძოდ, დადგინდა, რომ საჰაერო ბატონობის გარეშე დუეს დოქტრინის ძირითადი პოსტულატები (მომავალ ომებში ბომბდამშენი ავიაციის მასიური გამოყენება და მისი გადამწყვეტი როლი) მიუღწევლია, ხოლო მართო ბომბდამშენები თანხლებისა და დაცვის გარეშე დასძლი ამოცანის გადამწყვეტას ვერ შეძლებენ.

კორეის ომის კიდევ ერთ სახმელეთო-საჰაერო ოპერაციების სახელად შეუღმფრინების გამოყენება იქცა. აქ იმინი ძირითადად გამოიყენებოდა დაჭრილთა საუკუკაციოდ, თუმცა, იყო ტვირთებისა და პირადი შემადგენლობის ლიმიტირებული გადაყვანის შემთხვევებიც.

კორეაში გამოიყიდა ახალი ტიპის პარამუტები და მოწყობილობები, რომლითაც შესაძლებელი იყო საარტილერიო ქვემოქების, მსუბუქი ვაშლების, ასაწიხი ხიდის ფერმებისა და საბრძოლო ტექნიკის სხვა ერთეულის საჰაერო გზით ტრანსპორტირება.

**მსხტანშ პაპანანძი**  
**ბრიგადის გენერალი,**  
**გენერალური შტაბის**  
**ყოფილი უფროსი**

(დასასრული შემდეგ ნომერში)

ომში მონაწილე მხარეთა შეფარდება:

სამხრეთი კოალიცია: აშშ – 302 000; ს. კორეა – 600 000; ბრიტანეთი – 14 200; თურქეთი – 5 460 და სხვ. სულ: 941 600.

ჩრდ. კოალიცია: ჩრდ. კორეა – 260 000; ჩინეთი – 926 000; სსრკ – 26 000; სულ: 1 212 000.

სამხრეთი კოალიციის დანაკარგმა შეადგინა 178569 დაღუპული, 555022 დაჭრილი, 28611 დაკარგული და 14158 ტყვე. აქედან, სამხრეთკორეელთა დანაკარგმა 137000 დაღუპული, 130000 დაკარგული და 709000 დაჭრილი შეადგინა.

საბჭოთა დანაკარგმა 275 კაცს მიაღწია, საიდანაც 45 მფრინავი უკვალოდ დაკარგულად ითვლება. ხშირად თვითმფრინავიდან კატაპულტირებული საბჭოთა მფრინავი თავად ხდებოდა ჩრდილოკორეულ მესენიტეთა მსხვერპლი, ვინაიდან ამერიკელი ფრნაო, ხოლო ომის კანონებს კომუნისტები მებრძოლები დიდად არ იცავდნენ. საქმე იქამდეც კი მივლენ, რომ კი ორ სენდა გამოსცა სრავანებო ბრანტება, რომელიც მებრძოლებს უკრძალავდა თვითი პარამუტების მიმართულებით სროლას (ამერიკელების პარამუტები წითელი, ვეთიელი ან ლურჯი იყო).

ოფიციალური მონაცემებით, ჩინეთმა 390000 კაცი დაკარგა. დასავლური წყაროების ცნობით, 500000-დან მილიონამდე. მარ ტედუნის ერთ-ერთი შვილიც დაიღუპა კორეის ნახევარკუნძულზე. ომის დასრულების შემდეგ, ტყვე 14000 ჩინელიზგან შინ მხოლოდ 7110 დაბრუნდა. დანარჩენები ტაივანზე გადასვლა აშჯობინეს. სწორედ ამ მიზეზით, 23 აინკარი ტაივანზე „თავისუფლების მსოფლიო დღედ“ აღინიშნება.

ჩრდილო კორეამ 215000-ზე მეტი დაღუპულის, 303000 დაჭრილის, 120000 ტყვისა საზით დაკარგა.

ომს 2,5 მილიონზე მეტი მშვიდობიანი მოსახლე შეეწირა.



მალაღობა კორეის ომის აუცილებელი არტობტრი იყო

# კავკასიური მოვლენები

გენერალ ნევეტ ოზელისა და გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიევის შეხვედრა



მაიზე მას შემდეგ გადგა, რაც გარეშე სამხედრო საფრთხე აღარ იარსებებს. „ჩვენ დღესაც გვეყვას ასპროცენტაინი პროფესიული სამხედრო ნაწილები. წვეკამდელთა რაოდენობის შემცირების გამო არმიას კონტრაქტით მოსამსახურეები აჯსებუნ“, — დასძინა გარი კარაპეტჩანმა.

● „არმიის ველა წარმატებას მილიანად აქარწყლებს ინციდენტები“, — განაცხადა 31 იანვარს თვდაცვითი საორტულ-ტექნიკური საზოგადოების თვმჯდომარემ, გენერალ-მაიორმა არაკაი ტერ-ტადეოსიანმა (კომანდოსი) ჟუნალისტებთან შეხვედრაზე. მისივე შეფასებით, ინციდენტების სხვა ქვეყნების არმიებში მომხდარი მსგავსი შემთხვევებით გამართლება სწორი არ არის. გენერლის აზრით, არმიამ აუცილებელია მეტი წესრიგი და სამოქალაქო საზოგადოებამ მეტი ინფორმაცია მიიღოს არსებულ ვითარებაზე.

● მე-12 სამშვიდობო ბრიგადის მეთაურის, გენერალ-მაიორ არტურ სიმონიანის თქმით, სომხეთი კოსოვოში სამშვიდობო მისიას ასრულებს და უმოკლეს დროში 70 მშვიდობისმყოფლის ევაკუაცია მოხდება. სომხი სამხედროები სამსახურს ბერძნული ბატალიონის შემადგენლობაში გადიოდნენ, მაგრამ საბერძნეთში შექმნილი ფინანსური კრიზისის გამო ქვეყანამ KFOR-ის ოპერაციაში მონაწილეობა შეაჩერა.

● 8 თებერვალს პარლამენტმა კა-

## აზერბაიჯანი

● იანვარში სომხეთმა ცვეხლის შეწყვეტის რეჟიმი ყარაბაღის ფრონტსა და სომხეთ-აზერბაიჯანის საზღვარზე 87-ჯერ დაარღვია. საბედნიეროდ, ამ დარღვევებს მსხვერპლი არ მოჰყოლია. გასულ 2011 წელს ცვეხლის შეწყვეტის რეჟიმის დარღვევის 774 შემთხვევა დაფიქსირდა და ამას 19 სამხედრო ემსხვერპლა, ხოლო 24 კი დაიჭრა.

● იანვრის მეორე ნახევარში დონის როსტოვში კომპანია „როსკვერტოლმა“ აზერბაიჯანისთვის დამზადებული კადეკ ერთი Ми-35М-ის სატექსტო ფრენები ჩაატარა. ბაქოში შეკუდმფრენთა მომდევნო პარტიას მარტში მოელოან, ხოლო 2011 წლის დეკემბერში აზერბაიჯანმა როსტოვში აწვობილი პირველი ოთხი Ми-35М მიიღო.

● ბაქოში ეზბიტად მყოფმა თურქეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა, გენერალმა ნევეტი ოზელმა 7 თებერვალს მოლაპარაკება გამართა აზერბაიჯანის თვდაცვითი უწყების ხელმძღვანელიან, გენერალ-პოლკოვნიკ საფარ აბიეთან.

## სომხეთი

● 26 იანვარს, პარლამენტის თვდაცვის, ეროვნული უსაფრთხოებისა და შინაგან საქმეთა სპარლამენტო მუდმივი კომისიის თვმჯდომარე გარი კარაპეტჩანმა ჟუნალისტებთან შეხვედრაზე განაცხადა, რომ სომხეთი ასპროცენტაინ პროფესიულ არ-





# მიმოხილვა



**სამხრეთის სამხედრო ოლქში არტილერიისტთა 10-დღიანი შეკრებები ჩატარდა**

ნონში „სამხედრო მოსამსახურეები და მათი ოჯახის წევრების სოციალური უზრუნველყოფა“ პირველი წაკითხვითი ცვლილებათა პაკეტი მიიღო. პაკეტი ითვალისწინებს სამხედრო მოსამსახურეთა სივრცის ფულადი კომპენსაციის გაცემას, თუ ის სამსახურს საცხოვრებელი ადგილიდან 30 კმ-ით მეტ მანძილზე გადის ან სამსახურებრივი ბინით უზრუნველყოფილი არ არის; განისაზღვრა ის პირობები, ვინც სამხედრო მოსამსახურის ოჯახის წევრებად ითვლებიან და უფასო სამედიცინო მოსახურება და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება ეკუთვნით პაკეტში შესულია სხვა ცვლილებებიც, რომლებმაც სამხედრო მოსამსახურეთა სოციალური მდგომარეობა უნდა გააუმჯობესოს.

● რუსეთის არმიის 102-ე ბაზის მფრინავებმა 2011 წელს ათასზე მეტი ფრენა შეასრულეს, თითოეული მფრინავის საფრენოსნო საათებმა 90-ს გადააჭარბა. მომზადების ინტენსივობა 2010 წელთან შედარებით 30%-ით არის გაზრდილი. მიმდინარე წლის იანვარში კი რუსმა მფრინავებმა უკვე 100-ზე მეტი ფრენა შეასრულეს.

## ჩრდილო კავკასია

● „თავდაცვის სამინისტრო სტაეროპოლისა და კისლოვდსკში საეცდანიშნულების დამატებითი ნაწილების განალაგებს“, — განაცხადა რუსეთის თავდაცვის მინისტრმა ანატოლი სერ-

დიუკოვმა ჩრდილო კავკასიაში სამუშაო ვიზიტის შემდეგ.

● რუსეთის შვითარაღებული ძალების ფელაზე ბრძოლისუნარიან 58-ე არმიას (ასე მოიხსენიება რუსულ მედიასში) სარდალი შეეცვალა. არმია გენერალ-მაიორმა გიორგი გურულევმა გენერალ-მაიორ ანდრეი კარტოპოლოვისგან ჩაიბარა. ეს უკანასკნელი კი სამხრეთის სამხედრო ოლქის სარდალის მოადგილედ გადადგენეს.

● დაღესტანში შვითარაღებული წინააღმდეგობის მებრძოლებთან საბრძოლველად შინაგან საქმეთა სამინისტროს, ფედერალური უშიშროების სამსახურისა და შინაგანი ჯარის მებრძოლებისგან ხუთი ოპერატიული ჯგუფი შეიქმნა, რომლებიც შესაბამის რაიონებზე გადანაწილდნენ. რუსუბელი კის ზელმძღვანელების აბდურაჰიმდ მაგომედოვის ინფორმაციით, ამჟამად დაღესტანში 12 შვითარაღებული ჯგუფი და 300 მებრძოლი მოქმედებს.

● სამხრეთის სამხედრო ოლქის არტილერიისტებმა 10-დღიანი საეცლე შეკრება გააარეს, სადაც დღისით დამით, დაბალი ტემპერატურის პირობებში სარტილერიო სისტემების გამოყენებაზე იარაღის შესვლა, სხვადასხვა სახის აოცინების დასამუშავებლად არტილერიისტებმა გამოიყენეს ზალაური ცეცხლის რეაქტიული სისტემები — Ураган-ი და Град-ი, თვითმკვლელ სარტილერიო დანადგარები — Мста-С, Акация და Гвоздика, ნაღმსტყორცნები.

## კონფლიქტური რეგიონები

### ოკუპირებული ცხინვალის რეგიონი

● საოკუპაციო ჯარების მე-4 ბაზაზე ტელეცენტრი ამოქმედდა, რომელიც ეთერში კვირაში სამჯერ გაუა და ბაზაში მიმდინარე პროცესები უნდა ასახოს.

● ე.წ. სამხრეთ ოსეთის თავდაცვის სამინისტროს თანამშრომელთა ზღვრის 1,5-ჯერ გაიზარდა. ამის შესახებ შეთანხმებას ე.წ. სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტის მეგალობის შემსრულებლებმა ვადიმ ბოტუცევმა რუსეთის მთავრობასთან მიადწია.


### თვითმართვითი მარაბალი

● 5 თებერვალს ერთ-ერთი სამხედრო ნაწილის საბრძოლო პოსტზე იარაღის მოხზარების წესების დარღვევის გამო ერთმა ჯარისკაცმა თანამებრძოლი დაჭრა. მოსპიტალში გადაყვანისას ის გარდაიცვალა.

● „29 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით აზერბაიჯანმა ცეცხლის შეწყვეტის რეჟიმი 150-ჯერ დარღველია“, — ნათქვამია თვითმართვითი რესპუბლიკის თავდაცვის უწყების ინფორმაციისა და ავტორიის სამმართველოს განცხადებაში. ოპერატიული მონაცემებით, ამ პერიოდში აზერბაიჯანის არმიამ სხვადასხვა სახის ცეცხლსასროლი იარაღიდან 600-ზე მეტჯერ გაისროლა.

### თმშურ ჩანჩინიკი

### ცხინვალელ სეპარატისტებს ზღვრის 1,5-ჯერ მომატებას პპარდებთან





# ღაზის სექტორი

## პალესტინური „აქილევსის ქუსლი“

ღაზის სექტორში (პალესტინის ავტონომია) სისხლისმღვრელი დაპირისპირება ორ საკმაოდ ცნობილ დაჯგუფებას — „ჰამასს“ და „ჰამასს“ შორის 5 წელიწადზე მეტია გრძელდება და ჯერჯერობით ბოლო არ უჩანს. ეს კონფლიქტი, რაღა თქმა უნდა, აყვრებებს პალესტინის დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების ისედაც გაჭიანურებულ პროცესს და სწორედ ამიტომ არაბულ სამყაროში მიაჩნიათ, რომ იგი ებრაელებისა და დასავლელი „ჯგეროსნების“ ინსპირირებულია. თავის მხრივ, ისრაელის შმართველი წრეები ძლიერ დაინტერესებულნი არიან ღაზის კრიზისის მოგვარებით, რადგან მუდმივი დაძაბულობა ამ რეგიონში ისრაელს დიდ საფრთხეს უქმნის. ებრაელი ექსპერტების ერთი ნაწილის აზრით, „ჰამასს“ და „ჰამასს“ შორის კონფლიქტის მოუვარებლობას შესაძლებელია ებრაული სახელმწიფოს გაქრებაც კი მოჰყვეს, თუკი პასუხისმგებელმა პირებმა ზომები დროზე არ მიიღეს. კონფლიქტის მიზეზი პანალური იყო: პალესტინის ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერის, აასირ არაფატის გარდაცვალების შემდეგ, „ჰამასს“ და „ჰამასს“ ავტონომიის პარლამენტში ადგილები ვერ გაიყვეს.





**როგორ დაიწყო  
ჰაითამაკლელი ომი:  
არაფატის  
ბარდაცვალებიდან  
პირველი ტყვიის  
ბაზარდნამდე**

2004 წლის 28 ოქტომბერს პალესტინის ავტონომიის მესვეურებმა მოულოდნელად განაცხადეს, რომ ამ ქვეყნის აღიარებული ლიდერი, „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ შექმნელი და ხელმძღვანელი იასირ არაფატი უად იყო და სასწრაფოდ პოსიტილიზრებას საჭიროებდა. სხვათა შორის, განცხადებაში არ დაუკონკრეტებიათ, რა სჭირდა არაფატს. მეორე დღეს, 29 ოქტომბერს, ოილ-კუვმა პალესტინის ავტონომიის ლიდერს ქვეყნის დატოვების ნება დართო. კომპში მყოფი იასირ არაფატი საფრანგეთში გადაიყვანეს და პარიზის ერთ-ერთ ცნობილ სამხედრო პოსიტალში, „პურსი დე კლამარში“ მოათავსეს. სწორედ იქ გახდა ცნობილი, რომ იასირ არაფატი შესაძლოა, მრჩამლული ყოფილიყო. ამასთან, მსოფლიო მასშედიან მოიარა ინფორმაციამ, რომ თითქოსდა არაფატი საკუთარი კარის ინტრიგების მსხვერპლი შეიქნა — მის ახალგაზრდა ცოლსა და „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ სხვა ლიდერებს ძალაუფლების ჩაგდება სურდათ. არუენ იცის, მართალი იყო თუ არა ეს, მაგრამ ის კი ცხადი გახდა, რომ არაფატის ორგანიზაციაში, რომლის გაძლიერებასაც მან სიცოცხლე შეაღია, განხეთქილება მართლაც იყო.

„პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციაში“ არაფატის შემდეგ მეორე კაცი გახლდათ მაჰმუდ აბუ მაზან აბასი, რომელსაც არაბულ სამყაროში საფეთქლად მიღებული წესის თანახმად, უმეტესად „აბუ მაზანის“ (სიტყვა-სიტყვით — „მაზანის მამა“; ასე ჰქვია აბასის უფროს ვაჟს) სახელით იხსენ-



„ალ-აქსას წამებულთა ბრიგადის“ მებრძოლები

ებდნენ. სხვათა შორის, იგი ნაკლებად რადიკალურად იყო განწყობილი ისრაელის მიმართ და სწორედ ამიტომაც ვერ ახერხებდა პალესტინელთა შორის პოპულარიზაციის მოპოვებას. თავად არაფატი მას ყოველთვის ენდობოდა და ღირსეულ შემკიდრედ მიიჩნევდა, ვიდრე აბუ მაზანმა თვითნებურად არ დაიწყო განცხადებების გაცეობა, რომ მზად არის ისრაელისა და პალესტინის მესვეურთა მოლაპარაკებებში შუამავლობა იკისროს. საბოლოოდ, არაფატსა და აბუ მაზანს შორის ურთიერთობა 2001 წლიდან გაკეცდა.

იმხანად „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ მესვეურთა რიგებში დაქინაურდა კიდევ სამი კაცი —

რუუჰი ფათუჰი, ფარუქ კადუმი და აჰმედ კურეი. თავდაპირველად აბუ მაზანს სამხედრო მხედრობის ურთიერთობა ჰქონდა, მაგრამ მერე მათ შორის უთანხმოებამ იჩინა თავი: აბუ მაზანი ისრაელთან მოლაპარაკებას უჭერდა მხარს, ხოლო „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციის“ წევრთა დიდი უმრავლესობა განსხვავებული აზრისა იყო. 2003 წელს კი მათ აბუ მაზანს ებრავლებთან თანამშრომლობის ბრალდება წაუყენეს და ლამის პარტიიდან გარიცხეს. მაშინ პალესტინურ მასშედიანში ხშირად წერდნენ, რომ ისრაელი პალესტინის საკითხის საბოლოოდ გადაჭრას აბუ მაზანის ხელით ცდილობდა.



პალესტინელები ღაზის ქუჩებში



პრემიერ-მინისტრი ისმაილ ჰანიას

ასე რომ, საწყალ აბუ მაზანს მუდამ თავის მართლება უწყევდა, რომ ებრაელთა აგენტი არ იყო და პალესტინისთვის სიკეთე სურდა. 2004 წლის დასაწყისში კი მან იასირ არაფატს პირდაპირ განუცხადა: „თუ თქვენ ზომებს არ მიიღებთ, რომ ხალხმა ჩემზე სისულელეების ლაპარაკს თავი დაანებოს, გეფიცებით, პოლიტიკას თუგს დავინებებ და ემიგრაციაში წავალ!“ მაშინ არაფატმა აბუ მაზანს „ცანცარა“ უწოდა და პასუხის დირსადაც არ ჩათვალა.

არაფატის გარდაცვალების შემდეგ, აბუ მაზანმა ისევ „ამოვივინა“ პოლიტიკურ სარბიელზე და წარმატებითაც, — ის დროებითი მმართველი საბჭოს წევრად დაინიშნა. იმუდროულად, მსოფლიო მასმედია უცებვე ალაპარაკდა იმაზე, რომ პალესტინის ავტონომიის მეთაური აბუ მაზანი გახდებოდა. რუუპი ფაოუჰმა და ფარუქ კადუმმა, რომლებიც აგრეთვე პალესტინის ავტონომიის დროებითი მმართველი საბჭოს წევრები იყვნენ, ხერხი იხმარეს და პრეზიდენტობის მოვალეობის დროებით შემსრულებლად თავიანთი კაცო — აბმედ კურუ დაინიშნეს. კურუს ავტორიტეტი ხალხში უფრო დიდი იყო, ვიდრე აბუ მაზანისა, ამიტომ „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციაში“ ჩათვალეს, რომ ჯერჯერობით ამ უკანასკნელს, რომ შეეჩუბა საჭირო არ იყო.

რუუპი ფაოუჰი და ფარუქ კადუმი კვდიან მიხედნენ, რომ აბუ მაზანი იმაზე უფრო სახიფათო პერსონა იყო, ვიდრე ხანდა, — მან ჯერ არაფატს ქვერვს, სუპი არაფატს საბანკო ანგარიშების ყველა შიფრი გამოართვა, მერე კი და-



პალესტინის ავტონომიის პრეზიდენტი აბუ მაზანი

ვის სექტორში მოქმედ შიიტურ დაჯგუფება „ჰამასს“ მოელაპარაკა, რომ მისთვის მზარი დაეჭირათ და სანაცვლოდ ავტონომიის პარლამენტში ადგილების თანაბრად გაეყოფა ალუთუჟა. „ჰამასის“ შესყუერები აბუ მაზანის წინააღმდეგას სიხარულით დაიანხმდნენ და მთელ ღაზის სექტორში მისი სასარგებლო პროპაგანდა გაჩაღეს.

ერთი სიტყვით, 2005 წლის იანვარში, როცა პალესტინის ავტონომიის მთელ ტერიტორიაზე საპრეზიდენტო არჩევნები გაიმართა, ყველაზეან მოულოდნელად აბუ მაზანს ხმა პალესტინელითა 67%-მა მისცა. უცხოელმა დამკვირვებლებმა, რომლებიც მკაცრად აკონტროლებდნენ ყველაფერს, გაოცებულებმა დაადასტურეს, რომ აბუ მაზანი უფაიოდ გამარჯვებული იყო. რო თქმა უნდა, „პალესტინის გათავისუფლების ორგანიზაციაში“ ამას დიდი განხუთქილება მოჰყვა, თუკვა, როგორც აღმოჩნდა, ყველაფერი ჯერ კიდევ წინ იყო.

ამავე წლის მარტში, როდესაც პალესტინის ავტონომიაში საპარლამენ-

ტი არჩევნები გაიმართა, „ჰამასისთვის“ მოულოდნელად ადგილების უმეტესობა „ფათჰის“ ხელში აღმოჩნდა. უცხოელმა დამკვირვებლებმა დადასტურეს ისიც, რომ თვით ღაზის სექტორშიც კი, სადაც „ჰამასის“ გავლენა ოდითგანვე დიდი იყო, ახლა „ფათჰის“ ლიდერობდა. „ჰამასის“ ლიდერები განსაკუთრებით გააცოფა იმან, რომ აბუ მაზანი არჩევნების დასრულებისთანავე გამოვიდა ტელევიზიით და პალესტინელებს ეშმაკური დიმილით ამცნო, „ფათჰმა“ დამსახურებულად მოიგო. ამასთან, პრემიერ-მინისტრად „ჰამასის“ წარმომადგენელი, ისმაილ ხალამ იბნ აბდელჰანი დაინიშნა და განაცხადა, რომ პალესტინის ავტონომიის ხელისუფლება „ჰამასთან“ თანამშრომლობაზე უარს არ ამბობდა. იქამდე „ჰამასის“ პალესტინაშიც ტერიორისტულ ორგანიზაციად იყო აღიარებული, აბუ მაზანის ამ განცხადების მერე კი მას ეს ტიტულუსი, ცხადია, გაუქმდა.

მაღე, 2006 წლის 20 ოქტომბერს, ქალაქ ღაზის ერთ-ერთ ცენტრალურ ქუჩაზე პრემიერ-მინისტრ ჰანიას კორტეჟს თუგს „ფათჰის“ აქტივისტები დაესხნენ და ღაზის იმ ქვეყნად გაისტუმრეს. თვღამსმელები სახეს არ მაღაფენენ; ჰანიას გარდა, ისინი კორტეჟის სხვა წევრებმაც იცნეს. „ჰამასის“ აქტივისტებმა მთორ დღეუც განაცხადეს, რომ აბუ მაზანი არასერიოზულად იქცვიდა: „ჩვენ მეტოს მოთმენა აღარ შეგვიძლია, „ფათჰის“ თუგს გავიდა“, — განაცხადა ისმაილ ჰანიამ და ღაზის სექტორში „ფათჰის“ საქმიანობა აკრძალა. ამას მოჰყვა „ფათჰის“ სამხედრო ფრთის — „ალ-აქსას“ წამებულთა ბრეგადის“ შეჭრა ღაზაში და ფართომასშტაბიანი ომი.

სამართაშორისო საზოგადოებრიობა და ღაზის კრიზისი

ღაზის სექტორში შიდაპალესტინური კონფლიქტის წამწყებამ, როგორც

**„ლიბა“**  
სამკურნალო გამართიანება

**სამსოკაპიტოლოგია**

- ერეკციის ხარისხის გაუმჯობესება
- სექსობრივი აქტის განახრდებევა
- ყველა სახის სექსუალური დარღვევის მკურნალობა
- სექსუალური წარუმატებლობის მოდოდინის შიშის მოხსნა

ხელმძღვანელი პროფესორი არჩილ ბაკრაძე

მის: თბუკაშვილის №19ა ☎ 890 32-21-21; 32-21-21, 72-59-39

[www.league.ge](http://www.league.ge)





დაზარალებული ღაზა

წესი, ძალზე აურთა ახლო აღმოსავლეთის საქმეები; განსაკუთრებით მწვევე პრობლემები კი ამ დაპირისპირებაში ისრაელს შეუქმნა, — მებრძოლებს და ტერორისტებს რომ თავი დაეხსნათ (იძის პარალელურად, „ჰამასის“ და „ფთაჰის“ ისრაელში ტერაქტებს ტერაქტებზე აწეობდნენ, რადგან ებრაელებს ორჯე მხარე ომში ფარულ მონაწილეობას აბრალებდა), მშვიდობიანი პალესტინელები ისრაელის ტერიტორიაზე მასობრივად გადადიოდნენ და ექიმინიოგანულ ვითარებას ძაბუდნენ.

2007 წლის დასაწყისში „ჰამასმა“ ღაზის სექტორიდან „ფთაჰი“ საბოლოოდ გააძევა; ამასთან, თავდაცვითი „ფთაჰის“ საზრუნველი — მდინარე იორდანის დასავლეთი სანაპირო, პალესტინის ავტონომია ორ ნაწილად გაიყო. სხვათა შორის, ღაზის და იორდანის სანაპიროს საერთო საზღვარი არა აქვს და აქედან გამომდინარე, კონფლიქტი თითქმის შეწყვედა; თუმცა, ღაზის სექტორში დე ფაქტო დამპყრობელი ისლამური რეჟიმი საერთაშორისო სოფოგადობრიობაში არც კი ცნო — „პალესტინის ადგილის ორი სახელმწიფოს წარმოშობა დაუშვებელია... ეს არაეის სჭირდება!“ — განაცხადეს თეთრ სახლში, ისრაელის მესვეურებმა კი მხარი უფუქმანოდ მუშაზის დაუჭირეს; „ჩვენ მზად ვართ უფლებები გავზარდოთ პალესტინის ავტონომიას, თუ ღაზის კრიზისის მისი მოყვრობა თავადვე მოაკარებს“, — ასეთი იყო ქნესეთის გზავნილი აბუ მახანისთვის, მაგრამ ამ უკანასკნელმა ვერც ვერაფერი შეძლო, ის არ იყო იასირ არაფატი, ქარისმა რომ ჰქონოდა.

საბოლოოდ, ღაზის კრიზისის თაობაზე მსჯელობისათვის დაპირისპირებული მხარეების წარმომადგენლები ამერიკისა

და ისრაელის შუამავლობით ერთმანეთს შეზდნენ და შეთანხმებასც ძალიწეს, თუმცაღა პალესტინაში არაფერი შეცვლიდა, — ღაზა ისე „ჰამასის“ ხელშია, იორდანეს დასავლეთი სანაპირო კი — „ფთაჰისა“. ეს სტატუსი კვი უკვე ოთხი წელია, შენარჩუნებულია.

ორჯე დაპირისპირებული მხარე ერთმანეთს ისრაელთან მჭიდრო კავშირს აბრალებს და შესაბამისად, ებრაელთა წინააღმდეგაც გამოდის. უნდა თქვათ, რომ „ფთაჰი“ ვერ უპირისპირდება ისრაელს ისე მწვევად, როგორც „ჰამასი“ და ეს კი „ჰამასის“ აქტუვისტებს იძის თქმის საბაბს აძლევს, რომ ებრაელთა კონტროლირებადი ძალა კონფლიქტში სწორედ „ფთაჰია“. მეორე მხრე „ფთაჰი“ ამტკიცებს, რომ „ჰამასი“ ისრაელის სპეცსამსახურების მიერ შექმნილი დაჯგუფებაა და სწორედ ამიტომაცაა წინააღმდეგობაში არა მარტო მათთან, არამედ სხვა ბევრ ისლამურ ორგანიზაციასთან, მათ შორის „ალ-ქაიდასთან“. ერთი სიტყვითა ვერ კონფლიქტის მოგვარებაზე ლაპარაკი ნაადრევია, მიუხედავდ იმისა, რომ მხარეები დამორიშობრებული არიან.

**კონფლიქტის მოგვარების შინა პირობები**

საერთაშორისო საზოგადოებრიობამ „ფთაჰის“ და „ჰამასის“ შუკვე არაერთხელ განუცხადა, რომ პალესტინის ორად გაყოფის არ დაუშვებს. შესაბამისად, მხარეები იძულებული გახდებიან, მოლაპარაკების მაგიდას კიდევ ერთხელ მიუსხდნენ და ვეცადონ გადაწყვიტონ. ამ მხრე უფრო მომკვებიან პოზიციაშია „ფთაჰი“, რომელიც მშაროველი პარტიაა და თანაც, ტერორისტულ ორგანიზაციად არ არის აღიარებული (როგორც „ჰამასი“). ამიტომაც მისი მესვეურები მოლაპარაკებაზე დაეყულებას არ ჩქარობენ. მეორე მხრე „ჰამასი“ აქტიურად მუშაობს იმისთვის, რომ ტერორისტული ორგანიზაციის იარაღი მოიშროს; თუ ასე მოხდა, საერთაშორისო ასპარეზზე დაპირისპირებულ მხარეთა შინა ერთმანეთს გაურთლდება, რაც მუელუნათა განვითარების რამდენიმე გზას და ვერაფრობითი გამოუცნობ შედეგს გეპირდება.

*ბიხილ ლაბაძე*



ღაზელი ქალი საკუთარი სახლის ნანგრევებთან



საჰაერო


ADATS





# ამერიკული ჯავშანბეჭიკა

## გრძელი გზა „აერუინგიდან“ „აგრესიულ“



1943-45 წლებში ევროპაში ამერიკის სატანკო ჯარებს მასშტაბური ბრძოლები არ გადაუტანიათ და შესაბამისად ტანკისტებიც განსაკუთრებული შედეგადასრულეს არ გამოირჩეოდნენ. ყველაზე ცნობილი იყო ამერიკელი ტანკისტი მე-3 სატანკო დივიზიის 32-ე ჯავშანსატანკო პოლკის ოფიცერი პულ ლაფიციტი, რომელმაც თავისი „შერმანი“ 80 დღეში გერმანელთა 12 ტანკი და მოიერიშე ქვეშეხი გაანადგურა.

სახელი გაითქვა მე-4 სატანკო დივიზიის 37-ე ჯავშანსატანკო პოლკის მეთაურმა, პოდოლკოვიჩმა კრეისტონ აბრამსმა. იგიც „შერმანი“ იბრძოდა და ანგარიში გერმანელთა 6 ტანკითა და მოიერიშე ქვეშეხით შეუვსო. თუმცა, არის სხვა მონაცემებიც,

რომ პოდოლკოვიჩი აბრამს მოწინააღმდეგის ჯავშანტექნიკის 40 ერთეული აქვს განადგურებულო.

ამ სახელგანთქმული ტანკისტის პატენტსაცემად ამერიკის არმიის ბოლო ძირითად საბრძოლო ტანკს M1-ს „აბრამსი“ ქვდა.

ომის წლებში ამერიკული წარმოების ჯავშანტექნიკას ლენდ-ლიზის პროგრამით ფაშისზთან მებრძოლ სხვა ქვეყნებთან ერთად საბჭოთა კავშირშიც იღებდა. შემოტანა 1941-42 წლების ზამთარში დაიწყო და ომის დასრულებამდე გაგრძელდა.

წითელი არმიის განკარგულებაში გადავიდა ჯავშანტექნიკის დაახლოებით 20 ათასი ერთეული და მათ შორის იყო: მსუბუქი ტანკები — M3A1 General Stewart-ი, საშუალო — M3 General Lee და დიზელისძრავიანი M4A2 Sherman-ი, აგრეთვე, თვითმგალი საარტილერიო დანადგარები,

ჯავშანტრანსპორტიორები, საინჟინრო ტექნიკა და მრავალი სხვა.

ლენდ-ლიზით საბჭოთა კავშირის მომარაგების რამდენიმე მაგნტრიტიდან ერთ-ერთი ირანის გავლით ამოქმედდა მას შემდეგ, რაც 1941 წლის აგვისტოში საბჭოთა და ინგლისის ჯარებმა ირანის ოკუპაცია მოახდინეს.

ირანიდან ტვირთის შემოტანა 1941 წლის ნოემბერში დაიწყო, მაგრამ ტვირთნაკადის მოცულობის განუწყვეტელი ზრდის გამო ქვეყნის სატრანსპორტო ინფრასტრუქტურამ მოდერნიზაცია მოითხოვა და მალე ამერიკელებმა 4 და ბრიტანელებმა 2 ავტოამწვომი ქარხანა გახსნეს.

ტვირთის სატვირთო ავტომობილების კოლონები ეზიდებოდნენ და ავტომობილები ტვირთთან ერთად საბჭოთა კავშირს რჩებოდა.

1943 წლის აპრილიდან ირანიდან სატვირთო Studebaker-ების უზარმაზარი კოლონების ერთი ნაწილი ტვირ-

**M46: მასა — 44 ტ, ტვირთი — 5 კაცი, ჯავშანი — 13-102 მმ, კარბურატორიანი ძრავა 810-ცხ. ძალიანი, სინქარე — 48 კმ/თ-ში, სელის მარავი — 129 კმ, შეიარაღება — 90 მმ-იანი ქვეშეხი, 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი**





**M47:** მასა — 46,1 ტ, კეპაჰე — 5 კაცი, ჯგუშანი — 13-102 მმ, კარბურატორიანი ძრავა 704-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 48 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 130 კმ, შეიარაღება — 90 მმ-იანი ქვემეტი, 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეველი

თის გადასახიდად ჯუღფა-ერეკნია-ვაზხი-თბილისი-ორჯონიკიძე (ვლადიკავკაზი) მარშრუტს იყენებდა.

ამერიკული ჯგუშანტექნიკა მონაწილეობდა კავკასიისთვის ბრძოლებში და ომის დროს შემოტანილი ერთ-ერთი „შერმანის“ კორპუსი ახლაც შემორჩენილია კრწანისის სასწავლო ცენტრის ტერიტორიაზე.

ომით გამოწვეული სირთულეების მიუხედავად, ამერიკის სატანკო ინდუსტრია ფორნტის მოთხოვნათა დაკმაყოფილებასთან ერთად პერსპექტიული ტანკების პროექტებზე მუშაობას არ წყვეტდა.

საცდელ-საკონსტრუქტორო სამუშაო დაკავშირებული იყო ტანკებზე აირტურბინიანი თუ მრავალსაწივეანი და დგუშოანი ძრავების გამოყენებასთან, ქვემეტის ავტომატური დამტენით აღჭურვასთან, ჯგუშანდაცვის გაძლიერებასთან, ქვემეტის კალიბრის გაზრდასთან და სხვ. მაგრამ ომის დასრულების შემდეგ ამერიკის მთავრობამ ყურადღება ბირთვული იარაღის სრულყოფილ გადართანა და სატანკო პროექტებზე ინტერესს იკლო, ხოლო სამუშაო ტანკების მოდერნიზაციაში შემოიფარგლა.

ომის მიწურულს შექმნილი M26 General Pershing-ი საუკეთესო და სრულყოფილ ამერიკულ ტანკად ითვლებოდა და წარმოებისას კონსტრუქცია უმნიშვნელოდ შეიცვალა.

„პერშინგმა“ ომი მძიმე ტანკად დაამთავრა, მაგრამ 1946 წლის მაისიდან სამუშაო ტანკების კლასს მიეკუთვნა. ამ ცვლილებების მიზეზი კი გერ-

მანული „პანტერა“ იყო. მეორე მოყოფილი ომის ერთ-ერთი საუკეთესო საშუალო ტანკი მასითა, შეიარაღებითა თუ დაჯგუშნით ზოგიერთი გამარჯვებული ქვეყნისთვის სანდუმო მავალითადაც იქცა, ხოლო „პერშინგი“ „პანტერასთან“ ზოგიერთი მახასიათებლებით ახლოს იდგა.

მრავალი დადებითი მომენტის მიუხედავად, სამხედროები „პერშინგების“ ძრავის არასაკმარისი სიმძლავრითა და ჯგუშანდაცვით უკმაყოფილონი იყვნენ და შეიარაღების გაძლიერებასაც მოითხოვდნენ.

ცივი ომის მოახლოებით გამოწვეულმა საფრთხემ ტანკებით დაინტერესება ისევე გაზარდა და მუშაობაც ისრაფი ტემპით წარიმართა.

1948 წელს გამოცდა გაიარა ახალი ძრავა-ტრანსმისიითა და ქვემეტით აღჭურვილმა M26E2-მა. იმავე წლის 30 ივნისს ტანკი შეიარაღებაში M46 General Patton I-ის სახელით შევიდა და ის პირველი ტანკია, რომელსაც ინტექსიან ერთად ოფიციალური სახელი მიენიჭა.

„პატონ I“-ს ჰქონდა ძლიერი ძრავა, სრულყოფილი პიდრიმექანიკური ტრანსმისია, ქვემეტი გაუმჯობესებული ბალისტიკური მახასიათებლებით, ცვეცხლის მართვის ახალი სისტემა და სხვა მრავალი სიახლე.

შეკვეთა 800 ტანკის დამზადებაზე გაიცა და ერთლიანი წარმოების შემდეგ დამზადების პროცესი შეჩერდა. სანაცვლოდ, 1215 „პერშინგის“ M26E2-ის დონეზე მოდერნიზაცია გადამწავდა, მაგრამ კორეის ომმა ახალ

ტანკებზე მოთხოვნა გაზარდა და „პატონ I“-ის წარმოება განხლდა.

კორეაში „პატონ I“-ებს საბჭოთა T-34-85-ებთან დაბირისბარება მოუხდათ და სატანკო დუელლებში ამერიკული ტანკები დაჯგუშნითა და შეიარაღებით მოწინააღმდეგეს ჯაბინდნენ.

„პერშინგის“ საფუძველზე შექმნილი კიდევ ერთი ტანკი 1950 წელს შექმნილი M47 Patton II იყო. მას ჰქონდა ახალი კოშკი უფრო ძლიერი 90 მმ-იანი ქვემეტი, მძილ-მექანიკოსის ინფრაწითელი ხელსაწყოები და ცვეხლის მართვის ახალი სისტემა. ეს უკანასკნელი კი საკმაოდ არასამილო გამოდგა და თან ხარვეების გამოსწორება სწრაფად ვერ მოხერხდა. ამის გამო ამ მოდელმა M46-თან შედარებით უპირატესობა ვერ მოიპოვა და აშუხლდული სტანდარტის“ კლასს მიენიჭა. „პატონ II“-ს ვიწრო მუხლუხები დაჯგუშნის გასაუმჯობესებლად მასის გაზრდის საშუალებას არ აძლევდა, ხოლო თავად საკალი ნაწილის მოდერნიზაცია კი საკმაოდ დიდ ხარჯს უკავშირდებოდა.

კომკურის როული ფორმა მრავალერეზონანსი ჩახსქილობით დამცვეთი ტანკის ან აქტიური ჯგუშნის დაყენებას შეუძლებელს ხდიდა.

ერთადერთი, რაც მოხერხდა, ტანკის M47M ვერსიაზე გამოითვისეულდა მძილ-მექანიკოსის თინაშემწის გაუქმებულ ადგილი და სიერცე ჭურვების მარაგის გასაზრდელად იქნა გამოყენებული.

„პატონ II“-ის სერიული წარმოება





**M60: მასა — 46,2 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — 13-178 მმ, დონულის ძრავა 643-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 48 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 480 კმ, შეიარაღება — 105 მმ-იანი ქვემეტი, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეკვები**

1951 წელს დაიწყო და ტანკების პირველი პარტიით ევროპაში 1-ლი და მე-2 ამერიკული ჯავშანსატანკო დივიზიები დაკომპლექტდა, მაგრამ „შენსლუდლი სტანდარტის“ გამო ტანკები ამერიკის არმიის შეიარაღებაში მცირე ხანს დარჩა.

სამაგიეროდ, „პატონ II“-ებს უხვად იღებდნენ NATO-ს ზოგიერთი წევრი თუ არაწევრი ევროპული ქვეყნები (ავსტრია, ესპანეთი, თუგოსლავია) და აზიის სახელმწიფოები (ირანი, იორდანია, პაკისტანი, სამხრეთ კორეა და სხვ.).

რამდენჯერმე სცადეს ტანკის უფრო ძლიერი ქვემეტი აღჭურვა. მაგალითად, 1967 წელს ფრანგებმა 105 მმ-იანი ქვემეტი მოისრულეს და ამით სამუშაოდ დასრულდა.

იტალიელებმა კი ტანკს ბრიტანული L7 ტიპის 105 მმ-იანი ქვემეტი და ახალი ძრავა-ტრანსმისიისა დაუყენეს, მაგრამ ერთი საცდელი ნიმუშის აწეობით დაკმაყოფილდნენ.

ტანკზე 105 მმ-იანი კუთხვილიანი ქვემეტი მხოლოდ ესპანელებმა დააყენეს და მთელი პარტია 46 ტანკის აწეობით შემოიფარგლა.

მიუხედავად ამისა, „პატონ II“ არაბეთ-ისრაელის ომების მონაწილეა, პაკისტანის არმიის შემადგენლობაში ინდიელებს ებრძოდა, თურქეთის არმიამ კუნძულ კეპაროსზე ბერძნული T-34-ების წინააღმდეგ გამოიყენა და ა.შ.

„პატონი I“ და „პატონი II“ ომის შემდგომი პერიოდის პირველი თაობის საბჭოთა ტანკებს საბრძოლო მახასიათებლებით ჩამორჩებოდნენ და მფლობელების გაოსწორებას ამერიკა M48 Patton III-ით შეცვალა.

„პატონ III“ საცდელი მძიმე ტანკის T-43-ის საფუძველზე შეიქმნა და, ფაქტობრივად, მისი შემცირებული ვერსია იყო.

ტანკის მნიშვნელოვანი დეტალი ეროსხმულად დამზადებული ელემენტო-ილური ფორმის კორპუსი იყო. შედეგობით დამზადებულ კორპუსთან შედარებით ჩამოსხმული კორპუსი მეტ ჭურჭემდგობას ინარჩუნებს, რადგან შედეგობის ნაკერებით დასუსტებული არ არის. კომპლურაც ჩამოსხმულია და კედლებს ოპტიმალური დახრის კუთხეთა ვითარისწინებით დამზადდა. სხვა მხრივ, ტანკს „პატონის“ წინა მოდელთან ბევრი საერთო ჰქონდა.

„პატონ III“ შეიარაღებაში 1953 წლის აპრილიდან შევიდა, მაგრამ სერიულ ტანკებს სეაღ ნაწილსა თუ ძრავა-ტრანსმისიისაში იმდენი ხარკეზი ჰქონდა, რომ არმიის საკონტროლო კომისიის დასკვნით M48-ები სასწავლო-საწერეთელი დანიშნულებითაც კი არ გამოდგებოდა.

გამოსვლიდა სხვა ნაკლიც. მაგალითად, M48A1-ის სელის მარაგი 110 კმ-ზე ირანე მტერი იყო, ხოლო M48A2-ს კარბურატორიან ძრავას თვითააღების უნარი ჰქონდა.

ტანკის კონსტრუქციის დახვეწა მაინც მოხერხდა და არცთუ შეუთხვევით M48 ომის შემდგომი პერიოდის ეთიოპური საუკეთესო ამერიკულ ტანკად ითვლებოდა.

ამერიკის ტანკმშენებლობაში გარდღებულა შეიტანა M60 Patton IV-მა, რომელიც ძირითადი საბრძოლო ტანკის დანიშნულებით Chrysler-მა დააპროექტა.

მრავალმხრივი დანიშნულების „პა-

ტონ IV“-ში შერწყმული იყო საშუალო ტანკისთვის დამახასიათებელი კარგი ძრავლობა და მძიმე ტანკების სიძველზე ძალა ჯავშანდაცვათთან ერთად.

„პატონ IV“ 1957-59 წლებში დაპროექტდა და M48-ის ხაზს აგრძელებდა, მაგრამ ოდნავ შეცვლილი კორპუსის შუბლი და განსხვავებული კონფიგურაციის კომპურა ჰქონდა, აღჭურვილი იყო 105 მმ-იანი ქვემეტი და ორსიბრტყიანი სტაბილიზატორით.

საუკუნულ მხარდაჭერის მიღველ M60A2-ზე დააყენეს რთული კონფიგურაციის კომპურა 152 მმ-იანი მცირე იმპულსური ქვემეტი, ორმედი ჭურჭვებთან ერთად ტანკსაწინააღმდეგო მართვად რაკეტებსაც ისროდა.

„პატონ IV“-ს 27 წელი აწარმოებდნენ და 1987 წელს 13 ათასზე მეტი ტანკის გამოშვებით დასრულდა.

„პატონების“ ახალი ტანკით შეცვლა ორჯერ სცადეს, მაგრამ ორივეჯერ მარცხით დასრულდა. პირველ საცდელ T95-ს არანაირი უპირატესობა არ ჰქონდა, ხოლო მეორე კი — MBT-70-ის ყველაზე მარტვი მოდელი XM803 საკმაოდ რთული და ძვირადღირებული აღმოჩნდა.

შესაძე პროგრამისთვის წინასწარ განისაზღვრა კლასიკური კომპონირება სქემა, 4 კაციანი ეკიპაჟი და ქვემეტი მაღალი ბალისტიკური მახასიათებლებით.

1973 წლის მაისში Chrysler-მა და General Motors-მა თვითნაი საკონკურსო პირობები წარადგინეს და თვისში ხელი მოეწერა კონტრაქტს პროტოაქტების დამზადებაზე.

აირტურბინიანი „კრასისლერის“ საკალი ნაწილი 7 საყრდენი გორგოლა-

ჭისგან შედგებოდა, ხოლო დიხელის-მრავიანი „გენერალ მოტორის“ კი 6 გორგოლაჭით იყო აღჭურვილი.

1976 წლის იანვარ-მაისში გამოცდა ჩატარდა, სადაც ორივე პროტოტიპმა მაღალი საბრძოლო-საექსპლუატაციო თვისებები გამოავლინა.

არჩევანი „კრაისლერზე“ შეჩერდა, რადგან კომპანიამ ტანკის დიზერბლეების 422 ათას დოლარამდე შემცირება შეძლო.

1981 წლის 17 თებერვალს ტანკი აღინიშნა „105 მმ-იანი ქვეუბიანი მუხლუხა ტანკი M1“ ამერიკის არმიის შეიარაღებაში შევიდა.

ტანკის კორპუსი და კოშკურა შედუღებით არის დამზადებული და შუბლის მხარეს ინგლისური Chobham-ის მსგავსი მრავალშრიანი კომპოზიტური ჯავშანია გამოყენებული.

„აბრამსისთვის“ დამახასიათებელია კორპუსის ზედა შუბლის ფურცლის დაზრის ძალიან მაღალი კუთხე (82°) და კოშკურასა და კორპუსს შორის დიდი ღრეო. ერთ-ერთი სიახლე დამხმარე ენერგეტიკული დანადგარია, რომელიც საბრძოლო სისტემების ელექტროენერგიით უზრუნველყოფს ისე, რომ მთავარი ძალიერის აგრეგატისა და აკუმულატორების გამოყენება საჭირო აღარ არის.

საწვევისა და ჭურჭებისთვის ცალცალკე იზოლირებული ნაკვეთურება გამოყოფილი, ხოლო კოშკურის სახურავზე ამოსაგდები პანელგბია საბ-



**M1A2:** მასა — 61,3 ტ, ვეიპაფი — 4 კაცი, აირტურბინა 1500-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 48/70 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 410 კმ, შეიარაღება — 120 მმ-იანი ქვეუბი, 12,7 მმ-იანი და ორი 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევი

რძილო კომპლექტის დეტონაციის შემთხვევაში ზედმეტი წნევის გამოსაშვებად და სხვ.

ტანკის M1A1 მიღეღზე დაყენებულია გერმანული 120 მმ-იანი ქვეუბი, სახურავს ორი ამოსაგდები პანელი აქვს. 1988 წლიდან ტანკების დიდ ნაწილს — კორპუსს, ხოლო კოშკურის შუბლის ჯავშანს გაღარიბებული ურანი დეფაქტა. „აბრამსებმა“ საბრძოლო ნათლობა 1991 წელს სპარსეთის ყურეში მიიღ-

ნარე საბრძოლო მოქმედებებში მიიღეს და მასინ დანაკარგმა 18 ტანკი შეადგინა, მაგრამ ყველას აღდგენა მაინც მოხერხდა.

ბერვად მეტი დანაკარგი იყო ურავის მეორე ომის დროს და დაახლოებით 80 ერთეულს მიადწია.

ამერიკის არმიის შეიარაღებაში მსუბუქ ტანკებს ტრადიციულად ყოველთვის დიდი ადგილი ეკავა.

1946 წელს General Motors-მა მოი-

**M48:** მასა — 44,8 ტ, ვეიპაფი — 4 კაცი, ჯავშანი — 13-178 მმ, კარბურატორიანი ძრავა 704-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 45 კმ/სთ-ში, სვლის მარაგი — 110 კმ, შეიარაღება — 90 მმ-იანი ქვეუბი, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრქვევები







**M551: მასა — 15,2 ტ, ეკიპაჟი — 4 კაცი, ჯავშანი — ტყვიამუდვი, დიზელის ძრავა 255-ცხ. ძალიანი, სიჩქარე — 69 კმ/სთ-ში, სელის მარაგი — 564 კმ, შეიარაღება — 152 მმ-იანი ქვერეზი, 12,7 მმ-იანი და 7,62 მმ-იანი ტყვიამფრეშვეები**

ველებული მსუბუქი ტანკების შესაცვლელად დააშადა რამდენიმე საცდელი ნიმუში, რომლებიც ერთმანეთისგან კომპარირება და აღჭურვილობით განსხვავდებოდნენ.

უკეთესი პარამეტრები საცდელ T41E1-ს აღმოაჩნდა და შეიარაღებაში 1950 წლიდან — M41 Little Bulldog-ის, მოგვიანებით Walker Bulldog-ის სახელით შევიდა.

„ბულდოგები“ არმაში 1952 წლიდან გამოჩნდა, მაგრამ 60-იანი წლებიდან ტანკი შეიარაღებიდან მოიხსნა და რეზერვსა და ეროვნულ გეარდიას გადაეცა.

მართალია, „ვოლკერ ბულდოგ“ მსუბუქი ტანკი იყო, მაგრამ ის საკმარისი იყო და მაშინდელი თვითმფრინავებით გადატანაც შეუძლებელი აღმოჩნდა. მას უგზობობასა და რბილ

გრუნტში ცუდი გამძლეობა ჰქონდა. „ვოლკერ ბულდოგს“ გამოყენება შეიძლებოდა იქ, სადაც გავიდოდა საშუალო ტანკი, რომელსაც საცდელზე ძალითა და დაჯვრებით ჩამოიხრებოდა, ამიტომაც შეიარაღებიდან მოიხსნა.

1958-59 წლებში ახალ მსუბუქ ტანკზე კონკურსი ჩატარდა. საკონკურსო მოთხოვნით ავიატრანსპორტირებადი, ცურვის უნარის მქონე და შეიარაღებით არანაკლებ საშუალო ტანკების ტოლფასი უნდა ყოფილიყო.

კონკურსში გაიმარჯვა „ჯენერალ მორტონსმა“ და 6 საცდელი ტანკის XM551-ის შეკვეთა მიიღო. გამოცდის დასრულების შემდეგ, 1966-70 წლებში, ის კონკრეტულიდან ჩამოვიდა და საარმიო ქვედანაყოფებს 1700 მსუბუქი ტანკი M551 Sheridan-ი გადაეცა.

პირველად ტანკის კორპუსის დასამზადებლად ალუმინ-მაგნიუმის შენადნობი გამოიყენეს. ფლადის ჯეინსისგან დაშნადებულ კომპურაში ქვერეზი — რაკეტების გამშვები დანადგარი იყო დაფენებული.

ვეეტნამის ომში „შერიდნების“ კონცეფციამ არ გაამართლა, მას ბევრი ხარვეზი ჰქონდა, ამის გამო ტანკების დიდი ნაწილი შეიარაღებიდან მოიხსნა

**თმშპრ ჩანახიძე**



**ყველა თაობის  
საყვარელი გავითი  
1934 წლიდან**



# ნგრავის ავოლუსია

დასასრული. დასაწყისი იხ.  
„არსენალი“ N2, 2012 წელი

მძღვრ ასაფეთქებელ ნოთიერებებს, რომელთა დეტონაციის სიჩქარე 7500 მ/წმ-ს აღემატება, პლასტიფიკატორებს ურევენ და ამზადებენ პლასტიტებს, რომლებიც უპირატესად ჯავშანგამძინ-ფუგასურ ჭურვებში და სადღურსო მიზნებისთვის გამოიყენება. მათი უპირატესობა ნოთებთან თუ საგნებთან მიწებების უნარია, რაც აფეთქების ბრინჯნულ ეფექტს აძლიერებს. ეს ნოთიერება სამი სახისაა: პლასტიკური, წებოვანი და ელასტიკური.

ელასტიკური პლასტიტ გექსოპლასტის კონსისტენცია პლასტიდან პლასტელინამდე შერეობს და პექსოგენისა და პარაფინის (შესაძლებელია ცვილი, ან ცერუზინი) ნაერთია.

იგი გამოიყენებისას უსაფრთხოა, არაპიერესკოპული, დარტყმის, გასროლილი ტყვიის, ხახუნისა თუ ნაპერწკლის მიმართ პრაქტიკულად უგრძობია და გარანტირებულად ფეთქდება მხოლოდ №8 სტანდარტული დეტონატორით, რომელიც მასში ერთი სანტიმეტრის ხიდრმეზა მოთავსებული.

რუსეთში წარმოებულ პექსოპლასტებს კაუჩუკის ან ნედლი რეზინის კონსისტენცია და წებოვანი დანამატები აქვს. ზოგიერთი ელასტიკური თასმის ფორმისაა, ზოგიც კბილის პასტის მსგავსად ტუბებშია მოთავსებული.

ბოლო დროს პლასტიტების არსენალი ოქტოგენისა და ტეტრაილის ხარჯზე შევსო.

ასაფეთქებელი მასალების პროგრესულად გამოყენებას ხელი შეუწყო

კუმულაციული ეფექტის აღმოჩენამ, რომელიც აფეთქების ძალის გარკვეული მიმართულებით კონცენტრაციას აზღვნს.

ამ დანიშნულებას ასრულებს მიზნისკენ მიმართული კუმულაციური ჩაღრმავების მქონე მუხტი.

აფეთქების დროს ენერჯის ჰიპერბერიითი ნაკადი შედის სამიზნეში, როგორც დანა კარაქში.

ჯავშნის სიმტკიცე ამ შემთხვევაში არავითარ როლს არ ასრულებს. სამიზნესა და მუხტს შორის მანძილის გაზრდისას ოზრდება ნაკადის სიგრძეც, რაც ჯავშნის გატანის ხიდრმესაც ზრდის. დიდი მანძილი კი ნაკადს წვევებს და ამცირებს ჯავშანგამძინ ძალას.

ლითონის გარსაცმის გარეშე კუმულაციული ჩაღრმავების მქონე მუხტს ნაკლები ძალა აქვს, რადგან ლითონუ-

**ჭურვები და ბომბები თვითაფეთქების საფრთხეს ყოველთვის ინარჩუნებენ და გამანადიმებებს სწრაფ ფეთქებადსაშიშო საგნების ადგილზე ლიკვიდაცია უზღებთ**







ქალაქ ოპაუს ქიმიურ ქარხანაში ამონიუმის გვარჯილის აფეთქების შედეგად უზარმაზარი ხელოვნური ტბა გაჩნდა

რის მაგურად ამ დროს გაზისმაგარი ნაკადი წარმოიქმნება. თუმცა, ჯგუზის გარეთა მოქმედება გაცილებით დამანგრეველია.

კომულაციული ჭურვები გერმანელებმა პირველად 1940 წელს ბელგიის ფორტ ებენ-ემელში გამოიყენეს.

პირველი საბჭოთა კომულაციური ჭურვი **БП-353А** შეიარაღებაში ამ ფაქტიდან ორი წლის შემდეგ შევიდა.

ასაფეთქებელ მასალათა გამოყენების ვირტუალური დარბაზების დათვლიერება სრული არ იქნებოდა, ამ შროსხანე არადის შედარებით მშვიდობიანი წარმომადგენლების ექსპოზიციის გარეშე.

მაგალითად ავილით ამონიუმის გვარჯილა. ამ თოლითი თეთრ ფუნელს ასაფეთქებელ მასალად მოისხენიებენ, არადა, იგი საუკუეთოს სასუქია.

მიუღ მსოფლიოში მას უდიდესი რაოდენობით აწარმოებენ, მას კარგად ითვისებენ მცენარეები, კარგად იხსნება წყალში და ერთიორად ზრდის მოსავლიანობას, მაგრამ აქვს ერთი უარყოფითი თვისება, — ნესტისგან იგი მონილითურ მასალად გადაიქცევა, რომლის დაქუცმაცება ხელით ძალზე მწყლია.

ამის გამო ოციანი წლებში გერმანიაში ქალაქ ოპაუსი ერთ-ერთი უდიდეს ქიმიურ ქარხანაში დაქუცმაცების პროცესის დაჩქარება წერილ-წერილი აფეთქებებით გადაწყვიტეს.

თავიდან ყველაფერი ჩანაფიქრისამებრ მიმდინარეობდა, მაგრამ ერთხელაც უზარმაზარი საწყობი და მასთან ერთად ქარხანაც აფეთქდა. ქარხნის ადგილას გაჩნდა ტბა, რომლის სარკის ფართობმა 17 ათას კვ.მ, სიღრმე კი 20 მ-ს მიაღწია. ქალაქი მოლიანად

დაინგრა. დაიღუპა 500-ზე მეტი კაცი. დანაშაუც ქარხნის მფლობელის გულმავიწყობა ან უცოდინარობა იყო, რადგან ჯერ კიდევ 1885 წელს იყო ცნობილი ამონიუმის გვარჯილის ფეთქებადი ხასიათის შესახებ (ფრანგი ფუვიე ამ წლებში ამონიუმის გვარჯილისგან ასაფეთქებელ მასალებს აწმადებდა).

ამონიუმის გვარჯილისგან დაბალი სიმძლავრის ასაფეთქებელი მასალები დიდი ჯგუფი იწარმოება, რომელთაგანაც ყველაზე გავრცელებული ამონიტები, დინამონები და ამონალბია.

მოვანიებით მათ შეემატათ ივდანიტები, გვარჯილისა და ნავთობპროდუქტების ერთობ ყვექტური ნაზავი, რომელიც აფეთქების მაღალი ტემპურატურითა და კარგი ბრინანტულიობით გამოირჩევა.

რატომ უარყოფენ ამ შედარებით იაფ ნოთიერებას სამხედროები? პასუხი მარტყია: ამონიუმის გვარჯილის საფუძველზე დამზადებული ასაფეთქებელი მასალები საიმელო არ არის, რადგან 3%-იანი ტენიანობის შემთხვევაში გვარჯილა თავის თვისებებს კარგავს. გარდა ამისა, ამ ნოთიერების მუდმივი კრისტალიზაცია ჭურვის კორპუსს აზიანებს.

როგორი უნდა იყოს იდეალური ასაფეთქებელი მასალა? რა თქმა უნდა, ზემძლავრი, თვისთავად ცხადია, მაგრამ მთავარი ეს თვისება არ არის. მთავარია, იგი ყველგან და ყოველთვის სრულად უსაფრთხო იყოს: წარმოების დროს, გადატანისას, შენახვისას და მოხმარებისას. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობენ დღეს მცენარეები.

**talizi**  
თმის გალანარების ხანგარი

გაუქანგონი 27. ბაღ: 2141515  
www.talizi.ge

ტრინიტრო-  
ტოლულის  
კოჭები



თანამედროვე ასაფეთქებელი მასალების ერთი ნაწილი შეიძლება გადმოადგინოს თვითმფრინავიდან, მოუკიდოთ ცეცხლი, ურტყათ ურო, ესროლოთ ტყვია და მათ ვეწვლაფერი „მოიბინონ“, მაგრამ როგორც ამბობენ, „ჯოხს ორი ბოლო აქვს“. გადამეტებული „უგრძობლობაც“ სახიფათოა, რადგან აუფეთქებელი მუხტი პრიმიტიულად ანგრევს აფეთქების სქემას და ადამიანს იძულებულს ხდის, ხელახლა მოახინოს მისი პროოცედურა.

იდეალურ ასაფეთქებელ ნივთიერებას კიდევ ერთი თვისება — მდგრადობა-გამძლეობა უნდა ჰქონდეს. მასზე ხომ მუდმივად მოქმედებს შხის სინთილე, ქანგბადი, სითბო, სიცოცხლე და დრო, რის გამოც იგი იცვლება.

დინამიტისგან წვეთებდნ მთლიანად იხრანის, თუთია, უკვალოდენით იხრანება და აფეთქებს ქარხნებს, ხომალდებს, საწყო-



აფეთქებას პროვოცირებას  
დეტონატორი უკეთებს

ბებს. პირენიმფეა ჭურვის ლითონის კორპუსთან შეჭებისას წარმოშობს მარილებს, რომელიც მსუბუქი შეჭებისას დეტონირდება. ზოგი მასალა თავის თვისებას დამზადებლან რამდენიმე წუთში კარგავს.

ბუნებრივი ფაქტორებისგან ასაფეთქებელი მასალების დასაცავად იყენებენ სპეციალურ „დამაწყნარებლებს“ — დინამიტისთვის კიხეგლურს, ბალისტიკისთვის ქაფურს, კორდიტისათვის — ვახუნის.

ზოგ შემთხვევაში ამ ამოცანას მშვენიერად ასრულებს წყალიც. ზოგჯერ ისეც ხდება, რომ ვეკლა წესის დაცვით დამზადებული ნაზავი აფეთქებაზე უარს ამბობს. ასეთ შემთხვევაში მათ სენსიბილიზატორებს უმატებენ.

შეიძლება აფეთქებითი სამუშაოები ვაწარმოოთ ისეთ გარემოში, სადაც ახანთის ანთბაც კი სახიფათოა? მაგალითად, ქვანახშირის მადაროში? რა თქმა უნდა, შეიძლება, თუკი ისეთ ასაფეთქებელ მასალას გამოვიყენებთ, რომელიც ალმქრობს — 20-60% ჩვეულებრივ სუფრის მარილს შეიცავს, მაგრამ ამ შემთხვევაში შეიძლება სხვა სამშობრება განხდეს.

მსგავსი მასალის აფეთქებას მოწინააღმდეგე გაზებს ახლავს. ამის გამო გულახდილად უნდა ვთქვათ, რომ იდეალური ასაფეთქებელი ნივთიერება არ არსებობს. შეიძლება იგი ოღესმე მოვლინოს კაცობრიობას, მაგრამ როცა მეცნიერება ერთ პარამეტრს აუზღოებს, აუტომატურად მეორე უარესდება.

მაგალითად, წარმოების სიჩაფის, უსაფრთხოების, მდგრადობის მისაღწევად შეიძლება სიმძლავრის გაწირვა მოგიხდეს.

ახალმა ასაფეთქებელმა ნივთიერებმა შეუვიწროეს და თითქმის განდევნეს მონხარებიდან ძველი, კვალიანი, შვიი დენითი, მაგრამ ტუტურანი კვლავ რჩება საბრძოლო მწვეობრში. იგი გამოიყენება ბიკოროდის ზონარში, სანადიროდ, მის გარეშე წარმოუდგენელია ფეიერვერკები. მისი სამუშაოებით მოიპყრებენ მებრფას ქვეებს. მარმარილონა და გრანაიტის ქანების აფეთქებისას ხომ მთავარი არა დაქუცმაცება, არამედ მათი დიდ ღოდებად ჩამოშობრება საჭირო. ასე რომ, ვეყვერებით თიფის „მკვი წამლის“ ადგილი სიძველეთა მუხუშში არ არის.



# კარლ მეორე

688-741



Carolus  
imparis

მეფის  
წიგნი

## ქრონოლოგია

- \* 688 — დაიბადა.
- \* 714 — ავსტრახიაში ძალაუფლება ჩაიკოცა.
- \* 716 — ამბლევიან ნეისტრიელები დაამარცხა.
- \* 717 — გაიმარჯვა ვინშითან.
- \* 718 — დაარბია საქსონია.
- \* 719 — გაიმარჯვა სუასონთან.
- \* 720-730 — აღადგინა სამხრეთ გერმანიაზე ბატონობა.
- \* 732 — პუატევისთან ბრძოლაში არაბები დაამარცხა.
- \* 737-738 — გაილაშქრა სამხრეთ საფრანგეთში.
- \* 741 — გარდაიცვალა 21 ოქტომბერს, შუაში-სურ-უანში.

კარლ მარტელმა გალიაში ფრანკთა ბატონობა აღადგინა, ქრისტიანული დასავლეთი ევროპა არაბთა ბატონობისგან იხსნა და კარლ დიდს გაუკავია გზა.


დაახლოებით 688 წელს დაიბადა. კარლი ფრანკთა მეფე პიპინ II-ის უკანონო ვაჟი იყო. მამამისი 714 წელს გარდაიცვალა.

მეფის მემკვიდრედ მისი უცესი წლის შვილიშვილი თეოდორადი ითვლებოდა. პიპინის ქვრივმა პლუტკრუდამ 26 წლის კარლს სამყრობილეში უკრა თავი, თვითონ კიოლნში დამკვიდრდა და თავისი შვილიშვილის დაცვა თვითონვე იკისრა.

715 წელს დასავლეთის შროვინგია ნეისტრია აჯანყდა, რასაც დამორჩილებულ სამეფოთა ამბოხება მოჰყვა. ავსტრახიის ჰერცოგმა ედმამ სამფლობელოს გასაფართოებლად ეს შანსი გამოიყენა, ამასობაში კი საქსონებმა რაინი გადალახეს, არაბებმა კი პირიქეში.

კარლმა სამყრობილეს კი დააღწია თავი, მაგრამ ფრანკთა მეფე რადობრემ 716 წელს კიოლნთან დაამარცხა. კარლმა სასწრაფოდ გადააჯგუჯა დარჩენილი ჯარი და ნეისტრიელები დაამარცხა (ნეისტრიელებს მეორედ კამბრესთან სძლია, 717 წლის 21 მარტს).

ამის შემდგომ პარიზს მიაშურა, მაგრამ ზურგი გაუმარცხებელი ჰქონდა, ამიტომ ავსტრახიაში დაბრუნება ამჯობინა, კიოლნი აიღო და მამის კანონიერი ცოლი პლუტკრუდა აიძულა, მეფედ ელიარხინა და მამის განძეულად დაბრუნებინა. მარტელმა ავსტრახიაში მეროვინგე მარიონეტი მეფე ლოთარ IV დასვა (მეროვინგთა სახლი ერთობ ლოთარული იყო), თვითონ კი მაიორდომი — ფრანკთა სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობის პირი გახდა.



არაბებთან წარმატებულმა ბრძოლებმა მეფე კარლს სახელი გაუთქვა



### სამსონის დარბაზი

718 წელს კარლმა საქსონელები დასავა ავსტრიაში შეჭრისთვის და ეიზერი ააოხრა. 719 წელს, როდესაც მეფე რადობდი გარდაიცვალა, კარლმა დააპყრო ფრისლანდია, რომელსაც ერთ დროს მამამისი, პაპინი მართავდა. ნეისტრიულეშმა აკვიტანიათის ძალები გააერთიანეს, მაგრამ კარლმა მათი ჯარი სუასონთან სასტიკად დაამარცხა. როდესაც მეფე ხლოტარ IV მიიცივალა, კარლმა ნეისტრიის მეფე ხილპერიკი აიყვანა ტახტზე, რითიც ფრანკთა იმპერიის ორი უდიდესი ნაწილი შეერთდა ერთმანეთს. შედეგად, აკვიტანიაძე და ნეისტრიაძე კარლს ავტორიტეტი აღიარეს. ხოლო როდესაც 721 წელს ხილპერიკი გარდაიცვალა, კარლმა სხვა მეროინგი — არასრულწლოვანი თეოდორიხი დანიშნა მეფედ.

720 წელს მეორე ლაშქრობამ საქსონთა წინააღმდეგ პაპინის დროინდელი ფრანკული მონარქია აღადგინა. მომდევნო შვიდი წელი კარლმა გერმანულ ტომებზე ფრანკთა ძალაუფლების აღდგენასა და განმტკიცებას მიახმარა. 725 წელს ბაუარიში გაეშურა დამოუკიდებლობისათვის დაწყებული მძორაობის ჩახახმობად. ამ ლაშქრობიდან წამოიყვანა ბაუარიის პერცოგოდილონის დისშვილი სენაპილდე, რომელთანაც ვაჟი, გრიფონი შეეძინა.

730 წელს მან ალემანების პერცოგი ლანდტფრიხი დაამარცხა და სამხრეთი გერმანია ისევ ფრანკთა კონტროლში დაუქვემდებარა.

### მრისტიანი მგვაროლი

ამასობაში კი არაბები სამხრეთ გალიას ესპანეთიდან ემუქვოდნენ. 725 წელს მათ ბურგუნდიამდე მიადნეს. მარხილა, პერცოგმა ედმა ისინი 721 წელს განდევნა, მაგრამ ამჯერად მათთან მოლაპარაკებაზე დათანხმება მოუხდა და თავისი ქაღიღითვისცა მისცა ცოლად მათ ერთ-ერთ მეთაურს, ესპანეთის ჩრდილოეთის გამგებლის ქვეშევრდომს — უომანს აბ ნესას. ამან კარლი გააცეცხლა, ამიტომ 731 წელს პერცოგს შეუტია და დაამარცხა. უთმან აბი ნესა იმავე წელს გარდაიცვალა და აკვიტანიაც დაუცველი დარჩა.

732 წელს ესპანეთის მმართველმა აბდ არ-რაჰმანმა პირველი უზარმაზარი ლაშქრობი გადალახა, ედის სამფლობელო დაარბია და მდინარე ლუარისკენ გაემართა. 732 წლის ოქტომბერში კარლმა აბდ არ-რაჰმანი პუატეთისთან ბრძოლაში დაამარცხა.

733-734 წლებში კარლმა ფრისთა

**„ურნალი „ისტორიანი“ წარმოვიღებინე!**

ლევან გოთუა

**ლევან გოთუას მიერ გადასახლებაში დაწერილი მართებულების გვირგვინი ეპოქაა.**

**8 წიგნად!**

**წიგნი IV**

**გვირგვინი**

4 წიგნი

**„ისტორიანის“ ყოველ ნომერთან ერთად, თვეში ერთხელ შეძლებთ შეიძინოთ „გვირგვინის“ თითო წიგნი (წიგნის ფასი 3 ლარი)**

პერცოგ ბუბოს ინსპირირებული ამბოხება ჩახახო და კიდევ ერთხელ დამორჩილა ფრისლანდია. 735 წელს, ედის გარდაცვალების შემდგომ, კარლმა აკვიტინია ფეოდალურ მამულად აქცია. ამის შემდეგ არლიდან და ავინიონიდან მამკაძიანები განდევნა, მათი ჯარი ნარბონის ახლოს, მდინარე ბერთან დაამარცხა და 739 წელს პროვინსში აჯანყებულებს გაუსწორდა. კარლის ძალაუფლება იმდენად განმტკიცდა, რომ თეოდორიხ IV-ის გარდაცვალების შემდგომ, მეფეც კი არ დანიშნა და მის მიწებზე თავისი მმართველის გააგრძელა. კარლ მარტელი 741 წლის 21 მარტს გარდაიცვალა შუახი-სიურ-უახში.

### ურო

● 732 წლის ოქტომბერში კარლმა აბდ არ-რაჰმანი პუატეთისთან ბრძოლა-

ში მოკლა. ეს მამკაძიანთაგან ფრანკთა ტერიტორიის დამორჩილების უკანასკნელი მცდელობა იყო. კარლს ქრისტიანული ევროპის არაბთაგან მხსნელის სახელი გაუვარდა. სწორედ ამ ბრძოლაში მოუღია მარტელის, ანუ უროს სახელი. ფრანგულად არტელ უროს ნიშნავს. ეს მეტსახელი მტერთან სასტიკი ბრძოლის წყალობით დაეკვიცინდა.

● კარლ მარტელს მეფის ტიტული არასდროს ჰქონია. სიკვდილის მოახლოება რომ იგრძნო, ფრანკთა ტერიტორია თავის ვაჟებს — პაპინ მოკლესა და კარლომანს გაუნაწილა. კარლომანმა, ანუ კარლ დიდმა, კარლ მარტელის შექმნილი იმპერია აღადგინა და გააერთიანა.

მათაშადა

ლევან ინსარამიძე



# ირანის საზენიბო ქოლბა

## ანე ჩიხი ჩაიგვლება შეუქლით ირანელ მეზენიბეებს...

ირანისა და აშშ-ის ურთიერთობა ბოლო დროს ძალზე დაძაბა. შესუფთუებას არც კვლობა მალავს. ის ირანული რაკეტებით არის შემინებული. ამერიკას კი უფრო მკაცრი პოტენციები აქვს. ვაშინგტონის პრეზიდენტი, თერანი ბიროუელი იარაღის შექმნის გზას ადგას. აჰმადინეჟადის ხელისუფლება ყოველივეს უარყოფს და ვეკლავებს დასავლეთის პროვოკაციად მიიჩნევს. ასეა თუ ისე, კონფორტაცია აშკარაა.

ომის დაწყების შემთხვევაში, ამერიკა პირველ დარტყმას ხმელთაშუა ზღვასა და სპარსეთის ყურეში ატომური წყალქვეშა ნავებიდან და სარაკეტო ხომალდებით და სტრატეგიული ბომბდამშენ B-2A-ებით მიიყენებს. ეს უკანასკნელი უშუალოდ აშშ-ის ტერიტორიიდან იმოქმედებენ და ირანამდე მისაფრენად პაერში საწვავს რამდენჯერმე მიიღებენ.

წყალქვეშა და საზღვაო ბაზირების ფროთოსანი რაკეტების პირველი მასიური ზღაპი ირანის პაერსაინააღმდეგო ობიექტებზე იქნება მიმართული. ავიაცია კი სახმელეთო ბალისტიკური რაკეტების ბაზებსა და საზღვრისპირა აეროდრომებზე მიიტანს იერიშს. ამით ამერიკა კონფლიქტის ლოკალიზებას ირანის ტერიტორიის მასშტაბით შექცევა.

საპასუხო დარტყმით თერანი ბალისტიკურ რაკეტებს თურქეთსა და ირანში განლაგებული ამერიკული ბაზებისკენ გაუშვებს (შეიძლება მიზანში ისრაელიც იყოს აშლიებული), ამიტომაც საბრძოლო მოქმედებების დაწყებამდე აშშ ამ ქვეყნებში Patriot PAC-3-ებს განალავებს.

შეტყუა მასიური იქნება და დარ-

ერთი შეზღვევით ირანის ძლიერი პაერსაინააღმდეგო თვდაცვა, ამერიკული ფროთოსანი რაკეტების წინააღმდეგ, პრაქტიკულად უძლეურია



ტყმას მიიყენებენ ირანის შეიარაღებული ძალების საზღვრისპირა ვეკლავ ობიექტს. პირველი ტალღის შემდეგ, საქმეს შეუდგება საგემბანო და ტაქტიკური ავიაცია, რომელიც სპარსეთის ყურეში მყოფი ავიამზიდებიდან და თურქეთში, NATO-ს ბაზებიდან იმოქმედებს.

ყოველივე ეს საბრძოლო მოქმედებების განვითარების ერთ-ერთი სცენარია, მაგრამ ამ შემთხვევაში აშშ-ის ავიაციის წარმატება ირანის პაერსაინააღმდეგო თვდაცვის საშუალებების მოქმედებაზე იქნება დამოკიდებული. თვდაცვის ამ სფეროს თერანი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს. ლიბიის მაგალითი ირანელებმა შეისწავლეს და დასკვნა გამოიტანეს.

ირანის უპირატესობა ის არის, რომ მას ემუდვინებული პაერსაინააღმდეგო თვდაცვა აქვს, ანუ ქვეყნის საპაერო სფეროს სხვადასხვა დისტანციასა და სიმაღლეებზე მოქმედი საზენიბო კომპლექსები იყავს.

მათი ზუსტი რაოდენობა და საბრძოლო მდგომარეობა გასაიდუმლოებულია, ამიტომაც სტატიაში მოყვანილი ციფრების სისუსტეზე თავს ვერ დავდებთ. ახალი საზენიბო სისტემების შექმნასთან ერთად, თერანი უკვე არსებულების გაუმჯობესებაზეც მუშაობს.

ირანის ცას ერთდროულად რამდენიმე ქვეყანაში წარმოებული საზენიბო საშუალებები იყავს.

2007-ში ირანსა და რუსეთს შორის, C-300PMY-1-ის ტაბის საზენიბო-სარაკეტო სისტემების ზუთი დენიზონის მიწოდებაზე 800-მილიონდოლარიანი კონტრაქტი გაფორმდა. დიდხანს ირანის შეკვეთილი კომპლექსების მიწოდება ტექნიკური მიზეზების გამო ფერხდებოდა, 2010 წლის ივნისში კი გაერომ ირანის შეიარაღების იმპორტზე სანქციები დაუწესა.

საქმე იქამდეც მივიდა, რომ ირანმა რუსეთს კონტრაქტის პირობების დარ-

ირანის შეიარაღებაში არსებული გადასატანი საზენიტო-სარაკეტო კომპლექსები

ტიპი	HN-5A (ჩინური Стрела-2-ის ასლი)	Стрела-2M	Стрела-3	Игла-1	Stinger	RBS-70
რაოდენობა	190	250	200	100	50	50
სამიზნის განადგურების სიმაღლე, მ	10-2500	50-2300	15-30-3000	10-3000	3500-3800	3000
სამიზნის განადგურების მაქს. დისტანცია, მ	400	4200	4500	3000	4500-4800	5000
სამიზნის მაქს. სიჩქარე, კმ/სთ	–	950	1100	1290	–	–
რაკეტა	–	9M32M	9M36-1	9M313	FIM-92	RB Mk1
მასა, კგ	10.2	9.8	10.3	10.8	10.1	17
საბრძოლო ქობინის მასა, კგ	0.6	1.15	1.17	1.17	3	1.1
ფრენის საშუალო სიჩქარე, მ/წმ	500	500	400	600	7.25	525

ღვევის გამო სასამართლოში უწევდა. ამასობაში რუსეთის პრეზიდენტმა თავად მოაწერა ხელი ირანისთვის საზენიტო სისტემებისა თუ სხვა ნებისმიერი თანამედროვე შეიარაღების მიწოდების აკრძალვას.

საბოლოოდ რუსეთმა ირანს გადმოცემული ავანსი სრულად დაუბრუნა და თეირანი C-300-ების გარეშე დარჩა. საზენიტო საშუალებების მოწოდების, მოსკოვის დაკარგვის შემდეგ, ირანს ერთადერთი იმედი ჩინეთი დარჩა. ის C-300-ების ანალოგებს უკვე წლებია აწარმოებს.

2010 წელს თეირანში სამხედრო აღდგომზე მსოფლიოსა და განსაკუთრებით ისრაელსა და ამერიკას დიდი სიურპრიზი ელოდა. თეირანის ქუჩებში აქამდე უცნობი საზენიტო საშუალებები გამოჩნდნენ. განსხვავებული შასის მიუხედავად, რაკეტების საერთო რაოდენობისა და კონტინენტების ფორმით,

ისინი C-300-ებს ჰგავდნენ. სწორედ მაშინ გაჩნდა ეჭვი, რომ ამ ვეკლიაფერში პეკინის ხელი ერიოა.

80-იანი წლებიდან ჩინეთი საკუთარი ძალებით ახალი საზენიტო კომპლექსის შექმნაზე მუშაობდა. 1993 წელს რუსეთისგან მან C-300ПМУ-ს პირველი პარტია იყიდა. შენაბეჭმა მუშაობა საკუთარ HQ-9-ზე დაასწარა – ბევრი ტექნიკური და კონსტრუქციული გადაწყვეტილება ჩინელებმა რუსული კომპლექსიდან ერთი ერთი გადმოიღეს. 1997 წელს ჩინეთმა ის შეიარაღებაში მიიღო. HQ-9 ვახდა ქვეყნის პირველი საზენიტო საშუალება, რომელსაც ბალისტიკური რაკეტების განადგურებაც შეეძლო.

ჩინეთი კომპლექსის სრულყოფაზე მუშაობას განაგრძობდა. 2003 წელს მან რუსეთისგან C-300ПМУ-2-ის 16

ღვიზიონი შეიძინა, რის შემდეგაც უკვე ახალი კომპლექსი HQ-9A გაჩნდა.

ჩინეთმა ექსპორტზეც დაიწყო ფიქრი – 1998 წელს HQ-9-ს საექსპორტო ვარიანტ FD-2000-ზე პირველი ინფორმაცია გაჩნდა, ხოლო 2008 წელს კომპლექსმა თურქეთის ტენდერშიც ძალი მოწაწილია.

რაც შეეხება, 2010 წელს თეირანის ქუჩაში გამოჩენილ სისტემებს, საერაოდ, სწორედ FD-2000-ის ტიპის კომპლექსებია. მართალია, ინფორმაცია, რომ ჩინეთმა ისინი გაყიდა, არ გავრცელებულა, მაგრამ ფაქტი სახეზეა. აღდგომზე გამშვებ მანქანებთან ერთად სამიზნის დასხვებისა და რაკეტების დამიზნების რადიოლოკაციური სადგური გამოჩნდა.

აღდგომზე ამ კომპლექსების გამოჩენა ძალის ეროგვარი დემონსტრირე-



ომის დაწყების შემთხვევაში, ამერიკელების მიჯარ პრობლემად ირანული HQ-9-ები ვახდებიან





**ჩვენი დონი:**  
 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი  
 — C-200M  
 სამიზნის განადგურების სიმაღლე — 0.5-40 კმ  
 სამიზნის განადგურების დისტანცია — 0.3-240 კმ  
 სამიზნის მაქს. სიჩქარე — 4300 კმ/სთ  
 რაკეტა — 5M28  
 სიგრძე — 10.8 მ  
 მასა — 8000 კგ  
 საბრძოლო ქობინის მასა — 217 კგ

C-200 საბრძოლო მოქმედებებში პრაქტიკულად არ გამოიყენებოდა, მაგრამ 2001 წლის 4 ოქტომბრის მოვლენამ მას „სახელი გაუთქვა“. იმ დღეს რაკეტების რეალური გაშვებით ირანში უკრაინის პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის ჯარების სწავლება მიმდინარეობდა. სწავლებაში C-200-ებიც მონაწილეობდნენ. ერთ-ერთის გაშვებისას, საერაოდ, ოპერატორის შეცდომის გამო, რაკეტა მიზანს ასცდა და სხვა ობიექტი გაანადგურა. ეს უკანასკნელი ავიაკომპანია „სიბირს“ Ty-154M იყო. თვითმფრინავი თულ-აფიდან ნოვოსიბირსკში მიფრინავდა. ბორტზე 66 მგზავრი და ეკიპაჟის 12 წევრი იმყოფებოდა. ყველა მაივანი დაიღუპა.

ბა იყო, მაგრამ უცნობი რჩება როდის და რა რაოდენობით შეიძინა ირანმა ეს კომპლექსები.

კიდევ ერთი ჩინური საზენიტო კომპლექსი, რომელიც ირანის ცის სადარავლო დედას, FM-80-ია. ეს კომპლექსის საექსპორტო ნიშნულია. საკუთარი არმიისთვის შექმნილ სისტემებს კი HQ-7 ეწოდება. 1970 წლის ბოლოს, სსრკ-თან ურთიერთობის გაუფუჭების შემდეგ, შეიარაღებული ძალების მოდერნიზაციისთვის ჩინეთმა სხვა პარტნიორების ძებნა დაიწყო. პეკინს დახმარების ხელი გაუწოდა მრავალმა ქვეყანამ, რომლებიც შეიარაღების გარდა, მათი წარმოების ტექნოლოგიების მიყვანაზეც იყვნენ თანახმა.

1978-79 წლებში მან საფრანგეთისგან Crotale-ის ტიპის საზენიტო კომპლექსების როგორც სახმელეთო, ასევე საზღვაო მოდიფიკაციები შეიძინა. გამოყენების სფეროს მიხედვით, კომპლექსი საბჭოური OCA-ს ანალოგიურია. ის დაბალ და საშუალო სიმაღლეებზე მფრენი ობიექტების განადგურებაზეა გათვლილი და ჯავშანსატანო შენაერთების პაერსაწინააღმდეგო თავდაცვის უზრუნველყოფს. ჩინური

ვარიანტის შემთხვევაში, კომპლექსი მაღალი გამკობლის საძირებიან ატომობილზე ბაზირდება.

**Crotale**, ისევე როგორც მისი ჩინური ვარიანტი HQ-7, ბატარეის სახით მოქმედებს. მასში ერთი საბრძოლო მართვის პუნქტი და 2-3 გამშვები მანქანა შედის, სარაკეტო დეოზონში კი 2 ბატარეა ირიცხება.

ჩინური ვარიანტი HQ-7 1983 წელს

შექმნა. ექვსი წლის შემდეგ კი დუბაიში გამართულ გამოფენაზე მისი საექსპორტო მოდიფიკაცია FM-80-ის წარადგინეს.

2010 წლის მდგომარეობით ირანის განკარგულებაში FM-80-ის ხუთი დეოზონია (20-30 გამშვები), მაგრამ რა კომპლექტაციით შეიძინეს, უცნობია. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ 2002 წელს ირანმა საზენიტო სისტემა Shahab Thaqeb-ის შექმნის შესახებ განაცხადა. მასის გამოკლებით, რომელსაც 4-ოვლიანი მისაბმელი წარმოადგენს, სისტემა ჩინურ HQ-7-ს (კომპლექსის საშუალო დიურეულება 162 ათასი, რაკეტის — 24.500 დოლარი) გაჭრილი ვაშლივით ჰგავს.

ირანის პაერსაწინააღმდეგო საშუალებებში, ლომის წილი საბჭოურ სის-

**ირანის განკარგულებაში 1000-მდე გადასატანი საზენიტო კომპლექსია. მათ შორის — საკუთარი რეზუსებთი წარმოებული HN-5A**





**მისამხედ და თვითმავალ ვარიანტებში არსებულ TOP-ებს, ირანულეობი დედაქალაქისა და ატომური ინდუსტრიის ობიექტების დასაცავად იყენებენ**

ტემებზე მოიღოს. მათგან ყველაზე ანგარიშგასაწვევი C-200-ია.

მასზე მუშაობა 1958 წელს დაიწყო. მას პირველ რიგში მოსკოვი და ქვეყნის განსაკუთრებული მნიშვნელობის სტრატეგიული ობიექტები უნდა დაეცვა. მოთხოვნების თანახმად, სამიზნის განადგურების დისტანცია 130-150 კმ-ზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო. სამუშაოებს რასპლეტინის საკონსტრუქტორო ბიურო ხელმძღვანელობდა (დღეს Алмаз-Антей).

სისტემა C-200A Angara შეიარაღებაში 1967 წელს მიიღეს. მას სამიზნის განადგურება 160 კმ-ის დისტანციასა და 20 კმ სიმაღლეზე შეუძლო. იმ დროისთვის ეს საუკეთესო მაჩვენებელი იყო. დევიზიონის შემადგენლობაში მოქმედ სისტემაში ექვსი გამწვები დაინადგარი და ერთი რადიოლოკაციური სადგური შედის, რომელსაც სამიზნის აღმოჩენა მაქსიმალურ 400 კმ დისტანციამდე შეუძლია.

მახასიათებლებიდან გამომდინარე, თითქმის 11 მ სიგრძის რაკეტა ორსაფეხურიანი სექმისაა. სტარტისას, საწყისი აჩქარების მისაღწევად ოთხი მკარასაწყვიანი რაკეტული ძრავა გამოიყენება. ისინი ძალიან მცირე დროით მუშაობენ და რაკეტას სტარტიდან 3-5 წმ-ის შემდეგ შორდებიან. ამ დროს სიჩქარე უკვე 650 მ/წმ (2340 კმ/სთ) შეადგენს. შემდეგ რაკეტა ფრენას ძირითადი საფეხურის ოფეხგასაწყვიანი ძრავით განაგრძობს.

ექსპლუატაციის პროცესში კომპლექსი დაიხვეწა. მოდერნიზებული C-200M Bera-M-ს სამიზნის განადგურება უკვე 240 კმ დისტანციასა და 40 კმ სიმაღლეზე შეუძლია. ფაქტობრივად, ამ კომპლექსისგან გაქცევა შეუძლებელი იყო — მას 4300 კმ/სთ სიჩქარით მფრენი ობიექტის განადგურებაც კი შეუძლია.

15 წლის განმავლობაში C-200 გა-

**ჩვენი დროსი:**  
 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი — TOP-M1  
 სამიზნის განადგურების სიმაღლე — 001-6 კმ  
 სამიზნის განადგურების დისტანცია — 15-12 კმ  
 სამიზნის მასე. სიჩქარე — 2520 კმ/სთ  
 რაკეტა — 9M331  
 სიჩქარე — 2520-2880 კმ/სთ  
 მასა — 165 კგ  
 საბრძოლო ქობინის მასა — 14.5 კგ  
 რაკეტების რაოდენობა — 8

საიდუმლოებულ საბჭოურ საზენიტო საშუალებას წარმოადგენდა და სსრკ-ისა და მონღოლეთის გარდა არსად არ იყენებდნენ.

სირია იყო პირველი ქვეყანა, რომელმაც ამ საზენიტო საშუალების საექსპორტო მოდიფიკაცია C-200B3 მიიღო. ახლო აღმოსავლეთში ორი დევიზიონი და 96 სათადარიგო რაკეტა გაეგზავნა. შემდგომ წლებში, სსრკ-ის დაშლამდე, კომპლექსები ბულგარეთში, უნგრეთში, პოლონეთში და ჩეხოსლოვაკიაში მიიღეს. ვარშავის პაქტის ქვეყნების გარდა, C-200B3-ს იმპორტიორები სირია, ლიბია, ჩრდილო კორეა და ირანი გახდნენ. ამ უკანასკნელის განკარგულებაში 2-3 (მეორე მონაცემებით 10) დევიზიონია, მაგრამ არსებული რაკეტების რაოდენობა უცნობია.

საბაზო ვარიანტისგან განსხვავებით, საექსპორტო მოდიფიკაციის რაკეტას სამიზნის განადგურება 240 კმ დისტანციასა და 29 კმ სიმაღლეზე შეუძლია. გამარტყვებულა საბრძოლო ქობინიცი, დამაზიანებელი ელემენტებიც გარეშე. საშტატო ვარიანტში 217 კგ-იანი ქობინი 37 ათასი დამაზიანებელი ელემენტით არის აღჭურვილი.



ამათგან 16000 6 მმ დიამეტრის 2 გ-იანი ფილადის ბურთულაა, დარჩენილი 21000 კი 8 მმ დიამეტრიც 3.5 გ-იანი ბურთულაა. საბრძოლო ქობინის დეტონაცია სამიზნიდან მოშორებით ხდება, რაც ზრდის მისი დაზიანების ალბათობას. დეტონაციის შემდეგ, ფილადის ბურთულემა სამიზნისკენ 1000-1700 მ/წმ (3600-6120 კმ/სთ) სიჩქარით მიემართებინ.

C-200-ის ტიპის კომპლექსებს, ისევე როგორც მათ რაკეტებს, დიდი ხანია აღარ აწარმოებენ. შესაბამისად, ირანს ისინი არც ისე ბევრი აქვს. გასათვალისწინებელია მათი ასაკიც. მისი შექმნიდან უკვე დიდი დრო გავიდა, რადიოელექტრონიული წინააღმდეგობის საშუალებები კი ძალიან გაჩვეთარდნენ, მაგრამ არ არის გამოცე-





თეირანს თუ დაჯუჯურებთ, მან წინური FM-80-ის შესაძლებლობების გაუმჯობესება შექმლო

ხული, თეირანს მათი მოდერნიზაცია ჩაეტარებინა.

სხვათა შორის, საბჭოთა პერიოდში C-200-ის ორი დივიზიონი საქართველოშიც იყო. პირველი თბილისიდან არც ისე შორს რუსთავეის მთებში, მეორე კი დასავლეთ საქართველოში.

თეირანს მცირე რაოდენობით საბჭოური Квадрат-ებიც აქვს. ის ცნობილი KyB-ის საექსპორტო ვარიანტია. მასზე მუშაობა 1958 წელს დაიწყო და სახმელეთო ჯარების, ძირითადად, სატანკო დივიზიების დასაცავად იყო განკუთვნილი. წაყენებული მოთხოვნების თანახმად, მას 100-200 მ-დან 5-7 კმ სიმაღლეზე მფრენი სამიზნის განადგურება უნდა შესძლებოდა. სამიზნის განადგურების მაქსიმალური დისტანცია 20 კმ-ით განისაზღვრება.

1964 წლის აპრილში ახალი კომპლექსიდან პირველი რაკეტა გაუშვეს.

KyB-ი ბატარეის შემადგენლობაში მოქმედებს. მასში ოთხი გამწვები დანადგარი და სამიზნის აღმოჩენისა და რაკეტების დამიზნების ერთი სადგური შედის. ყოველ მათგანს ინდივიდუალური მუხლუხა მასი აქვს, რაც

კომპლექსის მაღალ მობილურობას უზრუნველყოფს. მარშიდან კომპლექსის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოყვანას 5 წთ სჭირდება.

ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ, კომპლექსის სერული წარმოება 1982 წლამდე გაგრძელდა. მისი საექსპორტო მოდიფიკაცია Квадрат-ი კი 25 ქვეყნის ცას იცავდა.

კომპლექსის ნათლობა 1973 წელს, ისრაელ-არაბეთის შორეულ სამხედრო დაპირისპირებაში შედგა. მასინ ეს კომპლექსი ებრაელებისთვის სრულ მოულოდნელობად იქცა, რამაც დიდი დანაკარგი მოიტანა. ეფექტური საპასუხო საშუალებების არარსებობის გამო, ებრაელებმა დაბალ სიმაღლეებზე დაიწვეს ფრენა, სადაც კომპლექსი კარგავდა თავის ეფექტურობას.

1999 წელს მათ გამოყენებას თეგოსლავიის პაერსაწინააღმდეგო თეგდაცვა NATO-ს ავიაციის წინააღმდეგ უშედეგოდ ცდილობდა. ხარვეზების საშუალებით ამერიკელებმა თეგოსლაველების კომპლექსები სრულად „დააბრმავეს“. ღამით კი სამიზნის აღმოჩენის ოპტიკური არხები უეფექტო იყო.

**ჩვენი დონი:**  
 საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი  
**– HQ-7 (FM-80)**  
 სამიზნის განადგურების სიმაღლე — 30-5000 მ  
 სამიზნის განადგურების დისტანცია — 8600 მ (სამიზნის სიჩქარე 1440 კმ/სთ)  
 10000 მ (სამიზნის სიჩქარე 1080 კმ/სთ) 12000 მ (შვეულმფრენები)  
 რაკეტის სიგრძე — 2.89 მ  
 მასა — 84კგ  
 საბრძოლო ქობინის მასა — 15კგ

2005 წელს რუსეთსა და აშშ-ს შორის მორიგი კონვენტაცია დაიწყო. მიზეზი იყო ირანი, რომელსაც რუსეთმა TOP-ის ტიპის საზენიტო კომპლექსები მიჰყვანა. ვარკივების დიფუზიულებმა თითქმის მილიარდი დოლარი შეადგინა. თეირანის მტკიცებით ეს კომპლექსები მას ბუშრაჰში მქონეებით ატომური ცენტრის დასაცავად უნდოდა. ირანელებს კარგად ახსოვდათ 1981 წლის ზაფხულს, როდესაც ისრაელის ავიაციამ უეცარი დარტყმით ერაყში ატომური რეაქტორი გაანადგურა.

აშშ-ის პროტესტის მიუხედავად რუსეთმა ირანს 29 ერთული TOP-11 მიჰყვანა. აქედან 17 ერთული სტანდარტული მუხლუხა მასიზეა განთავსებული, დანარჩენი 12 კი მისამდელ ვარიანტად TOP-11T არის წარმოდგენილი.

„ოსას“ შემცველზე მუშაობა 1975 წელს დაიწყო. პილოტრებთან საფრენი პარამეტრების გარდა, პერსპექტიულ საზენიტო საშუალებას ფროთისანი რაკეტებსა და უპილოტო მფრეარეების განადგურებაც უნდა შესძლებოდა. საბრძოლო მანქანაზე გამწვები მოწყობილობა და ანტენები ერთიან კომპურაშია, რომელიც 3600-ზე ბრუნავს. ეფელაფერი ეს კი მინსკის სატრატორი ქარხნის წარმოებულ მუხლუხა მასიზეა დაყენებული, რომელიც 4-კაციანი გათვლით და 8 რაკეტით 34 ტ-ს იწონის.

კომპლექსზე ორი ტიპის რადიოლოკაციური სადგურია, პირველი სამიზნის აღმოსაჩენად (დაბალ სიმაღლეზე შვეულმფრენის აღმოჩენა 0.6-0.8 ალბათობით, მის 13-20 კმ დისტანციაზე შეუძლია), მეორე კი სამიზნეზე რაკეტების დამიზნებისთვის გამოიყენება. სარაკეტო შეარაღების სახით TOP-ს 8 ერთული 9M330-ის ტიპის მყარსაყვანი საზენიტო რაკეტა მიჰყვანს.

კომპლექსი შეარაღებაში 1986 წელს მიიღეს, რის შემდეგც უკვე მის გაუმჯობესებაზე დაიწვეს ფიქრი. ახალ TOP-M1-ზე სივანლების დამუშავების ციფ-

ირანული საზენიტო არტილერია		
ტიპი	კალიბრი, მმ	რაოდენობა
ЗПУ-2/4	14.5	—
ЗСУ-23-4 Шилка	23	75
ЗУ-23-2	23	258
Skyguard	35	24
M1939	37	250
Bofors	40	50
M1	40	20
ЗСУ-57-2	57	80
C-60	57	190
Saer (KC-19)	100	ერთი დივიზიონი

რული სისტემა გამოყენებული, გაზრდილი რადიოლოკაციური სადგურების მდგრადობა ხარვეზებისა და ცრუმიზიანების მიმართ კომპლექსში გამოყენებულ 9M331-ის ტიპის რაკეტებისა სპარინგული ქობინები კი დამახინანებელი ელემენტები დამატებს. თვად რაკეტები კი ოთხდადიანი სტრანსსორტო-გამშვებ კონტეინერებში განალაგეს.

ამ კომპლექსის ირანი, თურანისა და ბუშეის ატომური ელექტროსადგურის დასაცავად იყენებს.

**რაოდენ ვასაკვირიც უნდა იყოს, ირანის ცის სადარავლზე ამერიკული საზენიტო საუქმალელებიც დგანან. იყო დრო, როდესაც ამ ორ ქვეყანას მგლობრული ურთიერთობა აკავშირებდა და გამწვანებნი ირანის იარაღს უხვად აწვდიდა. მაგალითად, ირანი F-14-ის ტიპის გამანადგურებლების ერთადერთი იმპორტიორი ქვეყანა იყო. არსებული ცნობებით, ირანის გასაკარგულებაში CIM-23 Hawk-ის ტიპის კომპლექსების 150 გამშვები დანადგარია.**

მასზე მუშაობა ამერიკულმა „რეიტინგმა“ 1954 წელს დაიწყო. ის მსოფლიოში ერთ-ერთი პირველი საზენიტო კომპლექსი იყო, რომელიც დაბალ სიმაღლეებზე მფრენი აპარატების გასანადგურებლად იქმნებოდა. პირველი საცდელი ნიმუში 1956 წელს შეიქმნა. სამი წლის შემდეგ კი ის სერიალ წარმოებაში ჩაუშვეს.

1972 წელს აშშ-ის არმიამ შეიარაღებაში მოღწერილი MIM 23B Improved Hawk-ი მიიღო, რომელსაც უკვე ზებეგრითი სიჩქარით მფრენი სამიზნის განადგურება 1-დან 40კმ-მდე დისტანციებზე და სიმაღლის მიხედვით 0.03-დან 18კმ-მდე შეუძლო.

ვევლა მოდიფიკაციის კომპლექსის საცეცხლე ერთეულის შემადგენლობაში, ერთი რადიოლოკაციური სადგური და M192-ის ტიპის სამი გამშვები დანადგარი შედიოდა, თითოეულ სამ-სამი რაკეტით. სარაკეტო დეზიონის შემადგენლობაში ზემოთ ჩამოთვლილ კომპონენტებთან ერთად სამი AN/MPQ-50, AN/MPQ-48 და AN/MPQ-46 რადიოლოკაციური სადგური შედის.

გამოყენებამდე რაკეტა ალუმინის პერმეტულ კონტეინერებში ინახება, სადაც მისგან ცალკე განლაგებულია სტაბილიზატორები, სატყვები, საბრძოლო ქობინი და ძრავა.

ექსპლუატაციის პროცესში, ირანმა „პოუკები“ გააუმჯობესა და ახალ ვარიანტს Mersad-ი უწოდა. საყარაულოდ, ირანი ამ კომპლექსისთვის რაკეტებს თვად აწარმოებს.

საზღვარგარეთ შეიქმნის გარდა, ირანი საკუთარი ძალებით პაერსაწინააღმდეგო საუქმალეების შექმნაზე მუშაობს. მართალია, უმეტესწილად საქმე კონსერვას ექნება, მაგრამ ესეც უდავლად მიღწევია. **თირანი უკვე თვად ხანია ჩინურ საზენიტო რაკეტებს HQ-2-ებს (საბჭოური C-75-ის ასლი) და გადასატრანს კომპლექსებს HJ-5A (საბჭოური СТРена-2-ის ასლი) აწარმოებს.**

მეორე რაოდენობით ირანის განკარგულებაში ბრიტანული Rapier-ებიც (5 ბატარეა, 30 გამშვები) არის. 60-იან წლებში შექმნილი კომპლექსი, დაბალ სიმაღლეზე მაღალი სიჩქარით მფრენი ობიექტების გასანადგურებლად იყო გამიზნული. შეიარაღებაში 1974 წელს მიღებული კომპლექსი აეროდრომების დასაცავად იყო განკუთვნილი და პაერსაწინააღმდეგო თვადაციის ბოლო მე-3 ხაზს წარმოადგენდა.

კომპლექსი მისაბმელი პლატფორმაა, რომელზეც ოთხი საზენიტო რაკეტა, მათი დამიზნებისა და სამიზნის აღმოჩენის რადიოლოკაციური სადგურები განლაგებულია.

Rapier-ის შესაძლებლობებიდან გამომდინარე (მას სამიზნის განადგურება მხოლოდ 3 კმ სიმაღლეა და 7 კმ დისტანციანზე შეუძლია), მაღალი ეფექტურობით არ გამოირჩევა. მისი გამოყენებით მხოლოდ ქვეყნის სიღრმეში არსებული ობიექტების დაცვა შეიძლება. თანამედროვე ამერიკული რადიოლოკაციური საწინააღმდეგო რაკეტების მახასიათებლებიდან გამომდინარე, ირანული

Rapier-ების განადგურება, მათი მოქმედების ზონაში შეუსვლელად შეიძლება.

ერთი შედეგად, მღიერი პაერსაწინააღმდეგო თვადაციის მიუხედავად, ირანის ზღოთ არსებული ვეველა საზენიტო-სარაკეტო კომპლექსის შესაძლებლობები და მათი რადარების მუშაობის დიაპაზონები ამერიკელებისთვის კარგადაა ცნობილი.

შესაბამისად, რადიოლოკაციურსაწინააღმდეგო რაკეტებით მათი განადგურება არ იქნება რთული. მაგალითად, AGM-88 HARM-ის გამოყენების დისტანცია 106 კმ-ია. შესაბამისად, ირანის ზღოთ არსებული საზენიტო საუქმალეების განადგურება (C-200B-სა და HQ-9-ის გარდა) მათ მოქმედების ზონაში შეუსვლელად შეიძლება.

ნაკლებადარაუდოა, რომ პირველი მასირებული შეტევისას ამერიკელებმა ამ ტიპის რაკეტები გამოიყენონ. პირველი ეოლიონის როლს წყალქვეშა ნაწიები და სარაკეტო ზომადლებიდან გამშვებული „ტომასაკუები“ შესარულდებენ. ირანს კი HQ-9-ის არც ისე ბჭერი აქვს.

PS მოწინააღმდეგის ძალებში შეუვასებლობას შეიძლება სჯავალლო შედეგი მოჰყვეს. მაგალითად, 1991 წელს სპარსეთის ყურეში მინიმუმ სამი ბრიტანული Tornado ერაველებმა მოძველებული C-75-ებით განადგურეს, 1999 წელს კი თვადსაფაიაში მსოფლიოში ვეველაზე გასადიდწლოებული F-117A მასზე 20 წლით ადრე გამოშვებული C-125-ით ჩამოადგეს.

**ალექსანდრე ავაშიძე**

**თირანის ბოლო შენაძენი – საზენიტო-სარაკეტო კომპლექსი Панцарь-С13-ია. ირანმა 10 ერთეული რუსეთისგან მიიღო**







# ქართული ადგიკალი, როელეას დელაინას წყალქვეა ნაპით შეპოუარა

ის უმაღლესი სამხედრო-საზღვაო სასწავლებელი აირჩია.

სწავლის წლებმა სწრაფად გააარა და წყალქვეა ნაუბე სამსახურის დიდი წადლის მიუხედავად, ახალგაზრდა ლეიტენანტმა ოფიცრის კარიერა საბჭოთა ჩრდილოეთის ფლოტში საესკადრო ნაღძოსან „ოზარენიდან“ დაიწყო.

ქართველ ოფიცერს გული მაინც წყალქვეა ფლოტისკენ მიუწევდა და 1961 წელს საწადელს მიაღწია, — ჩრდილოეთის ფლოტის საშუალო დიფელექტრული წყალქვეა ნა-

მყოზონდა, ყველა ატომურ წყალქვეა ნაუბე ჩაემბარედიო.

სამსახურის მომდევნო პერიოდი პირველი თობის ატომურ წყალქვეა ნაუბე K-33-ს (პროექტი 658-M) უკუე-შირდება, ხოლო 1969 წელს II რანგის კაპიტანმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა წყალქვეა ატომური კრეისერის K-415-ის (პროექტი 667-A) მეთაურობა ჩაიბარა.

60-იანი წლებიდან საბჭოთა ფლოტში დამკვიდრდა ტერმინი „სარძილო სამსახური ოკეანის რაიონში“, რაც ამერიკის სანაპიროთსან ბირთვულქო-

## „ეე პირად 7 ბალისტიკური რაკეტა ბეპეს ბასროლილი“

საქართველო საზღვაო სახელმწიფოა, თუქცა, ქვეყანა მატერიალური თუ სხვა მიზეზების გამო საკუთარი სამხედრო ფლოტის შექმნას ხანგრძლივი დროის მანძილზე ვერა და ვერ ახერხებდა.

მიუხედავად ამისა, საზღვაო საქმისკენ ღტოლა იმდენად დიდი იყო, რომ ქართველები სამსახურს სხვა ქვეყნების ფლოტებში იწვებდნენ და მოვალეობებსაც თავს შესანიშნავად ართმევდნენ.

საზღვაო ოფიცერთა ამ პლეადის ერთ-ერთი წარმომადგენელია ეროვნული სამხედრო-საზღვაო ძალების პირველი სარდალი, კონტრადმირალი ალექსანდრე ჯავახიშვილი, რომელიც 18 თებერვალს დაბადების მე-80 წელს აღნიშნავს.

ბატონი ალექსანდრე იხსენებს: „ბეე-შვიობაში საზღვაო ლიტერატურას ბევრს ვკითხულობდი და ხომალდების მიმართ იმდენად დიდი ინტერესი გამძინდა, რომ პლტანარზე მედბარე კემისა-მოდელი ლაბორატორიას მუეაშურე და პირველი მოდელი — წყალქვეა ნაუბე იქ დავამზადე“.

მიმაგალი პროფესია უკვე გაღწევეტილი იყო და ახალგაზრდამ სწავლის გასაგრძელებლად ბაქოში კასპი-

ვის C-267-ის მეთაურის თანაშემწეად დაინიშნა.

მამის წყალქვეა ნაუბე მტწწილად 45-დღიანი ავტონომიური ცურვით ჩრდილო ატლანტიკაში იგზავნებოდა და ასეთი დეკლების შესრულება C-267-ს არარეოგზის მიუხედავად.

ეს ისა ეროზიარ ოცაა შმ-ისმ ემდევ ბირთვულ ენერგიაზე მომუშავე წყალქვეა ხომალდების მშენებლობას საბჭოთა კუმბრი შეუდგა. ორ ზესახელმწიფოს შორის დაიწყო წყალქვეა ციფი ობი, სადაც საბჭოთა და ამერიკული სუბმარინები ერთმანეთს დასდედნენ, იყო დავაზების შემთხვევებიც.

ტექნიკა სრულყოფიანად ვერ კიდევ შორს იდგა და წყალქვეა ხომალდებზე აუარებისა და განსაკუთრებით ხანძრის დიდი საშმშროეობა იყო. მეზღვაურებშიც ნაკლები გამოციდილება ჰქონდათ.

ხანძარი ატომური წყალქვეა ნავისთვის დიდი საფრთხეა და ის შეიძლება ოკეანის წყლებს მასშტაბური რადიოაქტიური დაბინძურებით დასრულდეს.

შემთხვევითი არ იყო, რომ აშშ-ის ატომური ფლოტის მამად მონაილულმა ადმირალმა ჰაიმან რაკოვერიმ კარიერის ბოლის განაცხადა, უფლება რომ

ბინანი 16 ბალისტიკური რაკეტით აღჭურვილი კრეისერის 2 თვით გაგზავნასა და მორიგეობას ნიშნავდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი: „მორიგეობის რაიონმდე გადასვლასა და უკან დაბრუნებაში კიდევ 20-24 დღეს ვგარჯავდით ერთ დაახლოებით 3 თვე წყალქვეა ნაუბე გვიხებოდა. ამ დროს წყალქვეა ნაუბე „ჩუმად“ არის, რომ მოწინააღმდეგე არ აღმოაჩინოს. თუკი აღმოაჩნეს, მამინ მეთაურს თანამდებობის დატოვება გარანტირებული აქვს.“

გარკვეული პერიოდულობით ინფორმაციის მისაღებად პერიოკოპულ სიღრმეზე ამოხვლავა საჭირო. თავად წყალქვეა ნაუბე იშვიათად გადასცემს და ისიც მოკლე შეტყობინებებს.

ოკეანეში ხომალდი მუდმე მზადყოფნაშია და ბრძანების მიღების შემთხვევაში მეთაური სპეციალური საიდუმლო ბრძანებების მიხედვით მოქმედებს.

თუ ბალისტიკური რაკეტა არის გასაშვები, მამინ ხომალდი 40-50 მ სიღრმეზე „იჭერს“ და 3-3,5 კანბით, ხიდურწ-დაგვერდების გარეშე მტეცურავს. პარამეტრების შენარჩუნებას კი სპეციალური სისტემა აკონტროლებს. რაკეტის წინასატარტო მომზადე-

ბა დაახლოებით 8 წუთს მოითხოვს. ამ დროს მეთაურს ელექტრულგამომოთვლელ მანქანაში შეჰყავს პერფორანთა, რომლებიც დავალებზე ინფორმაციას შეიცავს და შემდგომი მოქმედებები უკვე ავტომატურ რეჟიმში ვრცელდება.

მე პირადად 7 ბალისტიკური რაკეტა მაქვს გასროლილი და მათ შორის 5 – ბარენცის ზღვიდან.

ჩრდილოეთისა და წყნარი ოკეანის ფლოტების წყალქვეშა ნავები რაკეტებს კამპატკაზე კუროს პოლიგონისკენ ისვრანა“.

მაღე K-415-ის მეთაურს ფრიად მნიშვნელოვანი ამოცანის შესრულება დაეკავა, რომლის იდეა სახელგანთქმულ ფრანგ მწერალ ჟულ ვერნის ექსპონიადა.

საფრანგეთში 1870 წელს გამოვიდა წიგნი „80 ათასი ლიე წყალქვეშა“. წიგნის მთავარი გმირი კაპიტანი ნემო წყალქვეშა ნავ „ნაუტულიუსი“ დედამიწის გარშემო დაცურავდა.

ცურვისათვის საჭირო ელექტროენერჯიას ხომალდი გალანური ელემენტებისგან იღებდა, ხოლო დროდადრო პაერის მარაგის შესავსებად და გალანური ელემენტების შესაცვლელად „ნაუტულიუსი“ წყლის ზედაპირზე ამოდიოდა.

ჟულ ვერნის ფანტაზია რეალობად ატომობრუნებელი ენერჯეტიკულმა დანადგარებმა აქცია და პირველად დედამიწის წყალქვეშ 1960 წლის თებერვალ-აპრილში ამერიკულმა ატომობრუნ წყალქვეშა ნავმა SSN-586 Triton-მა შემოუარა.

ასეთივე ამოცანის შესრულება ჩრდილოეთიდან ატლანტისა და დრეიკის სრუტის გველით კამპატკისკენ K-415-ის ქართველ მეთაურს დაეკავა. თანაც, ამ ცურვაში წყალქვეშა ნავი უზრუნველყოფის გეგმების გარეშე იგზავნიოდა.

1972 წლის 17 იანვარს K-415-მა სრული საბრძოლო აღჭურვილობით სამხედრო-საზღვაო ბაზა გავიწყო და ტოვა და კურსი ოკეანისკენ აიღო.

ტრადიციულად, საბჭოთა სახელმწიფო ასეთ დავალებებზე სუბმარინებს მალეულად გზავნიდა. ამჯერად კი ტრადიცია დაირღვა და ბატონი ალექსანდრეს თქმით, გოცნა, როცა K-415 ლაშქრობაში ჩრდილოეთის ფლოტის შტაბის უფროსმა და სხვა მაღალიჩინოსნებმა ორესტრის თანხლებით გააცივებეს.

ცურვა 150-250 მეტრ სიღრმეზე საშუალოდ 16 კანბით, ხოლო ზოგჯერ 24-28 კანბით მიმდინარეობდა.

პიდროკუსტიკური სადგური პასიურ რეჟიმზე მუშაობდა, ანუ ოკეანედან ხმებს მხოლოდ იღებდა, სადაც ოკეანის ბინადართა ხმები ჭარბობდა.

უკან დარჩა წყალქვეშ გველი 42 ათასი კმ და 31 მარტს K-415 დანიშნულების ადგილს კამპატკაზე ბაზა რიბანის მიადგა, სადაც ხანგრძლივი წყალქვეშა ცურვის შემდეგ პირველად ამოვიყვანა.

ურთულესი დავალების შესრულებისთვის საბჭოთა კემპირის თვადაცვის მინისტრმა, მარშალმა ანდრე გრეჩკომ ატომური წყალქვეშა ნავის ქართველი მეთაურისათვის მხოლოდ ორდულაიანი საწვავით თოფი გაიმეტა, რომლის ქოროე ლულაც არ ისროდა და საერმონტო გახდა.

გადახელის სხვა მონაწილეებს საპატიო სივლეები და რადიომიმღებები აკმარეს.

1975-79 წლები I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი წყნარი ოკეანის ფლოტის მშენებარე და რეკონსტრუქციაში მყოფი წყალქვეშა ნავების 72-ე ბრიგადის მეთაური, ხოლო 1979-89 წლებში პრიმორსკის ფლოტილისის სარდლის მოადგილე იყო.

ორივე კონტრადმირლის თანამდებობა იყო, მარგად საბჭოთა სახელმწიფო ქართველ ოფიცერთა შიშართ ჩემი დისკრინინაციის პოლიტიკას ატარებდა და მათი დანაშაურობები დაინტერესებულ არ იყო.

1991 წლის 9 სექტემბერს პრეზიდენტმა ზვიად გამსახურდიამ ხელი მოაწერა ბრძანებულებას „საქართველოს თვადაცვის სამინისტროს შექმნის შესახებ“. სამინისტროს შტატებში სამხედრო-საზღვაო სამმართველოს ჩამოყალიბება დაეკვედა და ოქტომბერში სამმართველოს უფროსად I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი დანიშნა.

შემდეგ იყო სამოქალაქო ომი და საზღვაო სტრუქტურის ჩამოყალიბება ვერ მოეწყო.

1992 წლის თებერვალში თვადაცვის უწყების რეორგანიზაციის გამო ხელახალი დანიშნევი დაიწყო, ხოლო საქართველოს მთავრობის 1992 წლის 30 აპრილის №484/6 დადგენილებით საფუძველი ჩაეყარა სამხედრო-საზღვაო ძალებს, რომლის სარდლად I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილი დანიშნა.


საზღვაო ძალების ფორმირება უროთელეს პირობებში მიმდინარეობდა და კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობა აფხაზეთში ომის დაწყებამ გამოიწვია.

მაშინ საზღვაო ძალებში სულ ათამდე ოფიცერი ირიცხებოდა და არც ერთი მცურავი საშუალება არ გვევოდა.

ალექსანდრე ჯავახიშვილი: „ამ პირობებში ერთადერთი, რის გაცეზებაც შეიძლებოდა, საზღვაო გადაზიდვების ორგანიზება და მშვიდობიანი მოსახლეობის გამოყვანა იყო. გვეწონდა ინფორმაცია, რომ ბიჭვინთიდან დაახლოებით 500 კაცი იყო გამოსვენანი.“

1992 წლის 18 აგვისტოს ფოთიდან სამგზავრო თობმავალი „კოშტა-50“-ით გამოვედი. მე საბჭოთა ოფიცრის


**667A პროექტის ბალისტიკურაკეტებიანი ატომური წყალქვეშა ნავის მოდელი, რომელთაც ალექსანდრე ჯავახიშვილმა წყალქვეშ დედამიწას შემოუარა**







**ბალისტიკური რაკეტის  
წყაღქვეშა სტარტი**



ფორმა მეცვა, ყველა ვიღლო მეცვა, ერთადერთი იარაღი — პისტოლეტი მქონდა.

ბიჭინთას დაბლოებით 3 სთ-ში მოუაღწიეთ და ხის გემისადგიომან ცხვირით ზღვისკენ დაუღვქით, რომ სწრაფად გაკლის შემთხვევაში დრო არ დაგვეკარგა.

ნაპირზე გადასულმა ორი რუსი შვენიშე და უფროსის დაძაბება მოეთხოვე, ამასობაში გამოჩნდა ვიღაც კაცი, რომელსაც თავი რუსეთის ფლოტის ოფიცრად წარუუღვინე და ეუთხარი, რომ ხალხი სოჭში უნდა გადამეყვანა.

ბოცმანს ვუბრძანე ბორტზე მხოლოდ ბუშუები, ქალები და მოზუკები მიელო. მალე ადამიანების ნაკადიც გამოჩნდა და მათ რიგებში მყოფმა რამდენიმე ახალგაზრდამ ჩემი ყურადღება მიიპყრო. ისინი ახალთახალი ავტომატებით იყვნენ შეიარაღებულნი და თავი აფხაზეთის მონახლისეებად წარმომიდგინეს.

„კომეტა“ მხოლოდ 115 კაცს იტყვს. ჩვენ კი 173 მივიღეთ და კურსი ვერა ღია

ზღვისკენ ავიღეთ, ხოლო შემდეგ ფოთისკენ წამოყუდით“.

აფხაზეთის ომი სექტემბრის ტრაგედიით დასრულდა, სადაც მთელი ყურადღება მშვიდობიანი მოსახლეობის გადარჩენაზე იყო გადატანილი. საქართველოს სამოქალაქო და სამხედრო მქსლვაურებმა არასრული მონაცემებით 41 ათასზე მეტი ადამიანი ზღვით გამოიყვანეს და სიკვდილს გადაარჩინეს.

იმის შემდგომ პერიოდში სამხედ-

რო-საზღვაო ძალების მხმეტებლობას საშუელი არა და არ დააღდა. თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელობა ფლოტის მნიშვნელობას ვერ აცნობიერებდა და მისი განვითარებისთვის არაფერს აკეთებდა.

პრეზიდენტ შუარენაძის ბრძანებით 1996 წლის 10 თლისს ალექსანდრე ჯავახიშვილს კონტრადმირლის წოდება მიენიჭა.

თავდაცვის მინისტრის 1997 წლის 17 თებერვალს №63 ბრძანებით კონტრადმირალმა ალექსანდრე ჯავახიშვილმა სარდლის თანამდებობა დატოვა.

წლების მანძილზე მიღებულ თეორიულ და პრაქტიკულ ცოდნას ახლა ბატონი ალექსანდრე საზღვაო ოფიცრისთვის აუცილებელ ნორმატიულ-საცნობარო ლიტერატურისა და სახელმძღვანელოების მოსაზადვლად იყენებს.

შემდგენელ-გამომცემელ დიმიტრი ვარქელაშვილის დახმარებით უკვე 20-ზე მეტი წიგნია გამოცემული. მათ შორის არის საზღვაო ლექსიკონი, საქართველოს საზღვაო ძალების სახელმძღვანელო წესდება, მკვახტე ოფიცრის ცნობარი, საზღვაო პრაქტიკა, სამხედრო-საზღვაო საქმის საფუძვლები, მე საზღვრე ოფიცრის საზღვაო ცნობარი და მრავალი სხვა.

**თეზური ჩარჩინები**

ფურნალი „არსენალი“ კონტრადმირალ ალექსანდრე ჯავახიშვილს ულოცავს დაბადების დღეს და უსურვებს ჯანმრთელობასა და კეთილდღეობას.



1972 წელი: K-415-ის კეიბაჟის ნაწილი ჩრდილოეთიდან წყნარ ოკეანეში გადასვლის დროს. მარჯვნიდან მესამე შუე ფორმაში — I რანგის კაპიტანი ალექსანდრე ჯავახიშვილია

„ვინც დაეპყრნით, გამორჩიო,  
კიდევ ცოცხლები დაერჩიან“.

გეა-ფშაველა

ლექსი

სეზონსეზონობა

# სეზონსეზონობა



წითელღვინე წიგნში, სადაც მეორე მსოფლიო ომის დროს დაღუპულია უგრძესი ჩამონათვლია, 577-ე გვერდზე ნახუი ვინმე გიორგი ქასავეს, რომელიც ცხინვალელი ყოფილა და ქერის სრუტესთან 22 წლისა დაუჩრულებია სიცოცხლე. გიორგის, როგორც ჭეშმარიტ ომის, ცილი ძლიან ადრე მოუყვანია და სწორედ ამ სულსწრაფობის დამსახურებაა, რომ მისი შვილიაშვილი, 20 წლის გიორგი ქასავე ისევ იმ სახლში ცხოვრობს, სადაც დიდი ბაბუა გაიზარდა და ბაბუაისხეთი მასაც საძინებელში უყვანდა ჯერაც დაუდგენელი წინაპრის ფოტო. დაუდგენელი იმიტომ, რომ არავინ იცის, ფოტოზე გამოსახული გემოდლეკვრა და შაქონიანი კაცი ქასავეებს საიდან ერთესუებოდა და ისევ დაუდგენილია, საერთოდ, იყო თუ არა მათი ნათესავი.

ცხინვალის შემოგარენში, სამი კვლესისა და მანაბლების ლეგენდარული სახლის გარდა, ვეგლზე მუდმივ ნაკვეთს ალბათ, სწორედ ქასავეების სახლია. მიერალი რუსი ჯარისკაცებითა და შემხრებულთაგლებიანი ქალებით სახე ქალაქში მუდმივ შემოხებით ბევრი არავინ დაინტერესებულა, მაგრამ სიმედიანების მიჯერებული ხალხი აუცილებლად დააკვირდებოდა ამ უცნაურ სახლს.

სახლი ერთხაროლიანია, მოყვასი-ფრო ავჯრითაა ამქნებული და სახურავის კრამიტები იმდენად ძელია, ხელის ერთი მოკვიებით იმდენაა. ფარეგების ჩარობებზე უცნაური ორნამენტებაა გამოსახული. ერთ ორნამენტზე ფასკუნჯის მსგავსი მითური არსება თავს ჭამს. ორნამენტის გამკვირებლს იმდენად საინტერესო ფანტაზია ჰქონია, რომ ფასკუნჯის პირში განრილი თავივი ტკივილისაგან

დაკლანელი კუთხი გამოუსახავს. მეორე ორნამენტზე მისაზე ფეხობრობის მიჯლიმ ქალს ნახათ. ქალს ძალიან გრძელი თმა აქვს და მისაზე დაგდებულ ოვალურ გორგალს დასცქერის. მესამე ორნამენტზე წამლილია და მხოლოდ მისი მტირე ნაწილია შემორჩენილი. შემორჩენილი ნაწილზე მაგიდასთან მჯდომი კაცის ზურგი ჩანს. მთელი სახლი ოქნდაც ამ რუქებში-ორნამენტებდაც დირს, მაგრამ უცნობი გიორგი ქასავეს ამქების ბევრი არაფერი გაგება და საფერადად ფანჯრის რუქებშიმებზე მეტად სხვა პრიობლებში აქვს.

\*\*\*

ნივერინდა თბილისში დაბრუნებულია უგრძლისტი ხომ წარმოვიდგინათ, როგორ რეპორტაჟს დაწერს? აფრიკაში არსებულ ვითარებას რადა გამაფრება უნდა, მაგრამ მინც დამძიმებს. ცოტას იბრფოკატორებს, ცოტას მიოგონ-შეამაზნებს და ისეთ გულის ამპორებულ რეპორტაჟს გამაიცხობს, რომ დაასახლისები ტირილით დაოსდებიან. „ქალაქში მშვიდი ბავშვები ვრია“, „პოლიციებმა განუკითხადა ვეგლას უტყვა-პუნტენ“, „მოგრობას ხალხი კიდა“ და კიდევ ვინ იცის, რამდენ გულშემქმერულ ფრზას ჩაიქვითინებს უგრძლისტი.

დაახლოებით ასეთი ტიპის სატირულ-პროეკციული რეპორტაჟს დაწერის იმდელი დავსუეჩ ჩავიდა ოვსული უგრძლისტი მიკოლა ნაზარეკო ცხინვალში. ჩავიდა და პირველად ვისაც გადააწყვია, ნახერველად ქვეული ავტოსადგურის გვერდითი ჯიხურში სივარტის საყიდლად მისული გიორგი ქასავეი იყო. გიორგის დედა მისოკოში, მამა კი ვლადიკავკაზში

იყო სამუშაოდ წასული და წლების მანძილზე მარტო ცხოვრებას მისეველმა უკრანელ უგრძლისტს ისე გულწრფელად შეთხოვანა დამის გასათოდა თვისი სახლი, რომ მიკოლა სტუქობაზე თუკა-ტიფეკუდებლად დათანხდა.

თხლად დაკრული ქერის პური, ოდნავ სიტყობარული თაკვერით, ვარდისფერი გორული პამიდვრით, ნერვის მწხლითა და სამიფე კიტრანა ვამლით დამწუნებულ სუფრასთან გიორგი ქასავეი და მისი სტუქობა გვიანობამდე ისხნენ. უკრანელი გამუდმებით იღებდა მწკნეუ კოლიფიდან მოგრძო სივარტებს, ხელში უცნაურად სესდა და ლამის ღერ-ღერეუ ქეურდა.

მიკოლა 28 წლის ახალგაზრდა იყო, მაგრამ მხლად თუ გამოცნებდა ვინმე მის ასაკს, თვისი ქვეყნის პრეზიდენტის სხეშემუშაბული და მარად დადილი მიკოლა ნაზარეკო 40 წლის კაცს ჰგავდა და უკრანელი ამით ერთვარად ამპობდა კიდევ, — ხალხი უფრო სერიოზულ კაცად აღმიქვამს, მეტი პატრისციემით შექცვანო. ერთი სიტყვით, მწვენიერად ამართლებდა თვისი ვარეგობის უცნაურ მხარეებს.

მიკოლას განსაკუთრებით გიორგის სადღერებლები მოეწონა. თბილისში ქართულ სუფრაზე არავრთულ მეჯანა უკრანელითვისი ახალგაზრდა ოსის სადღერებლებით მეტად საინტერესო სახალე აღმოჩნდა და ერთხანს ისიც იფიქრა, უბის წიგანკში ხომ არ ჩავიწერო, მაგრამ მერე მიხვდა, რომ სადღერებლებების თქმისას კალმის მომარჯუება უხერხული იქნებოდა.





გიორგის სადღვრძელები მოკლე იყო, მაგრამ მისი ასაკისთვის შეუფერხებლად აზრიანი, ბარაკის გაუმარჯოს, ხალცი ბარაკა არ არის, იქ არც მშვიდობა... დმთისა ვეჭვით. ერთი დმთ-ილია ისეთი, ყველას რომ გვაერთიანებს... სიმართლეს გაუმარჯოს — იმ სი-მართლეს, ყველას სხვადასხვახარნი რომ აქვს... კიდევ ბევრი კარგი რამე თქვა გიორგიმ, მაგრამ თანამქუფურის ცული მირუსულიების გამო, მიკოლა ნახუარს ვერ იტყება.

დღით მიკოლამ საშინლად ნაბა-ხუსქვამ გაიღილა. გაიღვირა და გოგ-ნებისაგან კინაბად შექვივია, და გოგ-ნებსაც აღმიაჩინა, რომ ძილის დროს ხელებში ცარული ორღიტრინი ყანსი ქვინია ჩაბუღული. ვანსიან ერთად დაძინება ნამდვილად არაა საამაყო.

\*\*\*

იმ ზამთარს დიდი ლიახეი ძალიან ადიდა. გუგუშუქულმა მდინარეკ უპარა-ვი ბალ-ვენჩია გაანადგურა და უამრავი ადამიანი უსახლკაროდ მარტო. ხალცი ამბობდა, სამელიად მუილე მოსულა დაიწყო: იმს ლიახეის გაგაფებაც დაუ-მატა და, ალბათ, დმთითაც ძალია გამოს-ნდება ცეცხლიანი მახელოთი. დრო კი მართლაც საძაგული იყო. ყველას იარაღი ჰქონდა, ყველა ისროდა. ან მთერათი იყვნენ, ან კათოში. ბავშვები მამების მი-ერ გამოეყრებულ ვიზნებს აგორებდნენ და მკვე ტყლაბით დაამარულ ტრუქებს ილიკადნენ.

ქართლი შამშობლესაც სწორედ ტყლა-მა იხსნა. ტყლაპია 90-იანი წლების საქართველოს მხსნელი. ქასაყვის სახლის წინ, ყოფილ საბუქო ბაღში ჩიბირიის ბიჭებს შტაბი ჰქონდათ ყო-ველდღე ჭრულჭრულ ფორმებში გამოქ-ყობილი უამრავი მამაკაცი მიდი-მიდიოდა და რუსულ რე ოსურ ენებზე გინების კორანტონს აუქვებდა. გიორგი ქასაყვი მამინ სულ პატარა ბიჭი იყო და იმი თითქმის არ ახსენს. ახსენს მხოლოდ

ჭრულჭრულიანი წყრისომუხებელი კაცები და მკვე ტყლაბის გემო. უფრო სწორად კი უგუქრობა და ჩიბირიის შტაბის თანამშრომელი რუსი მაირი ბორია. ბო-რია ერთხელ სახლშიც ქვივა ქასაყვის. შინ მარტო გიორგი და დედაძიმი იყვნენ, გიორგიმ მამინ მხოლოდ ოსური იყო-და, მაგრამ მანც მიხვდა, რომ ბორია დედაძიმის მათი სახლის ლამაზ წუქურ-თებზე ელაპარაკებოდა. დღეს თავიდან ეციხებოდა რუსის ლაპარაკზე, მაგრამ მერე გაცხარდა. მაირი ყველაზე სწო-რად სიტყვა „იდილოლოიას“ ამბობდა და ყველაზე მტრად სწორედ ეს სიტყვა აც-ხარებდა გიორგის დღეს. მაირი მთრე დღეს ორ კაციან ერთად მოვიდა. ერთ-ერთს ხელი დიდი შალაშინი ვჭირა და ეს პატარა გიორგის აუღ ეწინაა. დღეს რატომღაც დიდი წინააღმდეგობა აღარ გაუწვია, როგორც შალაშინიანი მუ-ში მათი სახლის ფანჯარაზე გამოსახულ ერთ-ერთ ბარელიეფურ ნახატს მაიდა და დიდი წალებით დაიყო მისი თო-ლა ფანჯრის ჩარჩოსაგან. სულ სამილე წყით დასჭირდა მუშას ამ საქმიანობის-თვის, მერე შალაშინი ტომის საჭრისგან შეკრული ჩანთაში ჩადო და რუს მაირი-საც კი არ დამშვიდობებია, ისე წავიდა. რუსი მაირის თანმხლებ მთრე კაცს დიდი, დაჭყვივნი თვალები ჰქონდა. ამ-კარად არ მოქონა მუშის გაკეთებუი საქმე, რადგან უკვე წაშლილი ბარელიე-ფუსგან პატარა ნაგლევი მანც დარჩე-ნილიყო. ამ ორსანტიმეტრან მონარჩუნზე სკამზე ნახერად ხურგამქვიცი თქვითი მიაღებულადიანი კაცე წინადა. აუგდითი, საძაგული წლებიდან, გიორგის ყველაზე ნაილად მხოლოდ ეს ამბავი დაამახსო-ვრდა.

\*\*\*

„ცხინვალი იმდენად პატარა ქა-ლაქია, რომ შალაშინი გამძღველები მძღველებს ფულის გამოძიმიების გამო ბოროტს უხდიან. ყველა ყველას ნაცნო-ბია, ახლობელია, ნათესავი. ვიფირობ და დღემდე ვერ მივგონდარავი, ენის გარდა რა განახსივებებს ქართველებსა

და ოსებს. ქართველები და ოსები ერთნარი ხალხია. საქმელებსაც თითქმის ერთნარს აკეთებენ და გაბრაზებაც კი ერთნარი იციან. გაბრაზებულები მა-გიდაზე მუშტებს აბრაზებულებს და ისე აბრაზებენ თვალებს, რომ წყნი მახ-ნის თვალის ბრაილი ამითან თვალის ჩაკვრად მოეკვნივს. ცხინვალში ერთი ოსი ბიჭის სახლში ეცხივრობ ბინის ქი-რის ფული რომ შევიაზებ, ჯერ გაიცინა და მერე ისე შემომიბღვირა, მეგხედი, რომ შურაცხცილოვს ვაყენებდი. რო-გორც ცხინვალელების უმეტესობა, მისი მშობლებიც რუსეთში არიან სამუშაოდ წასული და რამდენიმე წელია, გიორგი წასული ცხივრობს. ამ ქალაქში გიორ-გის თანატოლი, 20-25 წლის ახალგაზ-რდები ნარკოტიკების მომხმარებლები არიან. მაგრამ გიორგისთვის ერთხელაც არ შემისინაყს რამეც ისეთი... ნარკო-მანული. ცხინვალს სამი მხრიდან ქარ-თული სოფლები ესახვებოდა და ქარ-თელებს ვენახებს ლამის ცხინვალშია მუსული. ვენახი ოსებსაც აქვთ. მაგრამ უფრო სხვა მხარეს, აქედან მოშორებთ — ხნაურში. ოსებს ომზე ლაპარაკი არ უგუფრო. როდესაც ამ ომმაზე ველაპა-რაკობ, უფრო იჯინებენ, კიდევ მსკვე-ლობენ. ვველას აგინებენ — პოლიტიკო-სებს, სამხედროებს, პრეზიდენტებს. აქ ქალებიც კი იჯინებან, ოღონდ თავისუ-ბრად... ქალურად. საქართველოში ქა-ლების გინებს ვეველას ექსხიან. ლამის ოცი წელი წყველდა ომიდან და ცხინვალს კიდევ დანგრეულია. სახლების დიდი ნაწილი გადამწურა. გადამწურა სახ-ლებთან სატვირთი მანქანები და მუშები დანან. შთბობის აუკურებდა მლიან. აქ პრეზიდენტის რეზიდენციაც კი ძველი, საბჭოური და უპადრეუია. ოსები პატ-როტიც ხალხია, მაგრამ ჩემდა ვასკვირა-და. ხმას არ დებენ ომზე, რომ დღეს მათ მთავრ ქალაქში — ცხინვალში, არც ერთი ოსურენიანი სკოლა აღარ არის. ყველა სკოლა რუსულადაა გადაკეთე-ბული. ჩემი მასხინძელი დედა დანა-ნებით მუშტებოდა, რომ ოსი ბავშვების უმრავლესობამ მშობლიური ენა აღარ

იცის და თითქმის არავინ ფიქრობს ამ მნიშვნელოვან პრობლემებზე. ამ ქალაქში 20 იმის იმედია მოვდივარ, რომ ცხელ, სკანდალურად გაჯერებულ რეპორტაჟს დაწეროთ ზოგჯერ ერთ-ერთი კონფლიქტის არცაა, მაგრამ იმის გარეშე ხელის ნაცვლად, აქ დახვდა ვაჭარი, უძიძობის გატარებული ქალაქი, სადაც რაღაცით შემწებელი ადამიანები ფურცლებით დაიან და სხვადასხვა დახვებზე ოცნებები აქვთ ქვეყლა. ახლა ამ რეპორტაჟს სტადიონის მშობლიური ქალაქიდან, ვირსინი ვგზავნი. ვირის საუკეთესო ინტერნეტკაფეში ვზივარ და თავზე კომპიუტერული თამაშების მოლოდინზე ბავშვების ვინდი მაგვას. ერთი სული აქვთ, როდის ავფიქვთ და როდის დაიწყებენ კომპიუტერულ თამაშში ვირტუალური მტრების სივცას. საქართველოში ხომ ყოველთვის ეძებენ ვირტუალურ მტრებს“.

**მიკელა ნაზარენკო**  
**რეგსა-ბიბლიო-ცინტენტი-გაბრი**  
**საქვიალურად ინტერნეტგაბრიცმა**  
**„მღალა უკრანისთვის“.**

\*\*\*

ცხინვალის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია იმ დროს აშენდა, როდესაც ერეკლე მეფეს ქართლი კახეთისთვის ახალი მდებარეული ქვიონდა. გამეფებისას ერეკლეს ქართლში ბევრი მორწინა აღმდეგე ჰყავდა, რადგან ბუერს არ მოსწონდა მუსლიმანოვითი კახელი ბაგრატიონი და სამეფო ტახტზე ქრისტიანთა მუხრანბატონები სურათა. ერეკლეს ეშინებოდა არ ავლდა და სწორედ იმისთვის, რომ თავისი ქრისტიანობა დაეჭირებინა, ცხინვალში ახალი ეკლესია ააშენებინა. პოლიტიკური მანებებით ეკლესიების მშენებლობა ერეკლეს ერთ-ერთი მთავარი იარაღი იყო და აქი გახდა კიდევ ქართველების სათავყურე მუყე.

წმინდა გიორგის ეკლესიაში ვლიდოკავებული რუსი მღვდელი, მამა იაკობ წინების მითიათად ბარბარდა. ბევრი მწველი თავს არასოდეს ჰქვია და არც მამა იაკობი იყო დიდი ენთუზიასტი, რომ ნაკლებად შემოსილიან ეკლესიაში საშუალოდ დამდგარიყო. ეკლესიის უკან, იმის დროს ჭურავსივან ჩამონგრეული ედლიანთ დაგდებულ მორბეულ სადამბოთთან არეის დაღვრის მოსურნე ბავშვები ისხნდნ და არაყს ღვინდისთვის აწამინდ ხაბუცინების ავილბინებ. ძალიან როცა დათავრებოდნენ და წინაბრების სახელობის გენსაკუთრებული სურვილი გაუნდებოდით. იქვე, ეკლესიასთან ახლოს დაგდებულ მუღლი საფლავის ქვეშობი მიდინდნ და მისავაჭრების საფლავებთან ჩაცუკლებული ამბობინდნ. უძველეს ქუჩებზე წარწერების ამოკითხვა მწვილი იყო, მაგრამ ერთ-ერთი ქუჩებზე გაჭირვებით იკითხებოდა სიტყვები: „უყოლი დღმერთო, მოუტრევე შეცოდებანი და განუწყვეტ მონასა შესსა როსტომ გარემოვლს და ცილსა მისსა ყფრისინეს“. ოს ბავშვს დიდად არ ანაღვლდოდა, რა ქვეყანა იქნებოდა. მათთვის იმ საფლავებზე და-

მარხული ვეყლა ადამიანი მათი წინაპარი იყო და ისე რა დააღვინებდით, არაყო მათი საფლავებზეც რომ არ მაქვე-მოქვეციათ.

ერთხელაც ეკლესიასთან დასაღვლე ასულ ბავშვს მორბეულ ჩამოვარანი მოხუცი, სათვლიანი კაცი დახვლიდა, რომელიც ვეყლას ქართველ ისტორიკოსად გაეცინა და აუხსნა, რომ ეკლესიის ეზოში გაბნეული საფლავის ქუჩების ქვეშობი სულ ქართველები იყვნენ დამარხული. თან უბრალო ქართველები კი არა? სულ კაც-კაცი, ნარწყვი და გამომწილი ქართველები. ამას მოაყოლა ვრცელი მონოლოგი საქართველოს დაიდ ისტორიანზე. ცოტათი შეტყობულმა ბავშვმა უკნობის საუბრიდან ბევრი ვერაფერი გაიგავს, მაგრამ ამის შემდეგ არც ეკლესიასთან ასულან და არც საფლავებზე დაღვრიათ არაყო.

\*\*\*

გიორგის მამამისმა დაურეკა. ერთ ჩემს მძაკაცს 300 ლოლარი გამოვტანე, ხელა მოყა და მოეცემსო. რაც უკრანადი სტუმარი გაეცილა, მას შემდეგ ვირიერი რაღაც ვერ იყო ხასიათობ. მაკოლას მონაყოლმა ამბებმა თავზეა აუბნა, დაანბნა და დააფიქრა. გიორგის აქამდე ვეყლა უკნებოდა, რომ დღეს ამერიკა დაახლებული ისიფოე ქვეყანაა, როგორც ადრე ირანი იყო და ამერიკა ვეყლას დაბრუნოს, გადაგვარებდა და აზრებდა უპირებსო. არადა, უკრანელმა ვერანოსტმა სულ სხვა რამ უამბო. უამბო ნამდვილ ამერიკასა და ვერანოსტს. უამბო ვეროკემბრზე, სადაც შესულანვე ვეყლა უკრანელი და ქართველი ოცნებობს. უამბო რუსეთზე, რომელთაც ათასობით უკრანელი გაიარეს და ფაქტობრივად საკუთარი ქვეყნის - უკრანის მტრებად აქციეს. აუხსნა, რომ ცხინვალში ოსური სოფლის არარსებობა ოსი ხალხის დაღვრება ნიშნავს და ამას არა ამერიკელი, არამედ სულ სხვა ხალხი - მეგობრის ნიღბით მოსული მტერი აკვირებს. გიორგი იწყა ბაბუამისის ნახელზე ხმელ ტახტზე, თავიქვე შუთავს ეყო და ფიქრობდა. რაზე არ ფიქრობდა... ფიქრობდა მშობლებზე, რომლებიც ავერ, რამდენიმე წელიწადი, მატრთ მას კი არა. ერთიამხელსაც კი ვერ ნახულობდნენ სამწილი გაჭირვების გამო. ფიქრობდა თავისი ხალხის ფანჯრის წუქურთობებსა და რუსე მათობის მძერ წმოდელ გამოსვლებთან, რომლებიც მიკოლამ ეჭვი გამოთქვა, რომ ძალიან მნიშვნელოვანი რამ უნდა ყოფილიყო ამიოუქურთომებული. გიორგის მამას აბოთი კი ეციოდნებოდა, რაც ჭაბჭა იმ წუქურთობზე, მაგრამ ტრეფილთან ამაზე დაბარაკი არც ეკლესია და სახითაფიცი იყო. ფიქრობდა გიორგი და თან უკრანელი მეგობრის ნაშუქარ მწენაკლოვთან სივარტეს ამოვლდა. მაინც რა მავარი კაცი ყოფილა ეს მიკოლა...

\*\*\*

საქართველოს სოფლებში ერთი ცუდი წესი აქვთ თუქცა, წესი ერთი. უბრა-

ლოდ, ასე ხდება ხოლმე და მორჩა. თუკი ნაკლებად მშველელ თანასოფელს თვლი დაეკლდა, დაკოვლდა არ რაიმე სხვა უბედურება ქვეყა, ჯერ ვეყლა შუაბრალებს. იტყვიან: ჩხინა, ჩხევი სოფლის კაცია და მოდი, ვეყლა ერთად მიუხელოთო. დაახლოებით 1-2 წლის განმავლობაში მათლებიც ხელისუფლებზე ბარბარე უბედურ ღვინის გლახას. ისტებმატრად მიდან სანახავად, მაკეთ ხილი, საჭმელი, ტანსაცმელი და აყდმოფის ხელსიანს ცრულებს აფინებინდ. მერე ვეყლა იმ და რაბობა, დაბრმავებულ-დაკოვლებული ადამიანის უბედურება თხნათიან ვეყლას მიყენვდება და ერთ დროს ხელისუფლოვანში მწირი ნელ-ნელა სოფლის მახსარა ხდება. პირველად სოფლებს ოხუნჯობით ცნობილი ვინმე უსაკმური იტყვის რაიმე მახალისა და სასაცილოს დაბრმავებულზე. მაგალითად, ასეთს: გუშინ ბბმა ვასილას ხეთი წუთით თვლი ახელია და თვისი ცილიისთვის უთქვამს, შე ოხერი, მუჭებიც როგორ ჩამოგვჭკნობიაო. მერე სხუბებიც უთქვამს და ბირთვ უმერობას წუმატებენ და ცოტა ხანში უბედური, ღვიონსაგან მიფიწყებულ ადამიანს სოფლის მახსარის სტრუქტუს მიღებს. მუხობლები უკვე პირში დაუწყებენ დაცირვასა და ხინთხას. ორლებში მიძიფლს ბავშვები ხიბჭებს დაწყებენ ზურგში და სოფლის ბავშვს „პახმელანზე“ გამოსვლას მასზე ქილილი შეეცდიან.

სწორედ ასეთ უბედურ დღეში იყო ერთ დროს მოელ ლაივისს ხეთობა საუკეთესო ღვრელად ცნობილი კოვლი ნესტორა, რომელიც ასაკში მუსელსიან ერთად დაკოვლდა, დაყრუვდა და ფსიქიკაშიც ცოტა არეულია მუქმენა. ვიპას ახსოვდა, რომ მათი ოჯახისთვის ესოდნ საბამეო მონუქურთომებულ კარები, ლამაზი ფიგურები დამწყებებულ აფინის მოაჯირები და სახლების ფასადები სწორედ ნესტორა პაპას დაკოვლებულ ხელს გაეცუებინა. ეს რომც ვთქვითო მაგრამ მონუქურთომებულანინასიანის, ნესტორას ნახულებობა აუცილებლად აუზარებდა და სულ სხვა ვინმეს დაახლებულა მისი საბამეო აფინის გამომავლებლად. ადამიანები არასოდეს აღიარებენ მასხარად ავტოვული ადამიანის ნივს.

\*\*\*

მდინარის პირას სივარტის მიწევა თვისი, რაღაც ხანდაკურთობის, საბო მთხევრული ვინმე აქვს. მუტად თვალსახვიერი სანახავია, ზაფხულში მდინარეში ბანობის შემდეგ მლაზზე გამოსვლი ბიჭუჭუბობა ბატონკაცურად რომ ამოვლეს უფლებრივი სივარტეს და დიდი კაცობით ყველ ნიფურზე დარდიანად ამიოიზრებენ ხოლმე. ეს ამიოიზრავე წმინდა ქართლოა. საქართველოში სივარტის მიწევის სახედსავე დროს სხვადასხვაგვარად ოხრავენ. სამშობლო მისული კაცია, როცა განსვენებულის ჭირისუფალს ეზოში



მელსკამზე მდლიძე ესაუბრება, სიტყვებს სიგარეტის კეპლის ავილებს და ისე ოხრაუხს. პოლიტიკაზე უბნის ბიჭებით ძიხაუბრე კაცი უნდა უნდა თვითმხილველი ზის, სიგარეტს შუკში ჩაწვდილია ქვეყა და მიკლე-მიკლედი ოხრაუხს. ხილი თუ კაცი კარგ ხასიათზეა, წინ თით ხელადა ღვინო უდგას და შვირის იმედი აქვს, მაშინ სიგარეტი პირში წყურაუკულად უდგეს და მაინც რატომ ოხრაუხს, კაცი ვერ გაიგებს, სიგარეტი და ოხრაუხს ჩვენ-თვის ქნასა და სარწმუნოებასათვის განუყოფელია!

სწორედ ასეთ წვევას და ოხრაუხს იყო ღიახევის პირას გამოტყდილი ათამდე ტრტლიკანა ბიჭი, როდესაც თვეზე სამი შუკანაფორმანი რუსი ჯარისკაცი დაადგოთ. ნიქოხული, თამარამჭედილი ან ცხინვალელი ბიჭი შეიძლება ბავრო რაბინ გააკვირეო, მაგრამ რუსი ჯარისკაცის ნახვით ნამდვილად ვერ გააკვირებ. ერთი თვლი შუკელუბ რუსებს და კვლე სიგარეტის ქაქავს უნდა შედგომიდნენ, მაგრამ ვინ აცალა?... ჯარისკაცებისგან ერთ-ერთი, წამოწილელი ბიჭების შუკამი ჩადგა, ღვინო მრავალმნიშვნელოვნად შეპოცარა და დაღირალია:

— ცხინვალელი რომელი ხართ?!

ახლა კი შუკელუბ რუსები ბიჭებს, სიგარეტები მოსთვრიეს და არეულად წამოშალნენ ქეშიდან. ჯარისკაცი რაკი მის-

ვლა, ბიჭები შუკამხიო, უფრო ხმაძალდა იფერა, — ვერ გაიგეო, რას გეკითხები? რომელი ხარი ცხინვალელი?!

ჯარისკაცს წინ დაბალი, შუკვერმანი ბიჭე დაუვკა:

— მე ვარ, რა გინდა?

— რა გვარი ხარ?

— გაბარეო.

ჯარისკაცმა ბიჭს მხრებში ხელი მოჰკიდა და ჯანჯარილი დაუწყო, თან ვივრის ავტოქლებდა:

— მირე აქ რა გინდა, შე ღვდა...? ამით რაძე რომ გიფონ, — ხელი ბიჭებისგან გამიშვარა, — შენ იცი, რომ პასუხს ჩვენ მოგვთხოვენ?!

ქვეყა ცხინვალში?! წამოდი ახლა და მორედი თუ აქ დაგინახე, ღვდას მოგიტყენე?!

მერე ქეშიში მოჰკიდა ხელი და მუჯ-ლუჯუნებით შეაკვლი ქალაში. მდინარის პირას დარჩენილ ბიჭებს გაკვირებისაგან პირი ღია დარჩათ. ყველაზე არეუ მუღდლის შვილი როსტომი გამოერკვა:

— გეთა ხე ჩემსა! რა უნდა, ე?!

\*\*\*

გიორგი ქასაყვი მთვრალია! ზის ლენინის ქუჩაზე წაქაძეულ სასადილოში და მამამისის გამოგზავნილი ფულიდან ბოლი ცენტრებს ხარჯებს. კეკელიძე კაცისგან სუფრაზე მარტო ჯლიდა და

სადღვრბოების საკუთარი ოქლითის ხმაძალდა თქმა ცოტა უცნაურია, მაგრამ გიორგი ამაზე ფიქრით თვის არ იწუხებს. აიღებს არავინ გვეტელე ღვინის ჭიქას, მაღლა ასწევს, ცოტა ხანი ჩაფიქრდება, ჭერში ჩამოკონწილულ მუქურაზე ნაორას დააცქერდება და მერე ამბობს:

— პოლანდიას ვაუშარჯოს! მაგარი ქვეყანაა პოლანდია! მიკოლამ თქვე, პოლანდიაში ვისაც როგორ უნდა, ისე ცხვირობსო. ქუჩაში სულ რომ თვლიავრა დაღვე, მამინაკი ან არავინ დაგცინებს. გინდა იმდერე, გინდა ივინე, გინდა იცეკვე, პლანის მოქვეც თუ შეიძლება... მაგარი ვაგოები პოლიათო ცოტა თუ შუკეუხდება, აქით დაღვედნ თურმე...

დაღვეს ამ ჭიქას, შეუყოლებს ვაგვერდ ხინჯალს და სხვა საღვერბილის იწევს:

— ამერიკას ვაუშარჯოს! ამით ვგობიათ, — ამბობს და ხელს გვერდით სუფრაზე მსხდომ რუსი ოფიცერებისაყენ

იმერე, — დვიჯერე ის ზნაურებში? რასაც ამერიკაზე გვიფიქვან. მამ, მიკოლას არ დავუჯერო და ამით დავუჯერო?! ამბობს პო ივინე, რა აწერა ამერიკის ძველზე... პო, მართლა, ივინო, რა აწერა ამერიკის ძველზე? ოფიცრები დავეფხვნი წამოშდგარან და გიორგის დავინებით მისწერებინ. — აწერა, რომ ამერიკა ველას მუფიფრებს, ვინც ღარბია, ვაჭარბეული და მთვრალი, თქვენ რა, რას შერბობთ, თქვე დამპლური?! ბუქლანში ბუქუბებს ვევიზოვთ! მასინებზე რაღაც სირულ ზნაურებს ვევიფიფრებ და მთელ მსოფლიოს ვავხზობთ!

ოფიცრები გიორგის წინ დაღვენ. ერთ-ერთი გიორგიზე არანაკლებ მთვრალია. ბარბაკებს, ხეუბნებს და „მაკაროუს“ რის ვა-ვაგელათი იღებს ჰქმრდნან. იარაღმომრავლები მთვრალი რუსი ოფიცრის დანახვით ჭკუარევი გადასული გიორგი ხმაძალდა ვივინა:

— იარაღ ამიოღ არა?! მერე რა იციოთ თქვე დამპლური! ერთხელ მაგ იარაღს ტრაკში ვაგვიხრით ჩემი ამერიკა, ჩემი პოლანდია, ჩემი საქ...!

\*\*\*

**ახსნა-განმარტება**

მე — ნიკოლოზ ვეკუჩის მე კოლიოვი, მცხერები ქალაქ ცხინვალში პუშკინის ქუჩა ნომერ 11-ში, სასაუხმე „დარბაში“ შემთხვევით შევესწარი მოქალაქე გიორგი ქასაყვის თვითმკვლელობას. აღნიშნული მოქალაქე იმყოფებოდა მთვრალ მგლო-მგლოში. გურგველი ადამიანების მისამართით სისტემატურად ივინებოდა და „მაკაროუს“ ტიპის პისტოლეტს ხელში ატრიალებდა. გიორგი ქასაყვი მებუფეტქმ და პირადად მეც, არავითრედ ვიხვეო, იარაღი ჯიბეში შექნას, რაღვე არსებობდა საფრთხე, რომ სასადილოში მყოფი მოქალაქეები ბრმა ტყვიის უხებლო მსხვერპლი გამხდარიყვნენ. იმ მომენტში გიორგი ქასაყვი ზედმეტე დოხნი ალიკოლის მძღვების გამო ავექტის მგლომარობაში იმყოფებოდა და კონტაქტზე არ გამოიღოდა. თვითმკვლელობა იმდენად სწრაფად მოხდა, რომ რაიმე ზომების მძღვა ვერ მოესწარათო გიორგი ქასაყვა პისტოლეტი შუბლიან მიიტანა და სროლაც გაისხა.

\*\*\*

მაგდლის ორნი უსხედან. ერთი — გრტელწერასა და შვიბოზიხანის, ხელში ღვინო ხაყვ ფაღლა უჭირავს და მაგვიდის კიღის, საღვე სალუდე ტლონა, ღვინის დღვი და ერთმანეთზე დაწოიბილი ხაზბოვნებში დღვის, დღვიფრებით დასცქერის. მისი თანამეკუფე იმერულ წიხნაში გამოწვობილი, სუფრაშეპარბილი ახალგაზრდა კაცია, რომელიც შამყურს შუკვას ოხელი ღვეამით ავიღის. მათ თვეზემით, ტრეტემქნერ პატარა ხეზე, უცნაური, გრტელისკარტა ფრინველი ზის და პურდობას კისერდახრილი უფურებს. დაძეა.

მართლაც ოქრის ხელი ჰქინდა ნესტორა პაპას!

ოფიცარტის სახე და საქმე



# უიზუიათესი სნაიპერული შეხანა



## „პალბერისგან“

### გერმანული WA2000 ჩუსულ სვდ-ზე მოკლეა, გერმან მისზე თითქმის ორჯერ უორ განიოლზე უორო ზუსტად ისპრის

დღეს რომ მონდომით ამ სნაიპერული შაშხანის ვიდეა, 50 ათას დოლარს უნდა დაეშვიდობოთ, არადა, თავის დროზე მისი შექმნა მხოლოდ 10 ათას გერმანულ მარკად შეიძლებოდა, თუმცა, სწორედ ეს ფასი გახდა იმის მიზეზი, რომ ამ საინტერესო კონსტრუქციის იარაღმა მოძვეალი დაკარგა.

1982 წელს ცნობილმა გერმანულმა საიარაღო კონცერნმა Walther-მა გამოუშვა უცნაური დიზაინის თვითდამტენი სნაიპერული შაშხანა, რომელიც ფორმით ვეუდა იარაღისგან გამოირჩეოდა.

WA2000 (Walther Automat 2000) გათვლილი იყო მძლავრ ვაზნაზე .300Win.Mag-ე, რომლითაც მიზნის დაზიანება 1000-1200 მ დისტანციაზე შეიძლებოდა. ეს მნიშვნელოვანი მიღწევა გახლდათ, რადგან თავად შაშხანის სიგრძე მხოლოდ 905 მმ, აქედან ლულაზე 650 მმ მოდიოდა.

შეადრებისთვის — საბჭოთა სვდ-ს ტაიის სნაიპერული შაშხანის საერთო სიგრძე 1225 მმ-ია (ანუ 320 მმ-ით გრძელია), ხოლო ლულა კი პირი-



ქით, 30 მმ-ით მოკლე აქვს, მხოლოდ 620 მმ. შესაბამისად, განსხვავებულია სროლის ეფექტური მანძილიც. თუკი სვდ-სთვის იგი 500-600 მ-ს შეადგენს, WA2000-ისთვის ეს მანქვერბელი თითქმის ორჯერ მეტი იყო.

სვდ-სთან შედარებით ასეთ უპირატესობას WA2000-მა ძირითადად ორი მიზეზით მიადგინა, — „ბულბაპის“ სქემის კონსტრუქცია და ძლიერი ვაზნა.

ამ გერმანული სნაიპერული შაშხანის WA2000-ის მხოლოდ 176 ფეხმკლარია დამზადდებული





**ჩხვილიძე** ღრსიმი: გერმანულ სნაიპერულ შაშხანა WA2000-ს 1982-88 წწ-ში აწარმოებდნენ. სულ 176 ცალია გამოშვებული. იგი ვაზნებისა და ოპტიკური სამიზნის გარეშე 6,95 კგ-ს იწონის, ვაზნებითა და სამიზნით კი — 7,9 კგ-ს. შაშხანის საერთო სიგრძე 905 მმ-ია, ღელისა კი 650 მმ. შაშხანაზე შეიძლება სამი კალიბრის ღელის (.300Win.Mag, .308 Win და 7,5X55 მმ კალიბრის) დაყენება. მჭიდში 6 ვაზნა ჩადის (.308 Win.Mag-ის მხოლოდ ხუთი). შაშხანა დამზადებულია „ბულაპის“ სქემით და ღია სამიზნე მოწყობილობა არა აქვს.

„ბულაპის“ სქემამ (როდესაც მჭიდი — სასხლეტის უკან, ხოლო კონდაში სასროლი მექანიზმია განთავსებული) WA2000 კომპაქტურ სნაიპერულ შაშხანად აქცია, რომლის გამოყენება სპეცდანიშნულების რაზმების სნაიპერებს ქალაქშიც შეუძლია.

WA2000-ისთვის განკუთვნილი .300Win.Mag-ის მძლავრი ვაზნის 9,7 გ მასის ტყვიის საწეისი სიჩქარე 987 მ/წმ-ია, ხოლო საწეისი ენერჯია კი 4730 ჯოული გახლდათ რაც მნიშვნელოვნად აღკვეთავდა CVD-ს სპეციალური სნაიპერული ვაზნის ანალოგიურ მონაცემებს — მასა 9,5 გ, საწეისი სიჩქარე 820 მ/წმ, საწეისი ენერჯია — 3214 ჯოული.

მოუხედავად იმისა, რომ .300Win.Mag-ის მძლავრი ვაზნის გამოყენების

შემთხვევაში WA2000-ის ტაქტიკურ ტექნიკური მაჩვენებლები საკმაოდ მაღალი იყო და პროფესიონალ სნაიპერს მოწინააღმდეგის დაზიანება 1000-1200 მ დისტანციიდან შეუძლო, გაჩნდა

მოთხოვნა ამ სნაიპერული შაშხანის NATO-ს სტანდარტის 7,62X51 მმ კალიბრის ვაზნაზე გადაყვანაზე.

7,62X51მ NATO-ს, იგივე .308Win-ის ტიპის სნაიპერული ვაზნის მონაცემში, ისევე როგორც CVD-სი, ჩამორჩებოდნენ .300 Win.Mag-ის შესაძლებლობებს (.308 Win-ის სნაიპერული ტყვიის მასა 11 გ, საწეისი სიჩქარე 815 მ/წმ, ხოლო საწეისი ენერჯია კი 3695 ჯოული იყო), მაგრამ სამაგიეროდ იგი NATO-ს წევრი ქვეყნების არმიების შეიარაღებაში ფართოდ იყო გავრცელებული და შედარებით იაფიც ღირდა.

„ვალტერის“ კონსტრუქტორებს მოუწიათ WA2000-ის გადაკეთება ამ ორ ახალ ვაზნაზე — 7,62X51 მმ NATO (.308Win)-ზე და შეეცადილენ 7,5X55



იარაღის თვითდადებული კოლექციონერები მზად არიან უიშვიათეს WA2000-ში 50 ათას დოლარამდე გადაიხადონ

მ-იანზე. სნაიპერული შაშხანის მო-  
დულური კონსტრუქცია იძლეოდა  
იმის საშუალებას, რომ მსროლელს  
სხვადასხვა კალიბრის ვაზნების გამო-  
ყენებისას სწრაფად შეეცვალა ლულა  
და საეკტი.

მიუხედავად ამისა, WA2000-ს კო-  
მპრციული წარმატება არ ჰქონია და  
„ვალტერმა“ მხოლოდ 176 ცალი ასე-  
თი სნაიპერული შაშხანა გამოუშვა.

სწორედ ეს მცირე რიცხვი განაპი-  
რობებს WA2000-ის პოპულარობას  
იარაღის კოლექციონერებს შორის,  
რომლებიც მზად არიან 50 ათასი დო-  
ლარიც არ დაინანონ მის შესაძენად.  
კოლექციონერების სურვილისამებრ  
შეიარაღდები ინდივიდუალური შეკ-  
ვეთით ამზადებენ WA2000-ის სრულ  
ასლებს, თუმცა ისინი, რა თქმა უნ-  
და, „ვალტერის“ ფირმის უნიკალური  
WA2000-ები არ არიან.

„ვალტერმა“ სცადა WA2000 პოლი-  
ვულის მძაფრსიუვეტიანი ფილმების სა-  
შუალებით გაეჭადა პოპულარული. ამი-  
ტომაც „ბონდიანის“ ერთ-ერთ სერიაში  
„ავენტა 007“ (ტიმოთი დალტონი) კად-  
რში სწორედ WA2000-ით წნდება.

მოგვიანებით WA2000 გამოიყენეს  
ნახევრად ფანტასტიკური ფილმების  
„პიტჩენისა“ და „ეკვილიბრიუმის“  
გადაღებისას, თუმცა დაგვიანებულმა



„ბონდიანის“ ერთ-ერთ სერიაში  
„ავენტა 007“ (ტიმოთი დალტონი)  
კადრში სწორედ WA2000-ით წნდება

„კინოგარსკელოვობამაც“ ვეღარ უშვე-  
ლა „ვალტერის“ ამ საინტერესო დი-  
ზაინისა და კონსტრუქციის უმეიათეს  
სნაიპერულ შაშხანას. ერთი ვე არის,  
რომ უცნაური ფორმის გამო WA2000-ს

ხშირად რთვენ კომპიუტერულ თამა-  
შებში და მან ვირტუალურ სამყაროში  
ის პოპულარობა მოიპოვა, რაც რეა-  
ლურ ცხოვრებაში დააკლდა.

**ირაკლი ალაღაშვილი**



WA2000-ი როსულ ცხდ-ზე 320 მმ-  
ით მოკლეა, თუმცა 30 მმ-ით გრძელი  
ლულა აქვს და ორჯერ უფრო შორ-  
საც ისერის ზუსტად მიზანში





1-50

ბ 102/6

F1554

2012



საქართველოს  
ქრონიკა

**WA2000**